

ఆంగిక్^R

REGION

ମୁଦ୍ରଣ ତାରିଖ: ୧୯୮୦୪୧

ପ୍ରକାଶି 1.50 ଟଙ୍କା

№4, 2014, 036040

კათი მეგალაპა:

GEORG

ლეიტა სურმავა:
აშენა შესაძლოა
სასრულმართვი
სიტყვა გადას

დათო ასკურავა ვეღოთ რეკაზე ვ ნიდია აბსოლუტური ჩამაგონია

„კარის“ ისტორია
გაცემი საუკუნის 60-იანი
ცლაბილან დაიწყო

კავაზ თავისუფალი და სიცოცხელის ბოლო ნათამა სარანგა იდგა

ମୁଦ୍ରାକାରୀ ପିଲାଙ୍କରେ ଏହା କୌଣସି କରିବାକୁ ପାଇଁ ଆପଣଙ୍କ ନାହିଁ

გათარის დამოუკიდებელი
კანცილები

ცის ჩივიპი

43

ძლიერი
სოფელი
ხალხთან ერთად!

გრიგოლ რობაქიძე - გურია და გურულები	2	გომარ სიხარულიძე ხალხური სიმღერის სულს ჩანცდა	16
საქართველოს აქც თავისი ადგილი მსოფლიოში	3	„კამელინის“ ისტორია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ინყება	18
სახალხო ზეიმი ქალაქ ოზურგეთში	5	ნოდარ დუმბაძე - სიცოცხლის სამოსახლოა ჩემი ჰატარა გურია	19
მინდია სალუქვაძე ის ლეგენდაა, რომელიც ყოველთვის იბრწყინებს	6	დათო ასჯურავა ველოტრექტე სამი ნელია ზედიზედ აბსოლუტური ჩემპიონია	23
ნიგნის მოყვარული ბოლომდე ნიგნის მოყვარულად რჩება	8	პირველი ქალისა და მამაკაცის ისტორია	24
სიახლეები პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაში	9	ერკეთის მთავარანგელოზთა მიქაელის და გაბრიელის სახელობის დედათა მონასტერი	27
დავებმაროთ ბავშვებს ისე, რომ არ დავარღვიოთ მათი უფლებები	11	ჭრული „ლურჯი იალქანი“	33
12 წლის ბიჭისთვის ასკანა შესაძლოა სასწაულმოქმედი სიტყვა გახდეს	12	ცოცხალ შემოქმედებას თეატრს ტელევიზია, კინო და ინტერნეტი ცერ შეცვლის	34
ხალხი ირჩევს ქალაქის მერს და გამგებელს	13	პოლიტიზირებული ფეხბურთი და ერთმანეთს დაპირისპირებული ხელისუფლება და კლუბის ხელმძღვანელობა	36
საარსებო მინიმუმი, საბაზრო ფასები და 150 ლარიანი პენსია	14	პირველი ქართველი გემის ყაპიტანი ნიკოლოზ ვასაძე	38
ღატაქთა კორპუსი სუფსაში	15		

დაფუძნებალი - ანა თომაძე

მთავარი რეაფტორი - **ლელა სურავა**

მისამართი: თბილისი, ვ.გაბაშვილის 5

ტელ: 558 256 550; 555 55 98 44; 790 46 48 01

ელფოსტა: **Guriaregion14@mail.ru**

პირველი მიმოხველებო!

მოგვაწოდეთ თქვენი პუბლიკაციები, მოთხრობები,
ჩანახატები, ლექსები, ისტორიები, იდეები, გაგვიზიარეთ
თქვენი პრობლემები და მოგვიყევით საინტერესო ამბები.
გაითვალისწინეთ, თქვენს მიერ მოწოდებული მასალის
უურნალში განთავსება ფასიანია.

გრიგორი ჩოხატავი

„ბარი ე ბარალაზი“

ლამაზი კუთხეა გურია საქართველოსი. მისი ლანდშაფტი სამშეხვანი სივრცე – გაშლილი სინთეზია. მოქნილი მთები ბახმაროსაკენ თანდათან ზვიადობით ამართული: თვალუნვდენელი ჭალანი. სამეგრელოსაკენ ძლევამოსილებით გაფენილი. მოშორებით შავი ზღვა. ეს უხვად გამდინარი მუქი ზურბუხტი. გურიაში მოიძებნება ისეთი პუნქტი, საიდანაც ადამიანის მჭვრეტი თვალი ამ სამუხროვან ლანდშაფტს ერთს ესთეტიკურ სარკმელში გაატარებს მძაფრი სიტყბოებით. განსაცვიფრებელია გურიის ნელი სირბილე: იქ ვერ მონახავთ ერთ „მყვირალა“ ფერს. იქ ვერ იხილავთ ვერც ერთ უხეშ ხაზს: იქ ყოველი ნაკვეთი რბილია, ნაზი, მჩატე, მსუბუქი, ნარნარი: თვითონ მთებიც კი გურიაში მკაცრი ნატეხობით არ არის ამართული, არამედ ხავერდოვანი სირბილით, განსაკუთრებით კეკლუცია ჩაქვის მახლობელი მიდამო. ხოლო ეს სიკელუცე უფრო რბილად მოდუმებულია, ვიდრე სიკელუცე იმერეთული ხტომით ნაყარი.

ძველი მესხეთის ნატეხია გურია. ამის ნიშანი ბევრია. თავდაპირველად „ქართული“, გურული ქართული ლაკონურია რუსთაველის სამშობლოს სიტყვასავით. საქართველოს არცერთ კუთხეში ასე სხარტულად არ ლაპარაკობენ, როგორც გურიაში. გურული სინტაქსი უაღრესად ეპიგრამატულია მოკლე, მკაფიო, მკვეთილი, ჭლეული. თვითონ რუსთაველიც გურულებმა სხვა ქართველებზე უფრო იციან. გურიაში არის ოჯახები, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირი ცოდნა უბრალო ჩვეულებაა. გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვები, რაც საქართველოს სხვა კუთხებისათვის გაუგებარია, გურიაში უბრალო მუსაიფის უამს გვხვდება. და კიდევ: ძველ მესხთა შაირობა ცნობილია – თაობიდნ თაობაზე გადადს. შაირობა გურულებისათვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც საამო გასეირნება.

ამაყია გურული: გურიაში ძალზე არის განვითარებული გრძნობა თავის თავისი სისახლისა და არის ტორატობა – „რჩეულობა“ – გურულთა „რასის“ მთავარი ნაკადია. ამ მხრივ თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის: ყოველ გურულს უყვარს „თავის გამოჩენა“, გურულებში ძალზე არის ნაგრძნობი, „მანძილის პათოსი“ ნიცხესი, სიამაყე და გამორჩეულობა რბილ გურულს სასტიკადა ჰედის: ფირალად გავარდნა გურიაში ჩვეული მოვლენაა – ფირალობას კი უმთავრესად ხასიათი უდევს საფუძვლად. გურულს გარეგნობაც რჩეული უყვარს, ძვირად თუ ვინმე სხვა ქართველი ისე ლამაზად ჩაცმული გამოვა, როგორც გურული. ცნობილია გურიის სილარიბე, მაგრამ მიუხედავად ამისა საქართველოს ვერც ერთს სხვა კუთხეში ვერ მონახავთ გურული „ოდის“ – თანაკოხტაობას კეკლუცად მორთული ეზოთი. მჩატე და ფიცია გურული, ბევრს ეს თვისება სიღრმის უქონლობად მიაჩნია, არ არის მართალი, გურულის სიფიცე და სიმჩატე სხვაგვარია. ვიდრე სიმჩატე და სიფიცე „პირვანდელ“ კულტურაგაულელი სამხრეთელისა, პირიქით: გურია მემკვიდრე ნელი და მაგარი ნინაპრის. მას მხოლოდ „ემჩატება“ კულტურული სვლა. მისი სიფიცე მხოლოდ უქსტია არის-ტორატული ზვიადობის. მართალია, გურული ვერ შექმნის გერმანელის სიღრმეს, რომლის სიღრმეერ შეიძლება მხოლოდ

უზარმაზარმა დაკორძილმა და დაგრაგნილმა ხემ გადმოგვცეს, მაგრამ გურულს არც უყვარს „გრაგნილი სიკორძე“... მისი გენია უფრო პლასტიკური ზოლებით იკვეთება და ხალხთა შორის გურული უფრო რომანულ რასას ენათესავება, კერძოდ – ესაპანელებს თავისი ქედმალური ტემპერამენტით. ერთადერთი დამაფიქრებელი გურულის ნიჭი შემდეგია: გურიაში თითქმის ყველა ნიჭიერია, აქ არ არის უფსკრული გათხრილი პიროვნებებსა და მასებს შორის, თუ მივიღებთ, როგორც ბევრს

ჰერნია, ვითომ კულტურის ზრდაში საჭიროა ერთგვარი მანძილი „პიროვნებასა“ და „მასსას“ შორის – მაშინ გურულის შემოქმედება, რასაკუირველია, საეჭვო გახდება სიძლიერით. ყოველ შემთხვევაში, ეს პრობლემა და არა დადგინდილი ფაქტი. ჩემი პირადი მოსაზრება ამგვარია, გურულის ნიჭი ჯერ კიდევ მემკვიდრეობას პოტენციით იძლება და მისთვის გურიაში თითქმის ერთნაირად ნიჭიერი არიან ყველანი, მაგრამ როცა გურული მემკვიდრეობას მხოლოდ „გამოიყენებს“ ახალი ძალების ამოძრავებით, მაშინ გურულთა აუცილებლად აისახება ის მანძილი, რომელიც კულტურის ვითარებით თავს ჰყოფს „შემოქმედ პიროვნებასა“ და „ფართო მასსას“ შორის. აღნიშნულ დახასიათებას თითქოს ერთი ფაქტი ენინალდეგება: როგორ? გურია და არისტოკრატია?! გურია და „წარჩინების“ პათოსი?! განა გურიამ არ განამტკიცა საქართველოში სოციალისტური სხავლა რომელიც სრულიად ენინალდეგებოდა არისტოკრატული წარჩინების მიღრეკილებას?! და მართლაც: სოციალ-დემოკრატია საქართველოში გურულებმა შექმნეს, ჯერ მარტო თაოსანთა გვარები: ინგოროვა, ნინომვილი, ნოე უორდანია, თოხი რამიშვილი, ცინ-ცაძები, ბენია ჩხილებიშვილი, შარაშიძები, ხომერიკი, ნინიძე, უორფოლიანი, დოლიძები, ლალიანი-მაშულაშვილი...

ფაქტი ასეთია, მაგრამ მე მგრინა, ეს ფაქტი იღნავაც არ ენინალდეგება აღნიშნულ დახასიათებას. პირიქით: იგი სავსებით გამოდის უკანასკნელისაგან, წარმოიდგინეთ მემკვიდრენი ძლევამოსილი ნინაპრის, რომელიც ნივთიერი ყოფის უმნიერებას განიცდია.

ფსიქიურად სწორედ ასეთი მემკვიდრეებია გამზადილნი სოციალიზმის მისაღებად: მათ სხვაზე მეტად ესაჭიროებათ მდიდარი მატერიალური ყოფა – ისტორიულ თანდათანობას ისინი ვერ შეურიგდებიან, ამისათვის მათ აკლიათ უკულტუროს თმენა და გემოს არცოდნა – „როდემდე ვიცადოთ?“! – აი მათი დამახასიათებელი საკითხი. სწორედ ასეთ მემკვიდრეებს წარმოადგენენ გურულები, ისინი გამოვიდნენ სოციალისტებად, რადგან სულით უაღრესად აზნაურნი არიან და ყოფით ღარიბი. თანვე ისიც უნდა დაუმატოთ, რომ მათ მიერ სოციალიზმის მიღებას ხელს უწყობდა უთუოდ ზემოაღნიშნული თვისება: ერთნაირად დაჯილდოება ნიჭით, ეს „ერთნაირობა“ ფსიქოლოგიური პირობაა სოციალიზმის მიღებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ გურულები სოციალუსტური სამოსელით გვეჩევენებიან. მათი ფსიქიკა მაიც აზნაურულია. ყველაფერი შეიძლება ამოშალო გურულში, მაგრამ „წარმატებულობის“, „ერთგულობის“ გრძნობას მათში ვერავინ ამოშლის. გურულის სიამაყე – „პათოსია მანძილის“ (იგულისხმება „ჩემსა“ და „სხვებს“ შორის.)



გურული მზღვის მარტონი

26
წელი

საქართველოს აქცე თავისი აღმიღი მსოფლიოში

რა არის თავისუფლება? – „ისე მსურინ, ვითარდა ირემსა დამაშვრალსა წყაროდასთვის“, მეოცე საუკუნეში გალაკტიონ ტაბიძე წერდა – „თავისუფლება სულს ისე მოსხურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“. ასეთი ლადი და თავისუფლების მოყვარეა ქართველი ერი, რომლის 21 საუკუნოვანი ისტორია როული და ნინაალმდებობებით სავსეა. მეოცე საუკუნემ განსხვავებული რეალობა შექმნა; გაყინული კონფლიქტები, ოკუპაციები ტერიტორიები, როული სოციალურ-ეკონომიკური მდგრამარეობა ქართველების ეთნობენდა, ყირიმის სცენარის განმეორების საფრთხე, იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები, რომლებიც თავიანთ სახლები დაბრუნებას ნატრულობენ. აფხაზეთიდან დევნილ ქართველ მხატვარს, ირაკლი მიზრახს ვკითხე – „რა არის შენთვის აფხაზეთი?“ – მან მიპასუხა – „ერთ-ერთ ნამუშევარში აფხაზეთის სანაპირო დავხატე. დასანყიში კარგად მოჩანს შუქის ბოძები, შემდეგ ბუნდოვნად, მესამე ლანდივით, მეოთხე უკვე აღარ ჩანს. ბავშვობის მოგონება ნელ-ნელა იშლება, ბურუსში იკარგება, შიში მეუფლება, გავა დრო და აღარ მემახსოვრება. ჩვენი ოცნება იქ დავტოვეთ, არ ვიცით, როდის დაგრძელებით.“

წარსულში დაშვებული შეცდომების კარგი გაკვეთილი ქვეყნის ისტორიაა, მომავალმა თაობამ უნდა ისწავლოს, რომ ეს შეცდომები არ გაიმეორონ. მავთულბლართების მიღმა მყოფები დაარწმუნონ, მათი მდგომარეობა დროებითია და ქვეყნის ტერიტორიაზე ყველა ეთნოსი შეძლებს ქართველებთან თანაცხოვრებას. საქართველო მარადიულია, ბევრი დაცემის მიუხედავად ფეხზე წამოდგენა, თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის ისევ გააგრძელებს ბრძოლას, არა იარაღით და სისხლისღვრით. 21-ე საუკუნეში კონფლიქტების მოგვარების განსხვავებული მეთოდები უნდა შეიმუშაონ, ამ პროცესში თითოეული მოქალაქე გახდეს თანამონანილე. სასურველი შედეგის მისაღწევად კეთილ ნებას ხელისუფლების წარმომადგენლები



ღიამიწიდან ამოგდებული მფრინავი კუნძული სადართველო
ირაკლი მიძინების ნასაცი

უნდა გამოხატავდნენ.

26 მაისი ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეა, თბილისში და 11 თვითმმართველ ქალაქში საზეიმი ლონისძიებები გამართა. იროვეზის ტიპის ვერტმფრენებმა თბილისს ეროვნული დროშით გადაუფრინეს, შემდეგ ოფიციალური ლონისძიება დაიწყო, რომელიც 45 წელი გაგრძელდა. თავისუფლების მოედანზე გენერალური შტაბის უფროსის სამხედრო პატაკი ქვეყნის მთავარსარდალმა გიორგი მარგველაშვილმა ჩაიბარა. 200 ახალწეულმა ფიცი პრეზიდენტის წინაშე დადო. შემდეგ თავისუფლების მოედანზე შეკრებილებს სიტყვით მიმართა – „თბილისიდან მსურს მადლობა ვუთხრა მავთულბლართების მიღმა მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებს, მათი ნების საფუძველზე ჩვენ ალვადგინეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, შეიქმნა ერთიანი სახელმწიფო. დამოუკიდებლობა ის ქვაკუთხედია, რომელზეც ქვეყნის სახელმწიფოებრიობა შენდება. ჯერ კიდევ ჩვენი ტერიტორიები იკუპირებულია, არ გვაქვს შესაძლებლობა, ვიზრუნვით ჩვენი მოქალაქეების უფლებების დაცვაზე, რადგან ისინი მავთულბლართების მიღმა არიან, მაგრამ წლების მანძილზე გამოვალინეთ ურყევე ნება, რომ საქართველოს სახელმწიფო იყოს მთლიანი, სუვერენული და ძლიერი, ასე გაგრძელდება საუკუნეების მანძილზე“.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა სიტყვით



ახალწეულების ფიცის ღარება



କୁଳାରୀ ଉତ୍ସମାନ୍ଦ୍ୟରେ ଘାଁବାନିବାରେ



କେବଳମୁଖୀଙ୍କ କାର୍ଯ୍ୟରେତ୍ତା କା ମନ୍ଦିରରେତ୍ତା ଏଥିରେମିହିମିରେ ପାଇଅବେ ମିଣିଟ୍‌ଲେଟିଂ ମିଶ୍ରମାରୁ
ମେଲାଫାରା ନାନା ମେଲାରେତ୍ତା ଏଥିରେମିହିମିରେ ପାଇଅବେ ମିଶ୍ରମାରୁମେଲାଫାରା କାର୍ଯ୍ୟରେତ୍ତା



მიმართა შეიარაღებულ ძალებს - „დღევანდელი დღე მსურს მიუვლოცო ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, ჩვენს ვეტერანებს, თითოეულ ჯარისკაცს და ოფიცერს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იცავენ სამშობლოს, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფობრივ ინტერესებს. სამშობლო, ღირსება, ერთგულება-ეს არის ჩვენი შეიარაღებული ძალების დევიზი.“

თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას განცხადებით ქვეყნის დამოუკიდებლობაში დიდი როლი მიუძღვით შეიარაღებულ ძალებს – „ჩვენ გვჭირდება მშვიდობა, მაგრამ მშვიდობა დაცული რომ იყოს, თქვენი თავდადება, სულიერი სიმტკიცე და გამბედაობაა აუცილებელი“.

26 მაისს ეკროპის მოედანზე და რუსთაველის გამზირზე ხალხმრაცლობა იყო. დედაქალაქის მთავარ გამზირზე სამინისტროებს საინფორმაციო კუთხები, ხოლო სხვადასხვა კომპანიებს სტერტებზე თავიანთი პროდუქცია ჰქონდათ ნარმოდგენილი. განსაკუთრებული მოწონება შსს-ს და შეიარაღებული ძალების ტექნიკამ დაიმსახურა. გამოფენილი ექსპონატები ქვეყნის პირველმა პირებმა დაათვალიერეს. ოჯახის წევრებთან ერთად სახალხო სეირნობა თავისუფლების მოედნობან დაიწყეს. ირაკლი ღარიბაშვილმა და გიორგი მარგველაშვილმა საარქივო დოკუმენტს მოაწერეს ხელი, რომელიც სპეციალურად დამოუკიდებლობის დღისთვის საგანგებოდ შეიქმნა. იუსტიციის სამინისტროს მომსახურების პავილიონში პრემიერ-მინისტრმა სიმბოლურად ქორწინების მონმობა, ხოლო პრეზიდენტმა აიდი ბარათი აიღეს. სახალხო სეირნობის მონაწილეებმა სურვილები ჰქონია ბურთში მოათავსეს და ფაში გაუშვის.

რუსთაველის გამზირზე და ევროპის მოედანზე სხვა-
დასხვა კულტურული ღონისძიებები გაიმართა. „ალილომ“
და „შვიდყაცამ“ მრავალუამიერი შეასრულეს. ნიაზ დიასა-
მიძებ 4 კომპოზიციით მიუღლოცა შსმენელებს დამოუკიდე-
ბლობის დღე. სუხიშვილების ანსამბლმა მაყურებელს მე-
სამე თაობის ცეკვები შესთავაზა, სიმბოლურად ხორუმი
შეასრულეს.

თბილისში შარდენზე სოფიკო ჭავაურელის სკეპტიკი ყვა-
ვილების ფესტივალი სამი დღე გამრადელდა. 250-მდე კერძო
კომპანიამ ადგილობრივი და არა უცხოეთიდან შემოტანილი
პროდუქცია შესთავაზა დამთვალიერებლებს. ქალბატონე-
ბისთვის იქ სეირნობა განსაკუთრებით სასიხარულო იყო,
მინდვრის ყვავილებით დაწნულ გვირგვინებს თავზე ირგებდ-
ნენ და ერთმანეთს დღესასწაულს ულოკავნენ.

სახალხო ზეიმი თბილისის გარდა 11 თვითმმართველ ქალაქში, მათ შორის ოზურგეთში გაიმართა.

ლელა სურმავა



საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ოზურგეთის ცენტრი დღესასწაულს ადგილად იქცა. ღონისძიებები ჭადრების ბაღში, თეატრალურ მოედანზე, კულტურისა და დასვენების პარკში, სპორტის განვითარების ცენტრში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარდა.

დღის 12:00 საათიდან, საღამოს 21:30 საათამდე ეს ადგილები სახალხო თავშეყრის ადგილი იყო. დამოუკიდებლობის დღე ულა-მაზესი ფოიერვერკით დასრულდა.

ჭადრების ბაღში ხელოვნების ნამდვილი ზეიმი გაიმართა. ფო-ტოების, ნახატების გამოფენები, თოჯინების თეატრის წარმო-დგენა ბავშვებისთვის, ხალხური ანსამბლების კონცერტები ღია ცის ქვეშ – გასართობად გამოსულ მოსახლეობას კარგ განწყობას უქმნიდა.

ოზურგეთის პროფესიული კოლეჯი „ჰოსტინგის“ მიერ წარ-მოდგენილი იყო კოლეჯის კულინარების მიერ მომზადებული კერ-ძები. ისინი იმდენად ჰგავდნენ ხელოვნების ნიმუშებს, მისი და-გემოვნება დაგენაციონალურად. თუმცა, მოსახლეობამ სიმოვნებით მიირთვა სტუდენტების მიერ მომზადებული კერძები.

თეატრალურ მოედანზე სამხედრო ტექნიკა იყო განლაგებუ-ლი. მოსახლეობა, განსაკუთრებით კი ბავშვები, ყველაზე დიდი ინტერესით მაინც ამ ადგილს ათვალიერებდნენ. ჯავშნოტრანს-პორტორები, ცეცხლსასროლი იარაღები, ჯარისკაცის აღჭურვი-ლობა, ნაღმტყურცნები, საბრძოლო მანქანები – ქართული ჯარის შეიარაღებაში შემავალი აღჭურვილობა, ნამდვილად იმსახურება დიდ ინტერესს. „ჯარისკაცები ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე დგანან და პატივიცემას იმსახურებენ, როგორც ქვეყნის რიგითი მოქალა-ქე, მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის ლირსებას, შესაბამისად აღჭურვილები დაიცავენ“ – მითხრა ერთ-ერთმა დამთვალიერე-ბელმა.

სამხედრო მანქანებთან მთელი დღე ბავშვების ქრიამული იყო, ყველას სურდა ახლოს ენახა მძიმე ტექნიკა, მანქანებში ჩამსხ-დარიყვნენ. უკვე კარგი ტრადიცია დამკვიდრდა, ვაულისხმობ, დამოუკიდებლობის დღეს, საქართველოს ქალაქებში სამხედრო ტექნიკის გამოფენას.


მოგვანებით, ჭადრების ბაღში ლუდში შეჯიბრება მოეწყო. მაშინვე ხალხის ყურადღების მიიპყრო. შეჯიბრებაში გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ. პირველ ადგილზე გასული 20 ბოთლი ლუდით „ოზურგეთლუდისგან“, მეორე ადგილზე გასული 15 და მესამეზე 10 ბოთლით. სანახაობა დალიან სახალისო იყო. კულტუ-რისა და დასვენების პარკში, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები გაიმართა.

დღე კონცერტით დასრულდა, ოზურგეთელების განწყობაზე დათუნა სირბილაძე, საღლომე ქათამაძე, ცისანა სეფიაშვილი, ჯგუ-ფი „ქუჩის ბიჭები“და ადგილობრივი ფოლკლორული ანსამბლები ზრუნავდნენ. საღამოს ულამაზესი ფოიერვერკი მოეწყო.

თათა სამსონიძე



მიღია სალუქაპი ის ლეგანია,
რომელიც ყოველთვის იპრეცინებს



თითოეულ ადამიანს ცხოვრება
კანონზომიერ საოცრებებს უმზადე-
ბს. ამ ცვლილებებს ის მომზადებული
უნდა შეხვდეს. მინდია სალუქვაძემ
ბავშვობა და ახალგაზრდობის წლები
მშობლების მზრუნველობის გარეშე
გაატარა. მამა, ევგენი (უჩა) სალუქვა-
ძე 26 წლის ასაკში უკვე სკოლის დი-
რექტრი იყო. დედა, მანონა ცინცაძე
დაწყებითი კლასის პედაგოგი, ის დაბა
ჩოხატაურში დაიბადა. მათ თბილისის
მახლობლად ერთ-ერთ სოფლის სკო-
ლაში გაიცნეს ერთმანეთი და დაქო-
რწინდნენ.

მეოცე საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს ეს ოჯახიც ემსხვერპლა. ცნობილი ფილოლოგი უჩა სალუქვაძე კომუნისტურ რეჟიმს აკრიტიკებდა. ის დაიჭირეს და ციმბირში 8 წლით გადაასახლეს. მანონა ქმრის სანახავად ნავიდა, როცა თბილისში დაპრუნდა, გვან ღამით მასთან ხელისუფლების წარმომადგენლები მივიღნენ, მათ ბავშვების ნაყვანაც სურდათ, დედამ არ გაატანა, უთხრა – „ვიყივლებ და მეზობლებს შევყრიო“. უფროს შვილს, ელგუჯას დაუბარა – „პატარა, 4 წლის მინდია მამიდა ელესთან ნაიყვანე“. იმ ღამით წაიყვანეს და მეუღლეზე ადრე დახვრიტეს. მშობლების დახვრეტის საბუთები მინდია სალუქვაძეს შენახული აქვს. მამა საერთოდ არ ახსოვს, დედა, კი, მხოლოდ ერთ ეპიზოდში აგონდება, როცა ის სკოლაში წაიყვანა და გოგონების შუაში დასვა. მინდიას ბიძა, გივი სალუქვაძეც დახვრიტეს, ისიც ჰედაგოგი იყო. მამიდა ელეონორე (ელე) სალუქვაძე-კალანდარიშვილმა თავის ორ შვილთან ერთად უჩას შვილებიც გაზარდა. „თუ კი რამ სიკეთეა ჩემში, მამიდაჩე-მიდანაა“ – აბბოს მინდია სალუქვაძე-

ძე. ბავშვობის დროინდელ ეკონომიკურ სიდურეზე მტკიცებულად იხსენებს, ყოველთვის ფეხსაცმელის დეფიციტი ჰქონდა, დღემდე პეტრ ფეხსაცმელს იძენს, ის დანაკლისი რომ ალიდგინოს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ შვება რეპრესირებულთა საზოგადოების ხელმძღვანელობაში ჰპოვა. მან უსამართლოდ რეპრესირებული მოქალაქეების ზნეობრივ რეაპოლიტაციაში დიდი სამუშაო ჩაატარა. მინდონ სალუქვაძის ყველა რეპრესირებული ახლობელი 1958 წელს არის რეაპოლიტირებული. მშობლებს თბილიში ვერის სასაფლაოზე სიმბოლური საფლავები დაუდგა, არავინ იცის, თუ სად არის უჩას, გივის და მანონას ნეშთები დაკრძალული.

უჩა სალუქვაძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში, კვაჭალათზე დაიბადა, მინდიასთვის ის ოდა სახლი ცველაზე საყვარელი იყო, რადგან მამის მოგონებას უღვივებდა. უჩამ ცოლ-ქმარს, ვალოდია სალუქვაძეს და ფასულია ჭინუებაძეს, დაუბარა - „ფუტი არ გამიციოთ და საცხოვრებლად ჩემს სახლში გადადიოთ“. აშშ-ი ყოვნის დროს მინდია ვალოდიას წერილს წერდა - „კვაჭალათზე ბაბუას ეზოში გავლას არაფერი მირჩევნიათ. კარტს გიგზავნით და უბრალო მოთამაშებება არ ითამაშოთ“. დღეს, იმ ეზოში ვალოდიას მონაგარი შუტუ და ნოდარ სალუქვაძები ცხოვრობენ. მინდიას მშობლები, ყველა წინაპარი გურული ჰყავდა, შეიძლება ითქავა, ის წამოვალი უზრუნველყოფა უხვავას

იუმორი. უდედმამო 4 წლის ბავშვის
ისტორია, მართალია, ტრაგიკულად
დაიწყო, თუმცა მას წინ საოცრებები
ელოდა. ეს საოცრება, კი, მეცნიერე-
ბა იყო, რომელსაც მთელი ცხოვრება
მიუძღვნა.

მინდია სალუქვაძემ 1950 წელს
ნარჩინებით დამთავრა თბილისის
37-ე ვაჟთა საშუალო სკოლა. 1950
წელს თბილისის სახელმწიფო უნივე-
რიტეტის ფიზიკა-ტექნიკის ფაკულ-
ტეტზე ჩაირიცხა, უნივერსიტეტის
დამთავრების შემდეგ გაანანილეს
ქალაქ სოხუმის ფიზიკა - ტექნიკის
ინსტიტუტში, თუმცა ანკუტერი მო-
ნაცემების გამო არ მიიღეს, მუშაობა
დაიწყო 55-ე საშუალო სკოლაში ფი-
ზიკის მანაცლებლად.

ପାରାଲ୍‌ଲେଉସରାଫ ମେବନ୍‌କୋର୍କେପାତା ଆଜା-
ଦେଶିମାଶି, ସାମେବନ୍‌କୋର୍କ ମେଲ୍‌ଗାନ୍‌ହୋପିଲ୍‌ଟ-
ବିଲ୍ ଉଠିଥାଏଦେବାଦା । 1957 ନେଇସ ମୁଖ୍ୟାନ୍ଦା
ଫାଇନ୍‌ଯୁକ୍ ବାକ୍‌ଚାରତ୍‌ପ୍ରେଲାଲ୍ ମେବନ୍‌କୋର୍କେପାତା
ଆଜାଦେଶିମାଶି ଉଲ୍‌ଲେକ୍‌ଟିରନ୍‌କ୍ଲାବିସ, ଆପ୍ରିଲମା-
ତ୍ରିକ୍ଷିଳା ଓ ତ୍ରୈଲ୍‌ମେହେବାନିକ୍ଲାବିସ(ଅମ୍ବାମାଦ
ମାରତ୍‌ଵିଲ୍ ସିଲ୍‌ସିଟ୍‌ମେହେବି ନିନ୍‌ସିଟିକ୍‌ଲ୍‌ଟ୍‌ର୍‌ଟାର୍) ଉପ-
କ୍ରମୀକରଣ ମେବନ୍‌କୋର୍କ ତାଙ୍କାମଧ୍ୟରମଲାଦ । 1961
ନେଇସ ଫାଇନ୍‌ଯୁକ୍ ବାକ୍‌ଚାରତ୍‌ପ୍ରେଲାଲ୍ ମାରତ୍‌ଵିଲ୍
କ୍ରମୀକରଣ ମେହେବି ନିନ୍‌ସିଟିକ୍‌ଲ୍‌ଟ୍‌ର୍‌ଟାର୍ ଏପିରାନ-
ଟ୍ରୀରା, ବାକ୍‌ଚାରତ୍‌ପ୍ରେଲାଲ୍ ଏପିରାନ-
ଟ୍ରୀରା ।

1963 წელს დაიცვა დისერტაცია
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
1966 წელს მიენიჭა უფროსი მეცნიერ
თანამშრომლის სამეცნიერო წოდება.
ასპირანტურის დამთავრების შემდეგ
თაპროფესია საქართველოს მუნიციპალიტეტის



მ. სალუტარი თემატიკის ათა თემატიკის სასახლეთან

ბათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ჯერ ლაპორატორიის ხელმძღვანელის (1968 წელი), შემდეგ ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის (1971 წელი) და დირექტორის (1981 წელი) თანამდებობებზე.

2007 წლიდან მინდია სალუქვაძე ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელია. 1974 წელს დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაბოვებლად. 1980 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1983 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1993 წელს ნამდვილ წევრად. წლების მანძილზე იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, აკადემიის პრეზიდენტის წევრი, ამჟამად, არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიური საბჭოს წევრი და საინჟინრო პრობლემების, ენერგეტიკისა და მართვის თეორიის კომისიის თავმჯდომარე. გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ავტომატური მართვის სისტემების მდგრადი და მართვის თეორიისა და ოპტიმალური მართვის სისტემების თეორიის საკითხებზე. ასევე 16 მონოგრაფია და სუთი სახელმძღვანელო (თანაავტორებთან ერთად) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. მეცნიერი 1964 წლიდან ენევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1978 წლიდან არის საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი.

მინდია სალუქვაძე სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, სხვადასხვა დროს იმყოფებოდა ინგლისში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, იაპონიაში, ტაივანზე, მექსიკაში, აშშ-ში, ავსტრიაში, გერმანიაში, ჩინეთში, ჩეხეთში, არგენტინაში. ამერიკელი სწავლულების ინიციატივით სამეცნიერო ლიტერატურაში შესულია ტერმინები; „სალუქვაძის მეთოდი“, „სალუქვაძის ამოხსნა“, „სალუქვაძის პრინციპი“ და „სალუქვაძის იდეალური მანძილის მინიმიზაციის მეთოდი“.

1972 წელს პარიზში საერთაშორისო კონგრესზე მოხსენებით გამოვიდა მინდია სალუქვაძე. ავტორმა პირველად ჩამოაყალიბა ამოცანა ხარისხის რამდენიმე კრიტიკის მიმართ იპ-

ტიმალური დინამიკური სისტემისა და რეგულატორის კონსტრუირების პრობლემის შესახებ. მან კონგრესს მისი გადაწყვეტის კომპრომისული მეთოდი შესთავაზა.

მინდია სალუქვაძე წლების მანძილზე თავმჯდომარეობდა ავტომატური მართვის საერთაშორისო ფედერაციის ქართულ სექციას. მჭიდრო კონტაქტები აქვს მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან და აღიარებულ მეცნიერებთან. ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტში აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ენევა. დაჯილდოებულია ღირსების ორი ორდენით, მრავალი სიგელითა და დიპლომით.

მინდია სალუქვაძე ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელია. კეთილშობილი, კაცომუვარე, პრინციპული, ინტელექტუალი პიროვებაა, რაც მის ფიზიკურ გარეგნობას კიდევ უფრო აკეთილშობილებს. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მისი ხელმოწერა ამშენებს, უზენაესი საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, როცა კომუნისტური პარტიის წევრებს, მათ შორის მინდია სალუქვაძეს, შეუწყდათ სადეკუტატო უფლებამოსილება, მან ხმამაღლა განაცხადა – „ამ მთავრობით და უზენაესი საბჭოთი საქართველო წინ ვერ წავაო“. მისი სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. ეროვნულმა ხელისუფლებამ სახელმწიფო გადატრიალებისგან თავი ვერ დაიცვა. განაწენების მიუხედავად მას არც იპოზიციური პარტია შეუქმნია და არც „მხედრიონში“ ჩაეწერა, ბოლომდე შეინარჩუნა ღირსება.

მინდია სალუქვაძის თაობამ ულ-



მერთობის ხანა გამოიარა, თუმცა მართლმადიდებელ ფესვებს დაუბრუნდა. მან მოახერხა უფლის რჩებაში გარდასახულიყო. მისი უწმინდესობა ყოველდღიურად უწევს პროპაგანდას ქართული ეროვნული კულტურის აღორძინებას, ქართული ინტელიგენციის მონინავე ფენესათან მეცნიერ-ჩოხხესანებთან მინიჭებულვან შეხვედრებს მართავს. მინდია სალუქვაძე საქართველოს ჩოხხესანთა საზოგადოების საპატიო პრეზიდენტია.

მინდია სალუქვაძე ის ღეგენდაა, რომელიც ყოველთვის იბრნეინებს. მეცნიერებაში მან მწვერვალს მიაღწია. თავისი თავმდაბლობით საზოგადოებას უბრალოების უპირატესობა დაანახა. მან პიროვნული ღირსებით თავისი წოდების ავტორიტეტი აამაღლა. მინდია სალუქვაძის ცხოვრება, მოღვაწეობა და შემოქმედება მისაბაძი მაგალითია, როგორი მონდომებით და კეთილსინდისიერად უწდა ემსახურო მეცნიერებას, საზოგადოებას და სამშობლოს.

ლელა სურმავა



მ. სალუქვაძე ჩატავანთა დაგვართულობის საპატიო პრეზიდენტი



წიგნი თუ კომპიუტერი? ხშირად დაუსვამთ ეს კითხვა პრესის ფურცლებიდან თუ ტელეერანიდან. სხვადასხვა ასაკის ადამიანები აფიქსირებდნენ საკუთარ აზრს ამ კითხვაზე. ქალაქებში, სადაც რაიონებთან შედარებით ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ძნელა მოზარდის წიგნით დაინტერესება, თუმცა – არა შეუძლებელი. რეგიონებში იოლია სკოლის მოსწავლის ყურადღება წიგნებზე გადაიტანო, თუმცა, დაძალებით არაფერი გამოვა.

როგორადაა ბიბლიოთეკების ახალი წიგნებით მომარაგების საქმეც. მწირი დაფინანსების და წიგნებზე მაღალი ფასების გამო, ბიბლიოთეკები რეგიონებში იშვიათად იძენენ ახალ გამოცემებს, სოფლის ბიბლიოთეკები კი საერთოდ ვერ ახერხებენ წელიწადში ერთი ახალი წიგნი მაინც ყიდულობენ. ბიბლიოთეკები პერიოდულად ატარებენ ღონისძიებებს, რომლებშიც სკოლის მოსწავლეები არიან ჩართული. ამით ცდილობენ, მოზარდების ყურადღება წიგნებზე მომართონ. ეს მეთოდი იშვიათად მაგრამ მაინც ამართლებს. მოზარდის დაინტერესება წიგნით, თავდაპირველად ოჯახში უნდა მოხდეს, შემდეგ – სკოლაში... ძნელად მოიძენება წიგნიერი ოჯახი, რომლის მომავალსაც წიგნის კითხვა არ უყვარდეს. ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფაზეა მშობელი გადასული, ამიტომ როგორია, ფულის მომეტება წიგნისთვის და შეიძლისთვის იმის შეხსნება, რომ განათლება, წიგნების კითხვა აუცილებელია, რომ საზოგადოებაში საკუთარი ადგილი დაიმკვიდრო. **მით უფრო, რომ დღეს უმაღლესნარჩინებით დამთავრებულები სახლში უმუშევრები სხედან და ეგრედ წოდებულ „კიბის ქვეშა“ ინსტიტუტდამთავრებული საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს.**

ოჯახის შემდეგ, სკოლამ უნდა იზრუნოს მოზარდის წიგნიერებაზე და მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის პრობლემა არ არის. ყველა საგნის პედაგოგმა უნდა იზრუნოს მოსწავლის წიგნებისადმი ყურადღების მიქცევაზე და წაკითხული წიგნების ანალიზიც ერთად უნდა გააკეთონ. თუმცა, აქაც პრობლემებია, ერთეული პედაგოგების გარდა, თითქმის არავინ ინტერესდება იმით, თუ რა ლიტერატურას კითხულობს ან უნდა წაკითხოს მოსწავლემ. ამის მიზეზი ხშირად დროის უქონლობაა (მოსწავლეების უმეტესობა კერძოდ ემზადება და ამდენად პედაგოგი ძალიან დაკავებულია). თუმცა, პედაგოგებმა ჩვენთან


30წე არის წიგნის მოყვარული, გოლომებე წიგნის მოყვარულად ჩჩება, 30წე არა – აზრი არ აქვს გათთან წიგნიერებაზე სასაუბროდ დროის კარგვას

საუბარში აღნიშნეს, რომ სცადეს მოსწავლეების ყურადღება წიგნებზე მიეციათ, მისცეს წასაკითხი ლიტერატურა, ესაუბრენ ამაზე, თუმცა, შედეგს ვერ მიაღწევს.

„ვინც არის წიგნის მოყვარული, ბოლომდე წიგნის მოყვარულად რჩება, ვინც არა – აზრი არ აქვს მათთან წიგნიერებაზე სასაუბროდ დროის კარგვას“ – მითხრეს პედაგოგებმა.

ვიღაც დაეთანხმება ამ აზრს, ვიღაც – არა. ჩემი პირადი მოსაზრებით კი, დაწყებითი კლასების პედაგოგებმა უნდა იზრუნონ პატარების წიგნიერებაზე, უნდა შეაყვარონ მათ წიგნები და მშობლებსაც მოსთხოვონ აკონტროლონ ბავშვი, წაკითხავს თუ არა მიცემულ წიგნს. არც მშობელს დაუშავდება არაფერი, ყოველდღიურ რუტინას თუ გამოეთიშება სულ ცოტა 20 წუთით და საკუთარ შვილს ერთ პატარა მოთხოვთას, ან ნაწყვეტს მაინც წაკითხავს, რა თქმა უნდა, სანამ ბავშვი კითხვას თავად შეძლებს.

ჩვენ მოსწავლეების ნაწილს გავესაუბრეთ და ყველამ



აღნიშნა, რომ წიგნებს კითხულობენ, თუმცა, ვერც ერთი წიგნი ვერ დამისახელეს ბოლო თვეების განმავლობაში წაყითხულიდან. ჩვენი რესპონდენტები, მერვე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები იყვნენ. მათთან საუბრის დროს, რამდენიმე წიგნი დაგასახელე და ვურჩიე მათ წაეკითხათ. რამდენად გაითვალისწინებენ ჩემს რჩებას, ვერ გეტყვით.

კატეგორია არის მკითხველებისა (არც ვიცი მათ მკითხველები ვუწოდო თუ არა), რომლებიც მოდას აყოლილები არიან და ყველა ახალ გამოცემულ წიგნს ყიდულობენ. მათ ამის მატერიალური საშუალებაც აქვთ და სრული უფლებაც. თუმცა, ძნელად დასაჯერებელია კითხულობენ თუ არა თავად, ან მათი შეიღები ამ წიგნებს. უმეტეს შემთხვევაში პასუხი უარყოფითია (მაგალითების საფუძველზე).

ისიც უნდა აღვინიშნო, რომ არიან მოზარდები, რომლებიც კითხულობენ და საქმაოდ აქტიურადაც სხვადასხვა სახის ლიტერატურას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში მათ აკლიათ მრჩეველი და ადამიანი, ვინც ნაწარმოების ანალიზში დაეხმარება.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ პიბლიოთეკებმა წიგნების პრეზენტაციებით დაიწყეს 2014 წელი, რომელიც წიგნიერების წლად გამოცხადდა და წლის ბოლომდე ბევრი ლონისძიებაა ამ კუთხით დაგეგმილი. რა თქმა უნდა, რეგიონების ბიბლიოთეკებს ვგულისხმობ. სასურველია ბიბლიოთეკებში ლიტერატურული სალონების ამოქმედებაც, სადაც წიგნისმოყვარულები შეიკრიბებიან და ყოველ წაკითხულ წიგნზე თავიანთ შთაბეჭდილებებს დააფიქსირებენ, თუმცა, ამასაც გარკვეული თანხა სჭირდება.

ჩოხატაურის მთავარი ბიბლიოთეკის საბაზო განყოფილებას (მეცხრე კლასის ჩათვლით), ხუთი თვის მონაცემებით, 120 მკითხველი ჰყავს, აქ არ შედიან ის მკითხველები, რომლებიც სხვადასხვა ინფორმაციის მისაღებად, დარბაზს მიმართავენ, ინტერნეტში ხდება მათვის სასურველი ინ-

ფორმაციის მოძიება და გაცემა ბეჭდური სახით.

„რეგიონებში მწერლები და პოეტები თუ გვესტუმრებიან. ძალიან მსურს დათო ტურაშვილის გაცნობა. ამის საშუალება უნდა პქონდეს მუნიციპალიტეტს, რომ წელიწადში ორჯერ ორი მწერალი მაინც ჩამოიყვანოს და მკითხველს შეგვაცვედროს“, – მითხვა ჩოხატაურის ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა მკითხველმა.

ესეც ყურადსალება ფაქტია. მკითხველს, სჭირდება საყვარელ მწერალთან შეხვედრა და მისთვის კითხვების დასმა, გასაუბრება. მასხოვს, ბავშვობაში სულაკაურის „ოქროს თევზი“ რომ წავიკითხე, ფინალი იმდენად გაურკვეველი იყო ჩემთვის, ვოცნებობდი, შევხედროდი მწერალს (რომელიც მაშინ ცოცხალი იყო) და მისთვის კითხვები დამესვა.

იმედია მომავალი თაობა, რომლებიც ჯერ სულ პატარები არიან (საბავშვო ბალის და დაწყებითების ასაკის), უფრო მეტად იქნებიან დაინტერესებული წიგნების კითხვით, ვიდრე დღევანდელი მერვე-მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები. კარგი იქნება, თუ პედაგოგებიც მეტად მიაქცევენ ყურადღებას მოზარდების წიგნიერებას; გეოგრაფიის მასწავლებელი მოგზაურობაზე შექმნილ ნაწარმოებებს შეურჩევს მოსწავლეს, ისტორიის პედაგოგი – ისტორიულ ლიტერატურას, სამართალმცოდნოებას ვინც ასწავლის სკოლებში, იმ პედაგოგებასაც შეუძლიათ, თუნდაც დეტექტიური ლიტერატურის შეთავაზება მოსწავლეებისთვის და შემდეგ ერთად მსჯელობა დანაშაულებების კატეგორიებზე, გამიძიების გზებზე და ასე თამაშ-თამაშით შესწავლა და შეყვარება წიგნის. ეს, რა თქმა უნდა, ჩემი მოკრძალებული აზრია და იმედია მკაცრად არ განმსჯიან პედაგოგები, მისი შეთავაზებისათვის.

ნერილი კი იღია ჭავჭავაძის სიტყვებით მსურს დავასრულო: „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა...“
ნინო დოლიძე

სისტემური კერძოდოზურა პროცესი შესწავლა შენიშვნები

გვესაუბრება ჩოხატაურის საგანმანათლებლო რესურსების უფროსი შორის სისხარულიდა

– ქალბატონი შორენა, როგორც ცნობილია, ახალი სასწავლო ცლიდნ ამოქმედდება პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემა. რა არის ამ სისტემის მიზანი და როგორ ჩაირთვებიან სქემაში მასწავლებლები, რომლებიც უკვე სერტიფიცირებული არიან?

– ახალი სისტემის მიზანია შემოიტანოს სკოლებში მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას, მასწავლებლის კომპეტენციის ამაღლებას, მის პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ ზრდას. ყველა მოქმედი მასწავლებელი ავტომატურად გახდება ახალი სასწავლო ცლიდნ ამ სისტემის ნაწილი. კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიზედვით, შეიცვალა მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი. ახალი სტანდარტი ადგენს მასწავლებლის ოთხ საკვალიფიკაციო კატეგორიას.

– რას ნიშნავს ოთხსაფეხურიანი პროფესიული სტანდარტი?

– პროფესიული სტანდარტი ვრცელდება ყველა მასწავლებელზე, სწორედ, სტანდარტს დაეყრდნობა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სისტემა. მისი გამოყენებით შეფასდება მასწავლებლების კომპეტენციები. მასზე დაყრდნობით შეიქმნება „მასწავლებლის პროფესიული საქმიანობის შეფასების გზამკელევი“. სტანდარტი არის



მასწავლებლის მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის საფუძველი. კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების მიხედვით, სტანდარტი ადგენს მასწავლებლის ოთხსაკვალიფიკაციო კატეგორიას. ის გვაძლევს კრიტერიუმებს და აღწერს, როგორი გზით მიღის მასწავლებლი პროფესიული განვითარების პროცესში.

– როგორ მოხვდებიან მასწავლებლები ამა თუ იმ კატეგორიაში?

– პირველი პროცესი დაიწყება 2014 წლის სექტემბერში: დიპლომის ხარისხის და სერტიფიცირების გათვალისწინებით მოქმედი მასწავლებლები გადანაწილდებიან სამ კატეგორიაში.



1. ყველა არასერტიფიცირებული მასწავლებელი (ბაკალავრი, მაგისტრი) – შევა პრაქტიკოსი მასწავლებლის კატეგორიაში;

2. ყველა სერტიფიცირებული მასწავლებელი (ბაკალავრი, მაგისტრი) – შევა ნარჩინებული მასწავლებლის კატეგორიაში;

3. საგნის მეცნიერებათა დოკტორი, რომელიც არის მოქმედი მასწავლებელი – გახდება მკვლევარი იმასწავლებელი.

ამ ეტაპზე მენტორი მასწავლებელი არ გვეყოლება. 2014 წლის სექტემბრიდან მასწავლებელი კატეგორიაში მოხვდება მისი პროფესიული საქმიანობის შეფასების, კვალიფიკაციის და სწავლების შედეგების მიხედვით.

– აისახება თუ არა კლასიფიკაცია ხელფასზე?

– გარდა იმისა რომ ახალი სისტემის დანერგვის უპირველესი მიზანია ხელი შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებო დანერგვის მიზანი ისახავს გახადოს მასწავლებლის პროფესია მიმზიდველი და მოთხოვნადი. აქედან გამომდინარე კლასიფიკაცია, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად აისახება პედაგოგის ანაზღაურებაზე.

– ამ ახალ სექმის ამოქმედების შემდეგ გაგრძელდება თუ არა სერტიფიცირების პროცესი?

– 2014 წლიდან გამოცდა აღარ იქნება სერტიფიკატის ანუ მასწავლებლის უფლების მოპოვების ერთადერთი საშუალება, როგორც ეს იყო ადრე. მასწავლებლის შეფასება გახდება მრავალფეროვანი, მასში მრავალი მონაწილე ჩაერთვება, ის იქნება უფრო ობიექტური და გამჭვირვალე. ასევე მასწავლებელი თავად იქნება ამ პროცესების თანამონაწილე. საგნობრივი გამოცდა გადაიქცევა კრედიტების დაგროვების საშუალებად პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის.

– არიან თუ არა მასწავლებელი ჩართული სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების სწავლებაში?

– განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განსაკუთრებული ზრუნვის საგანა არის ინკუსტიური განათლების დანერგვა და განვითარება: შემუშავდა სპეციალური მასწავლებლის სტანდარტი, განისაზღვრა სპეციალური მასწავლებლის სამუშაოს აღნერილობა სკოლაში, სკოლის ხელმძღვანელებისათვის განხერა რეკომენდაციები, სპეციალური მასწავლებელი ჩაერთო პროფესიული განვითარების ერთიან სისტემაში. ჩოხატაურის საჯარო სკოლებში კონკურსის წესით შეირჩა 19 სპეციალური მასწავლებელი.

– კიდევ რა სიახლეებს უნდა ველოდოთ ახალი სასწავლო წლიდან?

– მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, მასწავლებლისა და დირექტორის ეთიკის კოდექსსა და მოსწავლის ქცევის კოდექსის ცვლილებაზე მუშაობა უკვე დაწყებული აქვს. განახლებული დოკუმენტის შემუშავებაში აქტიურად არიან ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები და სახალხო დამცველის აპარატი. მეცენტორად არის გამოყოფილი ისეთი საკითხები, როგორიცაა რელიგიური შემწყვარებლობა, ბავშვთა უფლებების დაცვა, არაძალადობრივი ქმედებების იდენტიფიცირება. სავარაუდოდ ახალი სასწავლო წლიდან სკოლის მასწავლებლის და დირექტორის ეთიკის, ასე-

ვე მოსწავლის ქცევის განახლებული კოდექსები ამოქმედდება. განახლებული ეთიკის კოდექსის საფუძველზე, ყველა სკოლას შინაგანაწილების შემუშავება დაევალება, რომლის მიხედვითაც ეთიკის კოდექსის დაცვა გაკონტროლდება.

– იგეგმება თუ არა ცვლილებები პროფესიულ განათლებაში?

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2013 წლიდან პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიას (2013-2020) და სამოქმედო გეგმას ახორციელებს, რათა პროფესიულმა განათლებამ შესარულოს მასზე დაკისრებული ფუნქცია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში. შეიქმნა პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგია, ამოქმედდა პროფესიული განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, ასევე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ახალი წესი, შეიქმნა პროფესიული სტანდარტების შემუშავების DACUM-ის მეთოდოლოგია, შეიქმნა მობილური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების კონცეფცია, დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით განახლდა 75 პროფესიული სტანდარტი, განახალიზდა 11 ევროპული ქვეყნის პროფესიული სასწავლებლის ხარისხის შეფასების გამოცდილება და მომზადდა რეკომენდაციები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი კონცეფციის შესაქმნელად, შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დანესებულებების სოფის შეფასების სახელმძღვანელო, განხორციელდა პროფესიული სასწავლებლების ჰედაგოგთა საჭიროები კვლევა და მომზადდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და შემდგომი პროფესიული განათლების კონცეფცია და სხვა.

– მოზარდებში ჯანსალი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო და სპორტის ეროვნული ფედერაცია ახორციელს ერთობლივ პროექტს „მხარული სტარტები“. არის თუ არა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლები ჩართული ამ პროექტში?

– დაია, პროექტში, რომლის მიზანია სპორტულ – გამაჯანსალებელი და შემუშავებით – გასართობი შეკიბრების მეშვეობით მოზარდ თაობაში სპორტისა და ფიზიკური აქტივობის სელშეწყობა, ჯანსალი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოზარდი თაობის ცნობიერებაში ტოლერანტული დამკაიდებულების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, თვითრეალიზებაში დახმარება, მზრუნველობა მოკლებული და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების „მხარული სტარტების“ თამაშები მონაწილეობის ხელშეწყობა და შესაბამისი პირობების მომზადება. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სკოლები, რა თქმა უნდა, აქტიურად ჩაერთნენ აღნაშენულ პროექტში, პირველი საჯარო სკოლის გუნდი გურიის რეგიონის ფინანსების განვითარება და მონაწილეობას მიიღებენ დასკვინით ტურში.

– რა იტყვით ინფრასტრუქტურულ პროექტების შესახებ?

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013 წლის ნოემბრში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ცხრა ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა დაიწყო, მათ შორისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის წიფნარის საჯარო სკოლა. რომელი სკოლაც სამინისტროს დაფინანსებით შენდება, გამოირჩევა არა მხოლოდ ფინანსურის სისტემაში ერთობლივ განვითარების მშენებლობაში და შემენტების სამუშაოში ერთობლივ განვითარების მშენებლობაში და სპეციალური საგანმანათლებლო დანესებულებების თანამედროვე ტიპის ზოგადსაგანმანათლებლობაში დანესებულებების სტარტებებს.

ჩოხატაურში იმყოფებოდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე, რომელმაც დაათვალიერა სოფელ წიფნარის საჯარო სკოლის მშენებლობა. 2014 წლის სამოქმედო გეგმაში ჩაინარჩულია კიდევ ერთი ახალი სკოლის მშენებლობა, სოფელ წიფნარის აპარატის გამოყოფილობის და დამაყოფილებების თანამედროვე ტიპის ზოგადსაგანმანათლებლობაში დანესებულებების სტარტების სკოლები. პერიოდულად სხვა სოფელებშიც აშენდება და გარემონტიდება სკოლები.

ქეთევან კუკულავა



დაცვებულების გავაკეთებელი, რომ არ დაცვალების გათი უფლებები

ბავშვთა უფლებები საქართველოში მედიასთან მიმართებაში მხოლოდ ნაწილობრივ არის რეგლამენტირებული. უფრო ზუსტად, საქართველოში მედია სფეროში ბავშვთა უფლებების დაცვის საკონსილიურო გარანტიები ძირითადად მხოლოდ ელექტრონულ მაუწყებლობასთან მიმართებაში არსებობს. ნაწილობრივ ვრცელდება ეს ბეჭდურ მედიაზე, საერთოდ არ აწესრიგებს ახალი (ონლაინ) მედია. ამ სფეროში კველაფერი ნებადართულია.

ბავშვთა უფლებების დაცვა მედიაში – ამ თემაზე 21 მაისს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ საკონფერენციო დარბაზში დებატები გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საზოგადოების ნარმომადგენლები, უურნალისტები, მერობის კანდიდატები, არასამთავრობო სექტორის ნარმომადგენლები.

მედიაში ბავშვთა უფლებების გაშუქების სტანდარტი დაცული უნდა იყოს, ამ რეზოლუციას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საზოგადოების მხრიდან.

იმის გამო, რომ ბავშვი რაღაც მომენტში არასაურველი კუთხით იქნება ნაჩენები, გამოიწვევს პიროვნების საზოგადოებისგან გაუცხოებას. ერთი მხარე ამტკიცებდა, რომ ეს არის უურნალისტური ეთიკის უგულებელყოფა. იმისთვის, რომ ჰქონდეთ ამბავი, მოახდინონ ბავშვებით ზეგავლენა საზოგადოებაზე – ბავშვების თემით მანიპულირება ყველაზე კარგად ხვდება მიზანში. მედია იმას აკეთებს, რაც უნდა. არ ითვალისწინებს ბავშვის უფლებებს.

საუბარი შეეხო ფონდ „ივნანას“ საქველმოქმედო კონცერტებს, რომლის დროსაც შეჭირვებულ ოჯახებს გადაეცემათ ბინა და სხვა მატერიალური ნივთები. ამ დროს კი ეკრანზე აჩვენებენ ბავშვს, რომელიც არის სოციალურად დაუცველი. პოზიციის თქმით, ირლვევა ბავშვის უფლებები, იმ ასაკში, შესაძლოა იგი ვერ აცნობიერებდეს თავის ქმედებებს, მაგრამ, როცა იგი სრულწლოვანი გახდება, შეიძლება მიხვდეს, რომ ეს არ იყო კარგი მისთვის. ჩამოუყალიბდეს ფსიქოლოგიური ტრავმა, შეიძლება გარიყოს საზოგადოებამ. როცა ბავშვის გაჭირვება ჩანს ეკრანიდან, შესაძლოა საზოგადოებამ მისკენ ხელი გაიშვიროს, გარიყოს – არავინ არის დაზღვეული.

მეორე მხრივ, დებატებში მონაწილე „ოპოზიცია“ იმ აზრზე იყო, რომ თუ ბავშვი ცუდად არის და შუქდება მისი მდგომარეობა მედიაში, ამ დროს ირლვევა მისი უფლებები, თუ მაშინ, როცა მას არავინ აქცევს ყურადღებას და ამ უყურადღებობით შეიძლება სავალალო შედეგებამდე მივიდეთ. საზოგადოებაზე სამოქმედოდ ეფექტური საშუალებაა ბავშვის გასაჭიროება – ხალხი ასე უფრო ნათლად ხედავს პრობლემას.

პირად ცხოვრებაში ჩარევა გამართლებული უნდა იყოს რაღაც დოზით, თუ მიყენებულ ზარალს აღემატება დაცული სიკეთე. იგივე „ივნანას“ მაგალითზე – რატომაც არ შეიძლება გამოჩნდეს ბავშვი კონცერტზე, თუ ამით გაუმჯობესდება მისი ცხოვრების პირობები, ექნება საცხოვრებელი ადგილი, ექნება განათლების საშუალება და ასე შემდეგ მერობის ერთადერთმა ქალმა კანდიდატმა, ირმა

კვაჭანტირაძემ, გაიხსენა ერთი ფაქტი – ინგა გრიგოლიას „რეაქციაში“ წამყვანმა აჩვენა ბავშვი, რომელსაც სასწრაფო ოპერაცია სჭირდებოდა. მაგრამ მის ოჯახს არ ჰქონდა ოპერაციისათვის საკმარისი თანხა. ამ გადაცემის შემდეგ, ბევრი აკრიტიკებდა გრიგოლიას ბავშვის პირდაპირ ეთერში ჩენების გამო, თუმცა მეორე მხრივ შედეგი სახეზე იყო – ბავშვი გადარჩა, მას გამოუჩნდა ოპერაციისათვის საჭირო თანხა. ასეთ შემთხვევაში აღბათ, დაფიქრება ლირს.

საზოგადოება მაინც ვერ შეთანხმდა ორ რამეზე: იყოს დაცული ბავშვის უფლებები, არ აჩვენონ მისი გასაჭირი, მისი ცრემლიანი თვალები და დახეული ფეხსაცმელები, დაცული იყოს შემდგომი რეაქციებისგან. ამ დროს აჩვენონ ოჯახის გაჭირვება ისე, რომ ხალხისათვის გასაგები იყოს ამის მაგალითზე, თუ როგორ პირობებში შეიძლება ცხოვრობდეს ამ ოჯახში თვითონ ბავშვი. უმჯობესია, ამ კუთხით იქნას გაშუქებული, ვიდრე ბავშვით მანიპულირებით. უურნალისტის უნდა ჰქონდეს შინაგანი ეთიკა, ის უკარნახებს როგორ გააშუქოს ამბავი მედიაში.

მეორე მხრივ კი, თუ ბავშვს უკიდურესი გასაჭირი აქვს და ამ გასაჭირის გაშუქებით შესაძლებელია პრობლემის აღმოფხვრა, რატომაც არა. მაგრამ ამ მოსაზრებას საზოგადოების უმრავლესი ნაწილი არ ეთანხმებოდა, – „არასრულნლოვანის იდენტიფიკაცია არაფრის დიდებით არ შეიძლება, ის რომ სრულნლოვანი გახდება, რა აზრის იქნება ამაზე, ვერავინ იტყვის.



თამთა დოლიძე, გურიის რეგიონის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის ფსიქოლოგი: ბავშვთა უფლებები ძალიან სენსიტიური თემაა. ყველა უურნალისტი უნდა ეცადოს, რომ თუ არ დაიცავს, არ დაარღვიოს მაინც მათი უფლებები. უურნალისტის ერთმა სიტყვამ შესაძლოა მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენოს ბავშვის ცნობიერებას, ფსიქიკას და მთელი ცხოვრება გაპყვეს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე რთულად აღსაზრდელ ბავშვს ეხება, უურნალიტმა უნდა ეცადოს, საუკეთესო კუთხით უჩენებოს ბავშვი საზოგადოებას, რადგან შესაძლოა ამან, ჩენებისათვის მოულოდნენი შედეგი გამოიღოს. ცნობილია, რომ ქება დიდ გავლენას ახდენს ბავშ-

ვზე. რაც შეეხება „იავნანას“ საქველმოქმედო კონცერტს, ირლევა თუ არა ბავშვთა უფლება, როცა პირდაპირ ეთერში აჩვენებენ, ვერ ვიტყვი რომ ირლევა, რადგან მიმაჩნია, რომ ის უფრო არლევეს ბავშვთა უფლებას, როცა მას არ აქვს სახლი და ელემენტარული საცხოვრებელი გარემო. როცა მას ეს პირობები ექმნება, ვერ წარმომიდგენია, ამან რაღაც დოზით მაინც მიაყენოს ბავშვს ფსიქოლოგიური ტრავმა. ეს ჩემი სუპიექტური აზრია, მაგრამ ამასთან ზოგადად მივიჩნევ, რომ არ უნდა მოხდეს ბავშვის იდენტიფიცირება, რადგან არავინ იცის, ეს წლების შემდეგ რა შედეგს მოიტანს. ეს მისი პირადი ცხოვრებაა და პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება კი არავის აქვს.

ციცი კუპრაძე, გენდერული თანასწორობის სამოქალაქო კლუბი: მედიამ თავად უნდა გამოიჩინოს მეტი პასუხისმგებლობა ბავშვთა საკითხების გაშუქების დროს, ურ-

ნალისტი საკუთარი შეხედულებით, ან თუნდაც მშობლის სურვილის მიხედვით კი არ უნდა მოქმედებდეს, არამედ ბავშვის უფლებებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვიტოს, რამდენად საჯარო გახადოს ესა თუ ის ფაქტი. უნდა ეცადოს, რომ ბავშვს რაიმე სტატუსები არ „მიაკეროს“, მაგალითად, ქუჩის ბავშვი, გაჭირვებული, დამნაშავე და ასე შემდეგ, ასევე უშუალოდ ბავშვებს უნდა მოუსმინონ და არა მათ მშობლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე საზოგადოებაში სხვადასხვა მოსაზრებაა, მომხრე ვარ, დაცული უნდა იყოს ჩვენი, ურნალისტების მხრიდან ბავშვის უფლებები. ისინი ვერ აცნობებენ პატარა ასაკში თავიანთ ქმედებებს, ამიტომ, ჩვენ, ურნალისტებმა, უნდა ვიზრუნოთ მათი უფლებების დაცვაზე.

თათია სამსონიძე

12 წლის ბიჭისთვის ასკანა ჟესაქლოა საცაულმოქმედი სიტყვა გახდეს

ასკანაში მისასველი გზა 12 წლის ბიჭმა მიგვასწავლა, შეკითხვაც არ გვერნდა დასმული, გურულისთვის ჩვეული სისხარტით გვიპასუხა. დაკემსილი შარვალი ეცვა, მოწყენილი სახე ჰქონდა, თუმცა იმედიანად შემოგვხედა, ასკანა მისთვის ალბათ, ჯადოსნური სიტყვა გახდება, თავის სურვილებს აისრულებს და ზრდასრული საარჩევნო პერიპეტიონით არ დაინტერესდება.



„სიმშვიდეში ვითიქროთ და ფიქრში პროდუქტიულად ვიშრომოთ“ – ამ სიტყვებით დაასრულა ჩვენთან საუბარი კახური ტრადიციული მეღვინეობის დირექტორმა ზურაბ ჩხაიძემ. გურიის რეგიონში დაგეგმილი ინოვაციის შესახებ მედიასივრცეში ვრცელი ინტერვიუ პირველად „გურია REGION“-ის რედაქტორმა მოამაზადა. ურნალისტებმა სოფელ ასკანაში დაწყებული სამუშაოები დავათვალიერეთ. შეხვედრა პომპეზურობით არ გამოირჩეოდა, საკმაოდ მოკრძალებულად, ფიარის ელემენტების გარეშე ჩაიარა, მშენებლობის დაწყებას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოვალეობის შემსრულებელი კოტე შარაშენიძე და საკრებულოს თავმჯდომარე ავთანდილ სურგულაძე, სოფელ ასკანას გამგებელი ლევან ნინიძე ესწრებოდნენ. უნიკალური კომპლექსის ბანერის გაკვრა ასაკოვანმა ასკანელებმა ითავეს. 2700 კვ. მეტრის საერთო მოცულობის ფართობზე პირველი სამუშაოები შესრულდა. აქ იქნება მარანი, მუზეუმი, ტურისტული ბაზა, ქართული ვაზის უნიკალური ჯიშების სანერგე მეურნეობა, აშენდება აეროპორტი, ტუ-

რისტს საშუალება ექნება კურორტ ბახმაროს ესტუმროს. „ჩვენი მიზანია, უძველესი ვაზის ჯიშები ავალორძინოთ. ნებს ჩოხატაურში, ოზურგეთში და ქედაში გლეხებს უფასოდ დავურიგებთ 50 ათას ჩხავერის და 20 ათას ძირ ცოლიკაურის ნერგებს, მოვლაშიც დავეხმარებთ, 3 მილიონიანი ინვესტიცია ორ ნელინადში დასრულდება, ასე რომ შუაგულ გურიაში კახურმა გამოცდილებამ შემოაღწია. მონდომებული ვარ ჩემი მშობლიური მხარე აღორძინდეს“ – აცხადებს ზურაბ ჩხაიძე. ლვინის მუზეუმის საძირკველს გრანდიოზულობის გარეშე ჩაეყარა საფუძველი. რაც ადგილობრივებს მეტ სტიმულს მისცემს და მათი ეკონომიკური მდგრამარეობა გაუმჯობესდება. ამ დრომდე ასკანა ნარსულის მოგნებით ცხოვრობდა, ფერდაკარგული ძველი შენობები და სიახლის მოლოდინში მყოფი ხალხი. ზურაბ ჩხაიძეს დემოგრაფიული მდგრამარეობის გაუმჯობესებაზე თავისი ჩანაფიქრი აქვს, რომელსაც 30 ავისტოს სახალხო დღესასწაულზე, ასკანობაზე გაახმოვანებს.

ლელა სურმავა



გურიაში და კაცები მარანი



ასკანაში ღვინის მუზეუმის მშენებლები დაწყების

ხალხი ირჩევს ქალაქის მმართველს

2014 წლის 15 ივნისს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდება. გასული, 2006 და 2010 წლის არჩევნებისან განსხვავებით, წელს არჩევნებში ბევრი სიახლეა. გაიმართება ახალი „თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად. ეს კოდექსი საქართველოს პარლამენტმა ამ წლის იანვარში დამტკიცა და ის რამდენიმე მნიშვნელოვან ცვლილებას ითვალისწინებს. ეს ცვლილებებია: თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის ზრდა და ადგილობრივი აღმასრულებელი თანამდებობის პირის, მერის გამგებლის პირდაპირი წესით არჩევის შემოღება.

სიახლეები გამორჩეულად შეეხმ გურიის დედაქალაქს, ოზურგეთს, რომელმაც თვითმმართველი ქალაქის სტატუსი დაიპრეცა. რას ცვლის ეს ოზურგეთობისთვის? თუ აქამდე ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (ყოფილი ოზურგეთის რაიონი) ერთიანი ერთეული იყო და ერთი ადგილობრივი ხელისუფლება ჰყავდა, არჩევნების შემდეგ მის ნაცვლად ორი, ერთმანეთისან დამოუკიდებელი ერთეული: ქალაქი ოზურგეთი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტი შეიქმნება. ეს ნიშნავს, რომ ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ექნებათ ცალკე საკრებულოები, ცალკე სამსახურები და ცალკე აღმასრულებელი ხელისუფლება, რომლის მეთაურს ქალაქში მერი, ხოლო მუნიციპალიტეტში გამგებელი ერქმევა და ისინი ერთმანეთს არ დაეჭვემდებარებიან. არც მუნიციპალიტეტის მერი დაეჭვემდებარება ქალაქის მერს და არც ქალაქის მერი მუნიციპალიტეტის გამგებელს. იქმნება ორი დამოუკიდებელი ერთეული.

მერიცა და გამგებელიც მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით აირჩევა. ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეები საარჩევნო ბიულეტენში მათთვის სასურველი კანდიდატის გვარს შემოსაზავენ. ქალაქ ოზურგეთის მოსახლეობა მერს აირჩევს. მერის კანდიდატად 8 პიროვნება რეგისტრირებული. ესენია:

1. იორმა კვაჭანტირაძე ((ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია – კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე“)
3. კახა ჩავლეიშვილი („ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“)
5. ლევან გოგუაძე (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
8. შოთა გოგიძერიძე („დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“)
9. ლაშა მოისწრაფიშვილი (ბლოკი „თვითმმართველობა ხალხის“)
18. ივანე ტაბატაძე („სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა“)
20. მირზა ჩხილევიშვილი („შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია“)
41. ბეგლარ სიორიძე (ბლოკი „ქართული ოცნება“)

ოზურგეთის სოფლებისა და თემების მოსახლეობა კი ასევე პირდაპირი წესით მუნიციპალიტეტის გამგებელს აირჩევს. გამგებლობის კანდიდატები არიან:

1. მინდია კეჭაყმაძე (ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია – კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე“)
5. შალვა თავდიშვილი (ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)
41. მერაბ ჭანუფლაძე (ბლოკი „ქართული ოცნება“)

გამგებლისა და მერის გარდა, მოსახლეობამ საკრებულოებიც უნდა აირჩიოს. საკრებულო ადგილობრივი თვითმმართველობის ნარმომადგენლობითი ორგანოა, ის ორგანო, რომელიც თვითმმართველობის ფუნქციებში შემავალ უმთავრეს გადაწყვეტილებებს: ბიუჯეტის დამტკი-

ცებას, ქონების გასხვისებასა და სხვას მიღებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო 43 წევრიანი იქნება. მასში 15 წევრი პროპორციული სისტემით, პარტიული სიებით აირჩევა. 28 კი მუნიციპალიტეტში შემავალი 28 თემის მაჟორიტარი დეპუტატები იქნებან. მაჟორიტარ დეპუტატებად, როგორც ამა თუ იმ პარტიის წევრები, აგრეთვე დამოუკიდებელი პიროვნებები იყრიან კენჭს.

ქალაქის საკრებულოში პროპორციული სისტემით 10 წევრი შევა, ქალაქის 5 უბანი კი 5 მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს. სულ ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში 15 წევრი იქნება.

არჩევნების მოახლოებასან ერთად ოზურგეთში პოლიტიკური ტემპერატურა მატულობს. ბევრს აინტერესებს, ვინ გახდება ქალაქის მერი, გამგებელი. კანდიდატების საარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაშია შესული: ხელებიან მოსახლეობას, მართავენ შეხვედრებს უზრნალისტებთან, არასამათავრობო სექტორის ნარმომადგენლებთან. ნინასანართულია იმის თქმა, თუ ვინ გახდება ხალხის რჩეული, ამას მოსახლეობა 15 ივნისს საარჩევნო ურნებთან გადაწყვეტს. კანდიდატები აქტიურად ცდილობენ მოსახლეობის გულის მოგებას.

ჩვენმა რედაქციამ ხალხთან გასაუბრება გადავწყვიტეთ.

დესანი, 30 მეტი: ბეგლარ სიორიძეზე მევეთად უარყოფითი აზრის ვარ, ის არ არის საზოგადოებიდან წა-



მოსული კანდიდატურა, არამედ ზემოდან თავსმოხვეული. ვფიქრობ, რომ მეორე ტური ჩატარდება, რადგან მიუხედავად იმისა, რომ სიორიძე აქტიურ კამპანიას აწარმოებს, ბევრ ფულს ხარჯავს და ბევრ შეხვედრებს მართავს, ხალხის განწყობა მის მიმართ უარყოფითია და ხმას არ მისცემენ.

ოზურგეთისთვის მერი აუცილებელია, რომ ქალაქი კა- დევ რაიონის შემადგენლობაში იყოს, სახელისუფლებო კანდიდატი იოლად მოიგება, სოფლებში ხალხს ინფორმაცია არა აქვს, ისიც არ იციან, რისი არჩევნები ტარდება, ამიტომ ხმების მობილიზება არ გაუჭირება ხელისუფლებას, რაკი სოფლების მოსახლეობა ქალაქისას 3-4ჯერ აღმატება, ქალაქის ხმები აზრს დაკარგავდა. ქალაქი თავის მერს ირჩევს, რამაც წონა მისცა ქალაქელების ხმებს, დიდი შანსია, ხელისუფლების კანდიდატმა ვერ მოიგოს.

ნაციონალური მოძრაობა, ბურჯანაძის კოალიცია, პატრიოტთა ალიანსი, ესენი ძლიერი ოპოზიციური პარტიებია.

წინასაარჩევნო პერიოდი მეტ-ნაკლებად თანაბარ პირობებში მიმდინარეობს. სიორიძის შტაბი ცდილობს გა-

მოიყენოს სახელმწიფო სამსახურში საჯარო მოხელეებს შეხვედრებზე სიარულს ავალებენ, მაგალითად: სკოლების და ბაღების პედაგოგებს. თუმცა შეხვედრაზე მისვლა არ ინიშნავს, რომ ხალხი მას მისცემს ხმას.

შილი, 34 ნოტი: ვფიქრობ, ოზურგეთის მერობის კანდიდატს ბეგლარ სიორიძეს, სხვა კანდიდატებისგან განსხვავებით, გამარჯვების მეტი შანსი აქვს. ის ოზურგეთში ერთ-ერთი გავლენანი ფიგურაა და მას ამ ქალაქისთვის ძალიან ბევრი სასიკეთო საქმე აქვს გაკეთებული. იმედია, ბეგლარ სიორიძე შეძლებს გურიაში ბიზნესის განვითარებას, ტურისტული ინდუსტრიის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, რეგიონის აღორძინებას და განახლებას.

დევანი, 58 ნოტი: წინასწარ ვერ ვიტყვი, ვინ გაიმარჯვებს ამ არჩევნებში. წარმოდგენილი კანდიდატებიდან, ჩემი აზრით, უფრო მეტად ორ პოლიტიკურ სუბიექტს შორის იქნება გადამწყვეტი „ბრძოლა“: „ქართული ოცნება“ და „ბურჯანაძე-დემოკრატები“. დანარჩენი მეტისმეტად სუსტად მეჩვენება, „ნაციონალების“ კანდიდატი ჩემი

აზრით, „ნათელაშვილის“ კანდიდატსაც კი ვერ გაუწევს კონკურენციას. ძალიან სუსტია. ალბათ, სპეციალურად არ გამოიყვანეს ასპარეზზე პარტიის რომელიმე წამყვანი ფიგურა, იქედან გამომდინარე, რომ ასე თუ ისე, „ქართული ოცნება“ ლიდერობს, არ გარისკეს და ამიტომ სუსტი კანდიდატი წარმოადგნეს. შესაძლოა მეორე ტურიც ჩატარდეს, სიორიძესა და ჩავლეიშვილს შორის. სიორიძეს მეტი შანსი აქვს, რადგან მას სახელისუფლებო რგოლიც ზურგს უმაგრებს.

მახა, 16 ნოტი: ჩემი აზრით ბეგლარ სიორიძე გავა, რადგან ხალხში, „ქართული ოცნება“ უფრო ცნობილია, უფრო მეტი სტატუსი აქვს ამ დროისათვის, ვიდრე სხვა პოლიტიკურ სუბიექტებს. ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს, თუ ვის დაუჭიროს მხარი, ვფიქრობ, მეორე ტური არ იქნება.

არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა, ვნახოთ, რა სიკეთის მომტანი იქნება ოზურგეთისთვის ქალაქის მერი.

თათია სამსონიძე

საარსებო მინისტრი, საპაზრო ფასები და 150 ლარის კენსია



„საარსებო მინისტრი დაგინდება მინისტარული სასურსათო კალათის საფუძველზე. მინისტარული სასურსათო კალათა არის კვების პროდუქტების განსაზღვრული ნორმაზე და კალათა, რომელიც შეიცავს შრომისუნარიანია ასაკის მასაკაცის ნორმალური სიცოცხლისა და შრომისუნარიონობისთვის ფიზიოლოგიურად აუცილებელი საკვების რაოდენობას, მისი შემადგენელი ელემენტების (ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების) და კალორიულობის მინისტარულ რეცონბას. – ვკითხულობთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს საარსებო მინისტრის ლირებულების გაანგარიშების მეთოდი.

შემდეგ ჩამოთვლილია დღიური მოხმარების ის აუცილებელი პროდუქტი, რაც შრომისუნარიანია მასაკაცმა უნდა მიიღოს. საქმე იმაშია, რომ ყოველდღიურად კი არა, ყოველწლიურად ვერ მიიღოს შეიძლება ადამიანმა იმ პროდუქტის ნახვარი, რაც ამ გრძელ სიაშია ჩამოთვლილი: ძროხის და ხბოს ხორცი, თევზი ნედლი და გაყინული, ძეხვეული, ღორის ხორცი, ყველი, ხაჭო, ნადული, სუბტროპიკული ხილი და ასე შემდეგ... კალათის 70%-ს სურსათის ხარჯები შეადგენს, 30%-ს კი – არასასურსათო: საპონი, სარეცხა ფეხნილი და ასე შემდეგ.

საქართველოში პროდუქტზე, წამლებზე ფასები დღითიდლე იმატებს, ამის

პარალელურად კი, საარსებო მინისტრი თვეში 155 ლარს ვერ გასცდა. პენსიაც კი საქართველოში საარსებო მინისტრზე 5 ლარით ნაკლებია – ესეც ასაკიბრივი და პირველი ჯეგუფის ინვალიდების პენსია, ყველა დანარჩენი კი მთელი 55 ლარით ნაკლებ პენსიას იღებს.

ერთი თვის განმავლობაში ჩიხატაურის რაიონის ბაზრის ფასებს ვადგენდით და აუცილებელ პროდუქტზე საშუალო ღირებულების ჩამონათვალი გავაკეთეთ. ეს თანხებიც სეზონურია, რადგან საასალნილოდ, საშობაოდ და სააღდგომოდ ყველის ფასი 8-9 ლარზე ადის და შესაბამისად, მაღალი ფასებია სხვა პროდუქტზეც. ამჟამად საბაზრო კალათა ასე გამოიყენება (არასრული ჩამონათვალი):

1 კგ ძველი კარტოფილი – 1,80-170 ლ.
1 კგ. ახალი კარტოფილი – 2-1,80 ლ. 1 კგ ხახვი – 1 ლ, 1 კგ სტაფილო – 1 ლ, 1 კგ ყველი – 4,50-5 ლ. 1 კგ საქონლის და ლორის ხორცი – 10 ლარი, 1 კგ კიტრი – 1,50. 1 კგ პამიღორი – 2 ლარ. 1 კგ ბაღრიჯანი – 2 ლ. 1 კგ შაქარი – 1,50-1,70 ლ. 1 კგ კარაქი – 6-10 ლ. 1 ლ ზეთი – 3-4 ლარი, 1 კგ კაკლი – 18 ლ. 1 კგ პაშლი – 2 ლ.

ამას ემატება არასასურსათო პროდუქტი და წამლები. მთლიანობაში, თვეში 155 ლარსაც სცილდება ხარჯი და 200 ლარსაც. თუმცა, 2015 წლის ბიუჯეტში პენსიების მატება გათვალისწინებული არ არის. სამაგიროდ, პარლამენტარები მუშაობენ ბევრს ხალხისთვის და ისედაც მაღალ ხელფასებზე კიდევ „ცოტას“ უმატებენ. საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტი მომავალი წლიობი 54 მილიონ 695 ათასი ლარი იქნება და გაზრდილი თანხა შრომითი ანაზღაურების ზრდას და ავტოპარკის განახლებას მოხმარდება.

ნინო დოლიძე: ჩემი პენსიით წამლებს საერთოდ ვერ ვყიდულობ, შეიღები მეტარებიან და წამლებს თბილისიდან

მიგზავნიან. 150 ლარი საჭმლის ფულადაც არ ყოფნის. აბა, მოხუცმა ამ თანხით სრულყოფილად როგორ ვიარსებო?!

ნათია: ჩემ შვილს 100 ლარი აქვს პენსია. ექიმთან წასყვანადაც არ ყოფნის ეს თანხა, არა თუ პროდუქტის და წამლების საყიდლად. კარგი იქნება, თუ პენსიას 250 ლარზე აიყვანებ, როგორც დაპირებული იყო ისე.

მარია: პარლამენტარის, ნენა, აუცილებლად უნდა მოუმატონ ხელფასი, აბა, რა, ჩენებზე ფიქრიბენ და ზრუნავენ დღე და ღამე... აბა, მე რად მინდა პენსიის მომატება. მე ვის რად ვარგივარ?! რაც არ უნდა გითხრა, ჩემს აზრს ვინ გაითვალისწინებს!?

აზევილი, 69 ნოტი: პარლამენტარებს აკლიათ კარგი ცხოვრება და ხომ უნდა „გაიუმჯობესონ“ პირობები?! ჩენებზე არავინ ზრუნავს. პენსიისაც კი არ გვიმატებენ მომავალ წელს მაინც.

საბოლოო ჯამში, ხელისუფლება ვალდებული, საკუთარ ხალხს, ამომრჩეველს ცხოვრების გაუსაძლისი პირობები კი არ შეუქმნას, არამედ, სწორად განუსაზღვროს საარსებო მინისტრი, პენსიის და ხელფასის რაოდენობა და მოაწეროს საბაზრო ფასები. პენსია 250 ლარი გახადოს და მამწვევე ფასებმა ყველაფერზე მოიმატოს, არა-ეუქმენისა და მოსახლეობაც უკმაყოფილ ეყოლება.

ნინო დოლიძე



ლაზართა ქორაუსი სუფსაში

ლაზნიციპალიტეტში, სუფსის თემში, რკინიგზის მეორე მხარეს რამდენიმე ძველი კორპუსებია, სადაც სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს თავი შეუფარებია. აღვილზე ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში სამი ოჯახია, სადაც მცირებლოვან ბავშვიან ოჯახებსაც აქვს თავი შეფარებული. რაც შეეხება კორპუსების მდგომარეობას: გადახდილი და ალაგ-ალაგ შერჩენილი სახურავი, რომელიც გაბზარულია და სამაგრებიც დაძველებულია, დაბზარული, სოკო მოდებული კედლები.

სოციალური პრობლემა ალბათ არა ერთ ოჯახს ანუხებს, მაგრამ ის, რაც საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ სამ ოჯახს უდგას, მეტისმეტია. ლია ცის ქვეშ ყოფნას სოციალური დახმარების არ ქონაც ემატება. „გურია REGION“-თან საუბრისას ერთ-ერთმა მაცხოვრებელმა თინა მშვიდობაძემ თავის პრობლემებზე გვიამბო.

„ნახეთ რა დღეშია ჩემი სახლი, წვიმის დროს მთელი ღამე რაც რამე ჭურჭელი მაქს, ყველაფერი ძირს მიწვია, სახლში ისე წინმდა, როგორც გარეთ. დავურეკე რაიონის გამგებელს და ავუსტანი ჩევნი პრობლემის შესახებ, მითხრა კომისიას გამოუშვებდა. ეს პრობლემა დიდიხინია გვაწუხებს, მრავალსულიანი ოჯახი მყავს, ისედაც ვინრიდ ვცხოვრობ. სამინელ დღეში ვარ, შემომთავაზებს ფოსტის შესობაში შევსულიყავი, მაგრამ იქ ვერ შევალ, სველი წერტილები არ არის, შემომთავაზებს მეორე ვარიანტი, ქირით მენახა ბინა, თანხას გამგეობა გადაიხდისო, კომისიამ გვითხრა, რომ ბინა, სადაც ვცხოვრობთ, საცხოვრებლად უვარებისი. რა დროს დაგვემხობა თავზე არ ვიცით, გაკეთებას დაგვპირდნენ, მაგრამ როდის, ვინ იცის“.

ავთანდილ მანჯგალაძე: – სახლს სახურავი არ აქვს, რად გინდა, მოდიან გვპირდებან და მიდიან უკან. მხოლოდ დაპირებები და არაფერი შესრულებული, – უთხრა „გურიას REGION“-ს ავთანდილ მანჯგალაძემ.

დარეჯან სარიშვილი, სოფელ სუფსის მკვიდრი: „მაქს დასკვნა, სახლი არის ავარიული, საშიშია საცხოვრებლად, რამე რომ შეგიძინოთ, საშუალება არა გვაქსო, – გვითხრეს გამგებების წარმომადგენლებმა. ოთხი პატარა ბავშვი მყავს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ურუშაძემ ქირით გადასვლა შემოგვთავაზა, ქირით ვერსად ვერ ვიშოვე ბინა, მეობელი აქირავებდა და მითხრა: დიდი ბოდიში, მაგრამ ოთხი ბავშვით ვერ შეგმვებო. წინა ხელისუფლებასაც მივმართოთ, როგორც გავიგეთ პროგრამაშიც ჰქონდათ ჩასმული, თანხაც იყო გამოყოფილი, მაგრამ მერე სად წავიდა ეს ფული, არავინ იცის, ხელისუფლება რომ შეიცვალა ბიუჯეტში ფული არ გვაქსო და გვეუბნებიან ქირით გადადითო. სოციალურად დაუცველი ვარ, სოციალურ დახმარებას ვიღებ, მაგრამ კრედიტი გამომაქვს და არის შემთხვევა, როცა რამდენიმე თვე სოციალურის გარეშე ვრჩები.“

„გურია REGION“-ის უურნალისტი თემის რწმუნებულს ბესო კუპრაძეს დაუკავშირდა, მისი თქმით, მართალია, სახლი ავარიულია, მაგრამ არაც იმდენად, რომ ცხოვრება შეუძლებელი იყოს: სამი ოჯახი ცხოვრობს, ერთი მათგანი სავალალო მდგომარეობაშია, სახურავი ჩამოინგრა, სახელმწიფომ გამოუყოფართი, დანარჩენებს ისეთი როული მდგომარეობა არა აქვთ, უბრალოდ სახურავი შესარემონტებელია.

– ამ ეტაპზე სამ ოჯახს, ისევ იმ ავარიულ ბინაში უნევთ ცხოვრება, რას აპირებს ხელისუფლება?

– ისევ იქ არიან, სადაც ცხოვრობდნენ. ავარიული არ არის, ისეთ ვთარებაში არ არიან, რომ არ იცხოვებოდეს. ინფრასტრუქტურის სამსახური საქმის კურსშია, როგორც კი საშუალება გამოჩნდება, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დავეხმარებით. ყველა ჩემი ახლობელია, და ყველაზე მეტად მე ვარ დაინტერესებული, მათ უსაფრთხოებაზე ვიზრუნო.

– რა სახის დახმარებას გულისხმობთ, შესაძლოა სახურავი შეუცვალოთ?

– ამას ვერ დაგპირდებით, შესაძლოა ფართი გამოვუყოთ, – გვითხრა სუფსის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულმა ბესო კუპრაძემ.

თამარ მდგვინიშვილი



ბომარ სიხარულიძე ხალხის სიმღერის თავს ჩატარება

გურული ხალხური მრავალხმიანი სიმღერა საუკუნეების ტრადიციას ითვლის, ხოლო ვინც მას ცხოვრება და შემოქმედება დაუკავშირა, არჩევანი არასდროს შეცვალა. სიხარულიძის გვარი ქუთაისში, საზოგადოდ მომღერლების გვარია, გომარის მამა, გომარი სიხარულიძე სიმღერისთვის იყო დაბადებული, პროფესიონალი მომღერალი და ლოტბარი, როგორც ლოტბარი ქუთაისში განაგრძო მოღვაწეობა და გურული სიმღერის მცოდნეთა ფრთას ჩაუდგა სათავეში. დედა, მარიამ მდინარაძე ქუთაისში დაიბადა, ნარმოშობით სოფელ ჯვარუმიდან იყო. გომარ სიხარულიძე ქალაქ ქუთაისში 1942 წლის 4 მარტს დაიბადა. ყველა სამშობიარო სამხედრო ჰოსპიტალად იყო გადაკეთებული, ამიტომ ბებია ქალმა სახლში მიიღო. ის ვიქტორ სიხარულიძის ოჯახში პირველი შეიღლაშვილი იყო. ათი თვეს ბავშვი აკვანში ღილინებდა. სამუსიკო სკოლა დაამთავრა, თბილისის კონსერვატორიაში ჯერ საგუნდო-სადირიუმორო, შემდეგ, კი, საკომპოზიტორო სპეციალობას დაეუფლა. გომარ სიხარულიძეს მუსიკის გრანდები ასწავლიდნენ, ვახტანგ ფალიაშვილის და ანდრია ბალანჩივაძის კლასი დაამთავრა. მუსიკოსი ხუმრობით ამბობს – „ისინი ქუთაისელი გრანდები იყვნენ“. თავად კი არა იმერულად, ქუთაისელად თვლის თავს, საუკეთესო მოკრიმანჭულის გურულობაზე და სიხარულიძეების გვარის დიდ სიყვარულზე პუბლიკაციის დასასრულს მოვითხოვთ.



გმარ სიხარულიძე

ცნობილი კომპოზიტორის და ფოლკლორისტის შემოქმედებაში პირველად ქართული მუსიკის ისტორიაში ძალუმად გაისამა პერიფერიული ინტონაციები. გომარ სიხარულიძე კომპოზიტორია ფილმებისა; „მევლუდი“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „მედუზა“, „ზღაპარი“, „გამინანდე სითბო“ და „ჩარი რამა“.

გაგარდა ხმა, რომ ერთ მშვენიერ საღამოს, მცირედაბაზში ისეთი ბიჭები ატარებდნენ კონცერტს, რაც არასდროს უნახავთ და მოუსმენიათ... ვინ იყვნენ ისინი? – ანზორ ერქომიშვილი, გომარ სიხარულიძე, კუკური ჭოხონელიძე, თემურ ქევხიშვილი, თამაზ პავლოვი, ბადრი თოიძე, თამაზ ანდლულაძე და ალბერტ დანელიანი.

ანსამბლი „გორდელა“ თითოეული მომღერლისა სიამაყე იყო, როგორც ყველაფერი პირველი... იქ შეკრებილი ნიჭიერი ახალგაზრდები ხალხური მუსიკის საიდუმლოს და ღრმა ანალიზს ეუფლებოდნენ. ყველანი პროფესიონალი მუსიკოსები იყვნენ. საგუნდო-სადირიუმორო, საკომპოზიციო, მუსიკისმცოდნების ფაკულტეტის სტუდენტები.

„გორდელას“ წევრებს ღრმა ფესვები ჰქონდა ხალხურ შემოქმედებაში, სოფელ-სოფელ ეძებდნენ ძველ მომღერლებს, ხალხური სიმღერების უცნობ ვარიანტებს იკვლევდნენ, შემდეგ ერთად ეძებდნენ სწორ ბერას, ნოტს, ინტონაციას, სკრუპულოზურად უახლოვდებოდნენ პირველწყაროს. მომღერლებმა გურული „შენ ხარ ვენახის“ რთული საგალობრების შესწავლას სამი თვე მოაწიდეს, აღადგინეს და აღტაცებაში მოიყვანეს მსმენელი. ანსამბლის წევრებს საუკეთესო ტემპრის ხმები ჰქონდათ, მათ ერთმანეთის სუნთქვა ესმოდათ, რაც გამოჩნდა ლირიკული „ქალგულოს“, „იმერული მხედრულის“, „ხასანბეგურას“, „ოდოიას“, „ჩელას“, „ნინწყაროს“ და „ნამგლურის“ შესრულების დროს. ანსამბლს არ ჰყავდა ხელმძღვანელი – „ჩვენ ერთმანეთს არ ვაკადრეთ, რომელიმე უფროსი ყოფილიყო, ანსამბლების ისტორიაში მსგავსი პრეცენდენტი არ მაგონდება“ – ამბობს გომარ სიხარულიძე. „გორდელა“ მალე გახდა პოპულარული, მათ მიერ აღდგენილი და გაშიფრული ძველი საეკლესიო საგალობლები სიძველით არ იქცევდნენ მარტო ყურადღებას, არამედ თავიანთი ჰარმონიით, პოლიფონიით და დინამიკით. „გორდელამ“ 53 საგალობელი აღადგინა. დიდი წვილი შეიტანა ეროვნული კულტურის საგანძურში. როცა იგორ სტრავინსკიმ ანსამბლის ჩანაწერები მოისმინა, თქვა – „ეს ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მუსიკალური შთაბეჭდილებაა“.

„პირველი ნამდვილი გალობა, თბილისის ქაშუეთის ეკლესიაში ჩვენ ვიგალობეთ. მისმა უნმინდესობამ ეფრემ მეორემ ეს ამბავი გაიგო, მოგვიხსენია და დაგვლოცა“ – გომარ სიხარულიძის აზრით, რომ დღევანდელი გალობის მოსმენა შეუძლებელია – „სამგალობლო ხმას და მანერას დიდი მუშაობა სჭირდება. ყველა მგალობელი სკოლას გადიოდა. დღეს კი ფიქრობენ, რომ ულამაზო ხმით უნდა იმღერონ. ამიტომ ყველაზე მეტი ყურადღებაა საჭირო, რადგან პირდაპირ, ცოცხლად გადიხარ მამაზეცირთან. ვინ მოვიდნენ პირველები, როცა ქრისტე იშვა ბეთლემში?! ანგელოზები მოვიდნენ და მაცხოვარს უგალობეს – „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათონება“.

ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის ფესტივალ-

ზე ჩამოსული უცხოელი სტუმრები მცხეთაში წაიყვანეს, კომპოზიტორთა კავშირის მესვეურმა ალექსი მაჭავარიანმა პატრიარქს წერილით მიმართა, ანსამბლ „გორდელას“ სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საერო სიმღერები შესრულებინათ, ახალგაზრდემა „ხასანბეგურაც“ იმღერეს.

90-იანი წლების დასაწყისში გომარ სიხარულიძე გერმანიაში, ზარის მხარეში ლექციების წასაკითხად რამდენიმე სკოლაში მიიწვიეს. შემდეგ ახალგაზრდებს ერთ სიმღერას ასწავლიდა. ყველა სკოლის პრეზიდენტმა, თოთქოს ერთმანეთთან მოლაპარაკებული იყვენენ, მას უთხრეს – „ჩვენ სკოლებს თავისუფალი აზროვნების სკოლა ეწოდება, მოზარდებს თავისუფალ აზროვნებას ვასწავლით, ვფიქრობთ, თქვენთან უნდა ჩამოვიდეთ და საქართველოში შევისწავლოთ.“

სიხარულიძების გვარს IX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ტაო კლარჯეთში პარხალის მონასტერს ვინმე სიხარულა აშენებდა, გვარის ფუძე, სწორედ, სიხარულადან მოდის. XII-XIII საუკუნეებში წიგნში „ტბეთის სულთა მატიანე“ მოხსენიებული არიან ეკლესის შემწირველები – ტისორეთი სიხარული და გიორგი. XIV საუკუნეებში ისტორიულ წყაროებში გვხვება დემეტრე სიხარულიძის ოჯახი, მეუღლე ნანა.

სიხარულიძების ძირითადი საცხოვრებელი დაბა ჩოხატაური იყო, შემდეგ სხვადასხვა მხარეს დასახლდნენ. ვიქტორ სიხარულიძის შტო სოფელ ხევიდან სოფელ ამაღლებაში ნავიდა, ამაღლებიდან კი სოფელ ტოლებში. იქ მღვდელი გარდაიცვალა, ოქროპირ სიხარულიძე ამაღლებიდან

ტოლებში აიყვანეს მღვდლად. მას თან წაყვნენ ძმა და პირაშვილი. მეორე ტოლების მიმდებარე სოფელი ტობათი 30-იან წლამდე ჩოხატაურის ტერიტორია იყო, შემდეგ სამტრედიას მიუერთეს. სოფელ ნოღის თავზე ტელეფისის ისტორიული ციხის ნაგრევებია, წარსულში ციხესიმაგრე რიონის ხეობას აკონტროლებდა. სოფელ ტოლებში მეფის რესეთის დროს ვაზის სანამყენე მეურნეობა იყო, სადაც მნარეს ამზადებდნენ, შემდეგ დასამყნობად იმერეთში, კახეთში და სხვა კუთხებში გაპერიდათ. დაბლა მხარეს, სადაც რკინიგზა გადის, საჯავახოსა და ჯაპანას შორის ხევისწყალი ჩამოდიოდა, იმ ადგილს ვაზისუბანი ერქვა, ვენახები ჰქონდათ გაშენებული.

გომარ სიხარულიძე ყველაზე ბედნიერი სიხარულიძების გვარის პირველ შეკრებაზე იყო. „ისეთი განცდა დამეუფლა თითქოს ხელახლა დავიბადე“ – ამბობს მუსიკოსი. მას შემდეგ ყოველ 7 აპრილს ხარების დღესასწაულზე გვარის წარმომადგენლები ანჩისხატის ეკლესის ეზოში იკრიბებიან. რამდენიმე ცაცხვის ხე დარგეს, მდინარე მტკვრის მხარეს ადესას ვაზის ჯიშს ჯვრის ფორმა მისცეს. დღეს, კი, მტკვნები ჩუქურთმებივითა გამოსახული.

გამორჩეული მომღერლები, საუკეთესო მოკრიმანჭულები იყვნენ ტოლებში მცხოვრები ბარნაპე, ვახტანგ, გარსევან სიხარულიძეები. ხალხური სიმღერის დიდოსტატების ასეთი რაოდენობა არცერთ გურულ გვარს არ ჰყავს. გომარ სიხარულიძეს ეს ფაქტი სიამაყით ავსებს. წინაპრების მსგავსად ისიც ხალხური სიმღერის სულს ღრმად ჩასწვდა.

ლელა სურმავა



ანსამბლი „გორდელა“, საერთაშორისო კონკურსის ლაურეატები – გომარ სიხარულიძე, კუკური ჭოხონელიძე, აბიკო დანელიანი, ანზორ ერქომაიშვილი, ბადრი თოიძე, თამაზ პავლოვი, თემურ ქევხიშვილი, თამაზ ანდლულაძე.

„კაველინის“ ისტორია გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება



ჯერ კიდევგასული საუკუნის 60-იან წლებში ქირურგის, ბატონი ბერძნედიტე-ძაგული მაღლაკელიძის შექმნილ პრეპარატ „კამელინზე“ კლინიკური კვლევების წარმოების პარალელურად, პრეპარატი მოიხმარა ათასობით ონკოდაავადებულმა, მათ შორის, უმძიმეს სტადიაში მყოფმა ავადმყოფებმაც. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, ნათლად დასტურდება „კამელინის“ იმუნომოდულატორული მოქმედება, თითქმის ყველა მომხმარებელი „კამელინით“ მკურნალობის დროს თავს უკეთესად გრძნობს. კამელინს იყენებენ როგორც კომპლექსური თერაპიის შემადგენელ ნაწილს, ასევე — დამოუკიდებლად. იგი 100%-ით ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტია, მაღალეფექტური, არატოქსიური, არ იწვევს ალერგიას, გამოიჩინევა ორგანიზმში შეყვანის გზების მრავალფეროვნებით: „კამელინი-M1“ — საინიექციო სსნარი, „კამელინი-M2“ — კაფსულები, „კამელინი-M3“ — მაღამრ, „კამელინი-M4“ — სუპოზიტორია, „კამელინიფლუ“ — სპრეი.

გვესაუბრება ფარმაცევტული კომპანია „კამელინის“ ექიმი-ინ-ფექციონისტი მსამართ ცერცებაში. — საქართველოსა და საზღვარგარეთ ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა პრეპარატ „კამელინის“ იმუნომარმოდულირებელი თვისება, რამაც მოგვცა საშუალება მისი ეფექტურობის მექანიზმის ახსნა სხვადასხვა დაავადებისას, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ პათოგენურში ადგილი აქვს იმუნოპათოლოგიურ ფაქტორებს. მინდა ადგინძნო, რომ „კამელინის“ გააჩნია ანთების სანინაალმდეგო, მარეგენერირებელი, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, არის ძლიერი ანტიოქსიდანტი, აძლიერებს იმუნომოდულატორულ აქტივობას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხანგრძლივი იმუნოდეფიციტი ორგანიზმში ზრდის მრავალი დაავადების რისკს, აქედან გამომდინარე კი პრეპარატ „კამელინის“ გამოყენება ყველა შემთხვევაში მიზნობრივია. იგი როგორც იმუნომოდულატორი იცავს ორგანიზმს მრავალი დაავადებისგან და მისი პროფილაქტიკური მიზნით მიღება შესანიშნავია. კამელინი გამოყენება ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა: სტომატოლოგია, რემატოლოგია, ქირურგია, უროლოგია, გინეკოლოგია, დამწვრობით გამოწვეული პათოლოგიები და სხვა. „კამელინი“ ფართოდ გამოყენება ბაქტერიული, ვირუსული, სოკოვანი ინფექციების, ასევე, ვაგინალური, საშვილოსნოს ყელის ანთებითი დაავადებების, საშვილოსნოს ყელის ეროზიების, ფიბრომატოზულ-კისტოზური მასტიფათოების, სახსრების დისტროფიულ-დეგენერაციული დაავადებების შემთხვევაში, შესნავლილი იქნა პრეპარატ „კამელინის“ ანტიოქსიდანტური აქტივბაც. ექსპერიმენტებში გამოყენებული იქნა „კამელინის“ ხუთივე ფორმა, მაგრამ აქცენტი „კამელინ-М2“-ზე, კაფსულებზე გამახვილდა. კვლევებიდან გამომდინარე მიღებულ იქნა დასკვნა, რომ ზრდას-



ჩემი ანთების სანინალმდევო, იმუნო-მოდულაციისა და რეპარაციული პროცესების გამაძლიერებელი ეფექტის მქონე პრეპარატია, აჩქარებს რეგენერაციის პროცესებს, აძლიერებს ადგილობრივი იმუნური ბარიერის ფუნქციონირებას.

მარიკა ლორთქიშვილი, ექიმი
კოაგულოლოგი:

— 49 ნელი ვიმუშავე ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის მრავალპროფილურ ინსტიტუტში, რომელიც იმ დროს გამოიწეოდა ყველასგან.

ჩევნი დირექტორი, აკადემიკოსი
კონსტანტინე ერისთავი ცდილობ-
და, ახალგაზრდა, ნიჭიერი ექიმები
შემოეკრიბა გარშემო და ბატონ
ძაგული მაღლაკელიძესთან ერთად
ეწარმოებინათ ექსპერიმენტული
კვლევები პრეპარატ „კამელინზე“,
რომელიც შემდეგ დანერგებოდა
კლინიკაში. ჩემმა მეუღლემ, გულ-
მკერდის ქირურგმა, პროფესიონალ
ოთარ ბურჯანაძემ ერთ-ერთმა
პირველმა გამოიყენა „კამელინი“
ფილტვის სიმსივნით დაავადებულ
ავადმყოფთა სამკურნალოდ. დაკ-
ვირვება მკურნალობის დასაწყისში
დამკურნალობის შემდეგ დინამიკაში
ნარმოებდა, კლინიკური ანალი-
ზებიც ტარდებოდა. ავადმყოფთა

მოამზადა მაია ცომაიაძ
„კამელინთან“
დაკავშირებულ საკითხებზე
იცვლორგანის მიღება
და კონსულტაცია უფასაობა;
დარჩევი: 2-98-57-78;
2-93-20-87; 2-98-62-25 (მოისი);
2-75-04-08; 599 33 10 89;
599 58 09 07; 577 73 56 51;
599 23 03 33.

R

სიცოცხლის სამოსახლოს ჩემი კატარი გურია

ნოლარ ლუმბაძე



სოფელი ლიხაური

„მდინარე ბუჟუქიდან გზატკეცილი ერთხანს ტყე-ტყე მიდის. თეთრ ზოლად დაკლაკნილ გზას ჩარჩოსავით ლამაზად აკრავს ამნენებული ტყე რცხილისა, გარეული თხილისა, თხმელისა, ან კიდევ ნარი, კუროს თავი, ეკალი, ერთმანეთში აბურდული. ალაგ-ალაგ ტყე კეკლუპად იკვრის, თაღლივით თავს დასცექრის მგზავრს და მზისაგან იფარავს. ნაკადულების საამო ჩხრიალი გულს უხარებს კაცსა. ერთი კილომეტრის მანძილზე ეს გზა ასე მიდის. მერე იწყება სიმინდის ყანები... მთელი გზის ორივე ნაპირას ფიცრული სახლებია ჩამნერივებული... აქ კი იშლება სოფელი ლიხაური. გარშემო ლიხაურს ტყე არტყია. ნადირი, განსაკუთრებით გარეული ღორი, დიდალი ბუდობს აქაურ ტყეში“ (თედო სახოვა, „მოგზაურობანი“)

„ლიხაური ისტორიული სოფელია. „იგი მდებარეობს ოზურგეთის აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეს აჭარა-გურიის მთების ერთ-ერთ კალთაზედ“ (თედო სახოვა, „მოგზაურობანი“) მდინარე აჭისწყლის ხეობაში, ნაბადას მთის ჩრდილოეთით, ზღვის დონიდან 80 მ. სოფელი მუნიციპალიტეტის ცენტრიდან დაშორებულია 5 კმ-ით. თემში შედის დასახლებები; ლიხაური, ვაწტიალი, აჭი, ნიაბაური, კვაჭალათი. სოფლის ერთ-ერთი უბანია ოქროს მუხური.

ლიხაურის ისტორიას ღრმა ფესვები აქვს, მაგრამ დოკუმენტურად ხელშესახები ცოტა თუ გადარჩენილა.

სოფელ ლიხაურს გააჩნია ულამაზესია ადგილები, ლანდშაფტი და საცხოვრებლად ხელსაყრელი პირობები. ამიტომ ადამიანს აქ ახალი ქვის ხანიდან უცხოვრია. სოფლის თავდაპირველი სახელი იყო „რეხუელი“. მოვაინებით იწოდება როგორც „ლეხოური“. სოფელ ლიხაურის ტერიტორიაზე აღმოჩენილია „ქვაჯვარი“, რომელიც ადრე ქრისტიანული პერიოდისაა.

გურიის ერისთავთ-ერისთავების რეზიდენცია ძველ დროში ლეხოური იყო. ვარაუდობენ დღემდე შემონახულ მეცხრე საუკუნის ციხეს, რომელშიც იყო კარის ეკლესია და ოდნავ მოშორებით საგვარეულო საძვალე.

სოფელი ლიხაური ცნობილია ისტორიული ძეგლებით.

XIII-XIV საუკუნეების წმინდა გიორგის სახელობის აჭის დარბაზული ეკლესია:

ხელოვნებათმცოდნები მას XIII-XIV საუკუნეებით ათარიღებენ. დიმიტრი ბაქრაძის მიხედვით ტაძარი უფრო ადრინდელი პერიოდის – VIII-IX საუკუნის ნაგებობაა.

აჭის ეკლესია მდებარეობს სანისლოს მთის ძირში, მდინარე აჭისწყლის მარჯვენა ნაპირზე. ტაძარი შემაღლებულ ბაქაზე დგას. ერთ მხარეს ხრამი აკრავს, რომელიც მდინარეზე ეშვება.

მისი აშენების შესახებ არსებობს ლეგენდა. სოფელ აჭის დევი შეწმივა, შეწუხებულმა მოსახლეობამ წმინდა გიორგის მიმართა შემწეობისთვის. წმინდანმა დევი მოკლა და გააქვავა, ხოლო მადლიერმა ხალხმა მას ტაძარი აუგო. მდინარე აჭისწყლის პირას ახლაც არის დიდი ლოდი-, დევის ქა“. ეკლესის აგება ხალხს არ გამოდიოდა. ერთ დღესაც ნახეს მტრედების მიერ დაწყობილი ნაფოტები, რომელსაც ეკლესის ფორმა პერიდა და სწორებს იქ ააშენეს ტაძარი.

აჭის ეკლესის მიმართ გურიის მთავრები განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენდნენ. სვიმონ II გურიელმა აჭი სანინამძღვროდ აქცია. აჭის წინამძღოლობა მინიჭებული პერიდათ სალუქევაძე-თაყაიშვილების საგვარეულოს. აჭის ეკლესია მოქმედია 1991 წლიდან. 2007 წლიდან აქ ამოქმედდა „ივერიის ღვთისმშობლის ხატის“ დედათა მონასტერი.

ტაძარში ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა თამარ მეფის დროს შექმნილი, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჯვარი, რომელსაც ამკობდა წარწერა: „ჰო ძელო ცხოვრებისაო, მეორ ეყავნ შენთა მკობთა დღესა მას განკითხვისასა. შეიქმნა ჯვარი ეს ძეთანიისა ღვთის მშენებლისა ოქროსა და ვერცხლის წმიდისა, უფლებასა დედოფლისა თამარისა, ადიდენ ლმერთმა“. ჯვარს აღარ პერიდა შერჩენილი ძვირფასი ქვებით შემკული მედალიონები. გარკვეული პერიოდი ჯვარი დაკარგულად ითვლებოდა. დღეს, ეს ჯვარი მონასტერში ინახება.

„ეს ჯვარი დიდი საფრთხის წინაშეა. მოუფრთხილდით და შეინახეთ. ყურადღება მიადევნეთ აჭის ეკლესიას და როცა იქ მონასტრული ცხოვრება აღდგება, მხოლოდ მაშინ დააბრუნეთ“, – ეს ანდერძი აჭის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესის დიაკვანის არსენ სალუქევაძეს ეკუთხნის. მისმა შთამომავალმა გია სალუქევაძემ ის პირნათლად აღასრულა. 2007 წელს, მას შემდეგ, რაც ეკლესიაში სამონასტრო ცხოვრება აღდგა ჯვარი დააბრუნა. მოგვიანებით დადგინდა, რომ ეს ის ჯვარია, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილმა თავის ნაშრომში აღწერა და თამარ მეფის ჯვრად მიიჩნია.



წმინდა გიორგის სახელობის აჭის ულესია

ამას ადასტურებდა, ძველი ქართული წარწერაც და ჯვრის შიდა ნაწილში დატანებული იმ ძელის ფრაგმენტი, რომელზეც (წარწერის თანახმად) იყსო ქრისტე ჯვარს ეცვა. ამ ჯვრით თამარ მეფე ლაშქარს მიუძღვდა და ბრძოლის წინ ლოცავდა.

აჭის ტაძარს საკმაოდ დიდი რაოდენობით უძრავი ქონება და დიდი ზარი ჰქონდა, რომლის ხმა ლიხაურამდე აღწევდა. აჭის მონასტრის ისტორია კიდევ ბევრ გაუხმაურებელ ამბავს ინახავს. ამბობენ, რომ ტაძრიდან გამომავალი გვირაბი მდინარის ქვეშ გადის, სადაც შესაძლებელია თამარ მეფის საგანძურო იყოს.



ლიხაურის უღებელი

ლიხაურის შოპის სახელობის ეკლესია:

„ლიხაურში“ საქურადლებოა მისი პატარა, მაგრამ ძველის-ძველი, 1352 წ. კახაბერ გურიელის მიერ აშენებული ეკლესია, მაღლობზე წარმოდგენილი, სოფლის შუაგულ ალაგას. აქ არის დაცული დღემდე ძველის-ძველი ხატები. მათ შორის შესანიშნავა ლეთისმშობლის ხატი ვერცხლისა და ოქროცურვილი, თვალმარგალიტით შემკული. ამ ხატის წინაშე ხალხი ფიცას სდებს ხოლმე და მღვდლების ჩაგონებით ყველას სწამს, ვინც ტყუილად დაიფიცებს, ხატი გარისხავს, ზარს დასცემს; ამიტომ ამას „საზაროს“ ეძახიან.

უმეტეს მათგანს წარწერები აქვს, რომლენიც ნათელსა ჰფენენ ზოგიერთ ბუნდოვან და გამოურკვეველ საკითხებს ჩვენი ისტორიისას და, კერძოდ, გურიელთა გვარის სიძველეს. ამავე ეკლესიაში შენახულია ტყავზე დანერილი ოთხავი ასომთავრული ხუცურით. აქაურ მღვდელს კონტრიქტეს დაუკაზმინებია ეს განძი ჩვენი საეკლესიო მწერლობისა და საკმაოდ სისუფთავით შეუწავს.

ეკლესიას პატარავე სამრეკლოცა აქვს მოდგმული დასავლეთით. სამრეკლო აშენებულია გურიის მთავრის გიორგი გურიელისა და მისი მეუღლის ელენეს დროს, 1442 წელს. როგორც ამ სამრეკლოს ხუცურ წარწერიდან ჩანს, ლეხოურს ძველად რეხოული რქმევია“ (თედო სახოკია „მოგზაურობანი“).


ფეოდალური ხანის - თამარის (ლიხაურის) სიხე

„ლიხაურის ეკლესიდან ერთი კილომეტრის მანძილზე, საქმაოდ მაღალ ქედზე აგებულია ლეხოურის ციხე, რომელიც ძველ დროში გურიის სამთავროს თურქთა შემოსევისაგან იცავდა... მიხვეულ-მოხვეული გზით შეიძლება თითქმის ციხის ძირამდეავიდეს კაცი ცხენით. აქედან კი ციხემდე 40 მხარის მანძილია და ფეხით უნდა ავიდეს კაცი. გზის იქეთ-აქეთ მხარე დაფარულია თხმელისა და ხურმის ხეებით, რომლებზედაც ვაზებია გაშვებული. მშ-

ვენიერი გადასახედია ამ ციხიდან. თითქმის ნახევარი გურია, ანუ, უკეთ, მთლიანი ტყე, რადგან სახლები არსაიდანა ჩანს, ქობულეთი, ფირუზის ფერი შევი ზღვა-ფეხქვეშ ეშლება ადამიანს. საუცხოვო, მსუბუქი ჰაერია; სხვაგან რაც უნდა ცხელოდეს ზაფხულობით, აქ მაინც ნიავი ჰქინის და გრილი. გურიის მთავარსაც იმიტომ აურჩევია საზაფხულო საცხოვრებლად ეს ადგილი. სასახლე შიგ ციხეში ჰქონია, იქავე ჰქონია ეკლესია. ჭაც ყოფილა ამოთხრილი. მაგრამ დღეს ყოველივე ნარ-ეკლითაა დაფარული, გარშემო ჯერ ისევ თითქმის მთლად შენახულ ციხეს მშვინვრად სურო შემოხვევია და შერიდან ისე მოსჩანს, თითქოს მწვანე ხავერდი აქვს შემოკრული შუა წელზე (თედო სახოკიაგ „მოგზაურობანი“).


თედო სახოკიას ჩაუწერია გადმოცემა ციხის აგების შესახებ: „მითხრეს, ამ ციხის საშენებელი ქვა სულ მდინარე აჭის წყლიდან, რომელიც ციხიდან ერთის კილომეტრის მანძილზეა, არის ამზიდული. თურმე ხალხი ეყენათ გამწერივებული ციხესა და აჭის წყლის შუა. მდინარის ნაპირას ვინც იდგა, ქვას იღებდა და მეორეს, თავის გვერდით მდგარს, აწოდებდა. მეორე-მესამეს და ასე ბოლომდე, სანამ ქვა ციხესთან არ ავიდოდა. სანამ ციხე არ მოთავდა, ქვა სულ ასე აუზიდნიათ. სხვაფრივ ქვის აზიდვა, მაგალითად, ურმით არც შეიძლებოდა. მეტად ძნელი სამუშაო იყო თურმე და ყოველ სალამოს დაყენებულ მუშათავან ორ-ორი კაცი კვდებოდა: ერთი ის, რომელიც ქვას იღებდა ნიადაგიდან, ხოლო მეორე ის კვდებოდა, რომელიც სულ თავში იდგა და მიწოდებულ ქვას ძირს სდებდა. ყველაზე მეტი სასჯელი ამ ორ კაცს ადგა“.

XIX საუკუნეში ლიხაურში იმოგზაურეს და აღწერეს დიმიტრი ბაქრაძის აღწერით „ამ პერიოდში ლიხაური წარმოადგენდა სასოფლო საზოგადოების ცენტრს ერთი სასოფლო მმართველობით, რომელშიც შედიოდა სოფე-



თამარის ციხე

ლი ლიხაური ჭანიეთითურთ, ქაქუთი, აჭი, ნაცხავატევი, კვაჭალათი და ნიაბაური. ლიხაურის მოსახლეობა ჭანიეთითურთ წარმოადგენდა 140 კომლს. სოფელში მოქმედებდა სასოფლო ორკლასიანი სკოლა, სადაც სწავლობდა 50-მდე მოსწავლე, ასევე სოფელში იყო ცხრამდე დუქანი და სოფლის სასამართლო. სოფლებში ცხოვრობდნენ აზნაურები: თაყაიშვილები, ბებურიშვილები და გოგოლიშვილები. 1870 წლისათვის ლიხაურის საზოგადოებაში შედიოდა სოფლები მაკვანეთი და ექადა. ლიხაურში მოჰყავთ საუკეთესო ჯიშის ღომი, სიმინდი და ყურძნი. როგორც ამბობენ იგი განსაკუთრებით ცნობილია წვრილმარცვლოვანი წითელი ყურძნის-ჩხავერის სიუხვით და მდინარე ბუჟის გერმიელი კალმახით“.



მღვრი ნებისმიერი

თედო სახეკია გურიის მაცხოვრებლების შესახებ:
„თქვენ ყურადღებას უნინარეს ყოვლისა აქ იპყრობს ის სილამაზე სახისა, რომელიც გამჩენს მიუმადლება აქაურ მკვიდრთათვის, ვინც ქალს ლამაზი სქესი დაარქვა, ალბათ სახეში გურული ქალი ჰყავდა. თეთრ-ყირმიზი სახე, შავ-ხავერდისებური, გამომეტყველი თვალები, რომელშიც ვნებათალელვაც იხატება და გულკეთილობაც. მაღალი კეთილშობილური შუბლი, მშვილდივით გადაჭიმული ნარბები, მიჯრით მიწყობილი, ბროლივით კბილები, ყურყუმასავით შავი და გრძელი თმა, – აი საზოგადო სახე აქაურის ბანოვანისა. მერე-ყველა ტანადია, მოხდენით მოღაპარაკე. ბუნების კანონის წინააღმდეგი იქნებოდა, როცა ასეთი ლამაზი ქალებია, ვაჟებიც მათსავით ლამაზები არ იყვნენ! დიახ, ვაჟებიც ასეთიველამაზები არაან და ზოგს შემთხვევაში სჯობიან კიდეც მათს სილამაზესთან ერთადსაუცხოვოდ შეხამებულია მამაცური, პირდაპირი გამომეტყველება სახისა და ცოცხალი, მოძრავი ხასიათი. კეთილშობილება ყველას ეხატება სახეზე.“

განსაკუთრებული მასპინძლობა იციან ლიხაურში. აქაურ მასპინძელს თუ მადლობას გადაუხდი მასპინძლობისთვის, ისიც აუცილებლად გადაგიხდის მადლობას იმისათვის, რომ „ესტუმრეთ და თქვენი ხელის ნაბანი წყალი მის ოჯახში დაიღვარა.“



ლიხაურის სკოლა

დღეს:

სოფელ ლიხაურში ცხოვრობს 956 კომლი (2805სული), სოფლის მიწის ფართობი შეადგენს 5270 ჰა-ს. მოსახლეობას მიეწოდება ბუნებრივი გაზი, წყალი აქვს ახლად შეკეთებული მოსაფალტებული ცენტრალური გზა. გრძელდება გაზიფიკაციის პროექტი და ბუნებრივი აირით დამაყოფილდება სოფლის თითოეული ოჯახი. ეს პროექტი 10 წელია მიმდინარეობს და დასასრულს უახლოვდება. მოწერილი გადამდინარების შიდა გზები.

ადრინდელ პერიოდთან შედარებით მოსახლეობის რაოდენობა შეცირებულია, მაგრამ არა საგანგაშოდ. ძირითად შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ციტრუსი, თხილი და კივი. სოფელში საბჭოთა პერიოდში ჩაის დიდი პლანტაციური იყო და მუშაობდა ჩაის ფაბრიკა, რომელიც სარისხიან ჩაის ანარმოებდა. ამ დროისათვის ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი განადგურებულია. 70-80-იან წლებში ფართოდ გავრცელებული იყო ციტრუსის კულტურა. ამჟამად კი ძირითად შემოსავლის წყაროდ იქცა თხილი. სოფლის მიწა წაყოფილი გამოდგა ახალი ხეხილისათვის, კერძოდ კივის კულტურისათვის. უფრო მეტი მონდომებისა და ყურადღების შემთხვევაში სოფელ ლიხაურს დიდი პერსპექტივა გააჩნია სასოფლო-სამეურნეო კულტურების განვითარების კუთხით.


სოფელში არის საჯარო სკოლა, საბავშვო ბაღი, ჭიდაობის – სპორტული სკოლა, ბიბლიოთეკა, ექვთიმე თაყაიშვილის მუზეუმი, კულტურის სახლი, ამბულატორია.

საჯარო სკოლა აშენდა 60-იან წლებში, სადაც სრულ საშუალო განათლებას იღებს 250 მოსწავლე. სკოლის ბაზაზე არსებობს ბიბლიოთეკა და ჭიდაობის – სპორტული სკოლა. ახალგაზრდობა ეუფლება ახალ ტექნოლოგიებს – სოფელში არის კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები.

სოფელ ლიხაურში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, სადაც სწავლობს 90 ბავშვი. ბაღი ჩასმულია „სოფლის პროგრამაში“ და ივლისის თვიდან დაიწყება სარემონტო სამუშაოები.

სოფელ ლიხაური ამაყოფს თავის მიწაზე დაბადებული და აღზრდილი სახელოვანი მამულიშვილებით. აქ უჭირთ მათი გამოყოფა.

ამ სოფელს გამორჩეული მეომრული წარსული აქვს. მრავალი აქაური შენირა მომხდურთან ბრძოლას, სწორედ, იმ გმირთა შეუდრეებელობით მოხერხდა, რომ თურქობამ მდინარე ჩოლოქს აქეთ დიდი ხნით ვერ შეძლო ბოგინი. XIX საუკუნეში მრავალი ათწლეული დაჭირდა ქვემო გურიისა და ბათუმის მხარის დამპყრობელთაგან განთავისუფლებას, რაც ახლდა კიდეც 1878 წელს. ამ უსატყიერესი ომის სამარდჟამო დიდების შარავანდედით შეიმოსა 16 ლიხაურის მის ოჯახში დაიღვარა.“



ეჭვთიშვილი თადამშევლი



ეჭვთიშვილი თადამშევლის მუზეუმი მუზეუმი

რელი გმირი – ისინი 1877 წლის ოქტომბერში ციხისძირთან შეეწირნენ აჭარის დედა სამშობლოში დაბრუნებას!

გამორჩეულია ეგრეთ წოდებული „ყირიმის ომის“ პერიოდში 1854 წლის 4 ივნისის ჩოლოქის ბრძოლა, რომელიც ჭანიეთი-ლიხაური-ქაქუთის მიდამოებში გაიმართა და მტრის რიცხოვნობის მეტისმეტი სიჭარბის მიუხედავად გაერთიანებული ქართული ლაშქრის გამარჯვებით დამთავრდა. ამ გაუხნუნარ დღეს 160 წლინადი გვაშორებს!

მრავალი ლიხაურელი კატარითი და მოლვანი აერთის საერთოების მიერ და სახელმოვან ნარსელი.

1863 წლის 5 იანვარს (ძველი სტილით) სოფელ ლიხაურში დაიბადა ეჭვთიშვილი, პიროვნება, რომელმაც საქართველოს გამორჩეული კულტუროსანი ქვეყნის გვირგვინი დაადგა. დაბადებიდან 150 წლისთვის დაკავშირდით, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია „იუნესკომ“ 2013 წელი დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვანის, ეჭვთიშვილის ნლად გამოაცხადა. ქართველმა ხალხმა მას „საქართველოს მექურქლეოთუხუცესი“ უწოდა, ხოლო საქართველოს ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და უწოდა „წმინდა ეჭვთიშვი ლეთისაცად მოიხსენიება“.

მას ივანე ჯავახიშვილთან და სხვა კორიფეულთან ერთად დიდი წვლილი მიუძღვის თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებაში. ეჭვთიშვილი ათავისული მინვენელოვანი სამეცნიერო ნაშრომები და-გვიტოვა საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ეპიგრაფიკის, ნუმიზმატიკის, ფილოლოგიის, რესტველოლოგიის, ფოლკლორისტიკისა და ლინგვისტიკის სფეროში. ეჭვთიშვილი თავისი სამშობლოში მიმდინარეობის გარისები იყო. იგი ვერ გატეხა ვერც შიმშილმა, ვერც გაჭირვებამ და ვერც დამცირებამ. მრავალი განსაცდელის მიუხედავად,


ჩვენი საგანძურო, რომელიც ბოლშევიკებისაგან გადასარჩენად უცხოეთში გაიტანეს, შეინარჩუნა და დაუბრუნა სამშობლოს. დღეს, რომ ჩვენს მუზეუმებში ქართული კულტურის უნიკალურ ძეგლებს სიამაყით შევცერით, სწორედ მისი თავავანწირებისა და ზნეობრივი გმირობის შედეგია.

1989 წლის 9 აპრილმა კიდევ ერთი მძიმე ტრილობა მიაყენა ლიხაურს, ქ. თბილისში უმონყალოდ დაჩეხილ და მონამლურ მმვიდობიან მანიუფესტანტებს შორის იყო ტრაგიულად დალუპული, სოფლის მკვიდრი, 25 წლის ნინო თოიძე.

2010 წელს სოფელში ნინო მამარდაშვილის, ზაზა სიორიძის, თამაზ სალუქვაძის თაოსნობით გაიხსნა ეჭვთიშვილის მუზეუმი. იგი ნარმადგენს გურული ტიპის სტილიზებულ ოდა-სახლს, რომელიც შემოსაზღვრულია ქვის გალავნით. მუზეუმს თოხი საექსპოზიციო დარბაზი აქვს. მასში დაცულია ეჭვთიშვილის ფოტომასალა, ნიგნები, პირადი ნივთები. ახალგაზრდები დიდ ინტერესს იჩენენ მუზეუმის მიმართ და ხშირად სტუმრობენ თავიანთ სოფლის სიამაყეს. ყოველ წელს 16 იანვარს სოფელი აღნიშნავს „ეჭვთიშვილის“, რომლის დროსაც უამრავი ვიზიტორი ყავს მუზეუმს და სოფელს.

ლიხაურში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია ერთ-ერთი უძველესია. სტუმარს ღვთის საჩუქრად თვლიან და მთელი სულითა და გულით ცდილობენ ასიამოვნონ მას. ქალაქიდან ზაფხულის პაპანაქებას გარიდებული ადამიანები ლიხაურის ულამაზეს ბუნებას აფარებენ თავს. გოგორიკიძის ტბის მიდამოები სავსეა დამსვენებლებით. მდინარე აჭისწყლის ხეობაში მოწყობილია ლიარესტორნები, (ჭყიმარტე, ნიაბაური) სადაც უგემრიელესი კერძებით და მთის მდინარის კალმახით გაგიმასპინძლდებიან.

ქთი მგელაძე



აჭის წყალი

დათო ასკურავა ველოტრიკი ზელიზე და სამი ცალია აბსოლუტური ჩემპიონია

ცნობილი სახალხო მკურნალი ბიჭიკო ასკურავა ყოფილი სპორტსმენი, ველოს-პორტის ფედერაციის ექსპრეზიდენტია. სპორტის ამ სახეობაში მისი საბოლოო პროფესიული არჩევანი განსაზღვრა. წინაპართა ტრადიციას აგრძელებს და ბაბუის საქმიანობაში უკვე საფუძვლიანად ერკვევა უფროსი შეილიშვილი-დათო ასკურავა. ბაბუას კვალს ის სპორტშიც მისდევს. „როგორ არ უნდა მიხაროდეს შეილიშვილის ასეთი წარმატება“ – ამბობს მკურნალი. 23 წლის პაუზის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის ლიცენზიის მოპოვება საქართველოდან მხოლოდ დათომ შეძლო. მან ინგლისში ქალაქ მანჩესტერში გამართულ ტურნირზე ერთ კილომეტრიან რბოლაში (პიტი) ერთი წევთი და ექვსი წამი აჩვენა. დათომ საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა. ქალაქ პეტერბურგში ახალაგაზრდა სპორტსმენმა როცა შეჯიბრზე გაიარა, რუსმა ტრენერმა როდიკო მეიშვილს უთხრა – „ქართველმა რომ გაიმარჯვოს, ჩვენ სამსახურიდან გაგვათავისუფლებენ“. ველორბოლის სპეციალისტები დათოს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

ბაბუობიდან მიყვარდა სპორტი, დავდიოდი ჩინგბურთზე, ცურვაზე და ფეხბურთზე. ბაბუას ველოსპორტის სურათების დათვალიერების შემდეგ სპორტის ამ სახეობამ გამიტაცა.

– რა პროფესიის ხარ დათო?

– თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის „მეტეხი“ სამურნალო ფაკულტეტი დაგამატავრე. ტრავმატოლოგიის დარგი ავირჩივ.

– ოჯახში მოახდინა გავლენა?

– არა, ჩემი სურვილი იყო. ბაბუობიდან ამ კაბინეტში ვეხმარებოდი ბაბუას, ამიტომ დავინტერესდი.

– ხასიათით თუ ჰერცენ მას?

– ჩვენ შორის ბევრ მსგავსებას ვპოულობ, ზოდიაქოს ნიშნით ორივე ლომები ვართ, პირველია გვიყვარს.

– როდის გახვედი პირველ შეჯიბრზე?

– 2007 წელს, ვარ საქართველოს აბსოლიტური ჩემპიონი, ორჯერ რუსეთის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატზე მესამე ადგილი მოვიპოვე. ბაქო-ერევანის ჩემპიონატი რამდენჯერმე მოვიგე. სასომხეთის ველოტრიკის გახსნაზე პირველ დღეს ყველა სახეობაში გავიმარჯვე. მეორე დღეს საერთოდ შეწყდა შეჯიბრი.

– რატომ მიგიზიდა ველორბოლამ?

– მამაკაცური სპორტია, მხოლოდ შენ თავზე ხარ დამოკიდებული. ფიზი-



ეურად და ფსიქოლოგიურად მომზადებული უნდა იყო, ასევე ჭუაც აუცილებელია.

– ველორბოლის რომელ სახეობებს იჩივე?

– საერთაშორისო ტურნირზე სპრინტი და კილომეტრი მაქსიმუმში მაქსიმუმში შერჩეული.

– როგორ ვითარდება საქართველოში სპორტის ეს სახეობა?

– ველორბოლა 13 წელი ჩამკვდარი იყო. მას შემდეგ, რაც ფედერაციის პრეზიდენტად უმცროსი იმარ ფხაკაძე აირჩიეს, თანდათან აღორძინდა. როგორც სპორტსმენმა მან კარგად იცის, რა გვჭირდება, ბაბუობის მომზადება, ტურნირზე გასვლა. საჭირო ინვენტარი, ის ყოველთვის გვერდით გვიდგას. ბატონი იმარი და მე საუკეთესო მეგობრები ვართ.

– ველორბოლა ჩინგბურთზე ძვირადღირებული სპორტია. დათო თუ გყავს სპონსორი?

– არ მყავს, შარშან უსახსრობის გამო კოლუმბიაში მსოფლიო ჩემპიონატზე ვერ ნავედით.

– უცხოელი სპორტსმენებიდან ვინ არიან შენი ფავორიტი?

– ფრანგი სპორტსმენი პერვისი, მან მსოფლიო ოლიმპიადა მოიგო. რაც შეეხება საქართველოს ნამყვანი სპორტსმენი ვარ. ცოტა ხნის წინ დედაქალაქში საქართველოს ჩემპიონატზე სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოვიდნენ. შეჯიბრზე ხუთივე სახეობა მოვიგე.

– რა გეგმები გაქვს?

– 20 მაისს ტურაში მივფრინავთ, ტურის დიდი თასის გათამაშებაა. შემდეგ მოსკოვში გრანპრის მოპოვებისთვის ვიბროლებთ. სულ მალე იტალიაში,

ქალაქ ფლორენციაში გავემგზავრებით.

– ვინ არიან შენი ტრენერები?

– როდიკო მეიშვილი და ომარ ფხაკაძე.

– გსურს საზღვარგარეთ გააგრძელო სპორტული კარიერა?

– ოჯახი მყავს, მეუღლე ირინე ეცადაშვილი და პატარა ირაკლი ასკურავა, მამას სახელი ჰქვია. რთულია ისინი მიატოვო, ასევე ბაბუას ჩემსავით ვერავინ დაეხმარება.

– მის საქმიანობას შენ გააგრძელებ?

– რა თქმა უნდა, სპორტი ასაკობრივია, კარიერის დასრულების შემდეგ ბაბუას საქმეს მე გავაგრძელებ. მას უცნაური ხასიათი აქვს.

– რაში გამოიხატება უცნაურობა?

– ოჯახის წევრებს, პაციენტებს, მეგობრებს ასე ვთქვათ, თავს წერტილს მოუქენის, თუ სიმკაცრეა საჭირო, მკაცრია, თუ თბილად საუბარი, თბილად გაესაუბრება. მასთან ურთიერთობით ყველა კაყიდვილია. კარგი მეგობარია, ვისაც შეიძლება ენდო და დაეყრდნო.

როდიკო მეიშვილი: დათო ასკურავა პერსპექტიული სპორტსმენია, ის საკრეკო ველორბოლაში გამოიდის. კარგი მილენებები აქვს 200 მეტრი, 1000 მეტრი, კერინი და სპრინტი. ახლა 2016 წლის ბრაზილიის ოლიმპიადის ლიცენზიის მოსაპოვებლად ვემზადებით. ფედერაცია დიდ დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურირებენ, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების დაგვილების მიზნით აქტიური ჩვენთან აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება. გულისხმიერებას თუ გამოიჩენ, ჩვენი მობილურის ნომერს გეტყვით 593 55 00 30

უურნალ „გურია REGION“-ის მკითხველმა როგორც სურს ისე გაიგოს რუსეთში ველორბოლაში ქართველები კურთველები, ნაკრების მწვრთნელი ოთარ მჭედლიშვილია, ასევე თბილისელები სომები გარივ გეორქივი, მსოფლიო ჩემპიონი და პრიზიორი რუსი პეტრე ჩევარდოვი. უურნალის დაფუძნებიდან ბიჭიკო ასკურავას მოვიდების მიზნით აქტიური და დახმარებას გვინებს, თუმცა დათოს სპონსორობა ესაჭიროება

კიბეჭრი ჰარის ჩა მარქანტის ქაცილი

ადამი და ევა

ხშირად გაისმის საყვედური ევას მისამართით: ვაშლის გულისთვის, სამოთხე დაგვაკარგვინაო. აღნიშნული არ შეესაბამება სინამდვილეს, ვაშლი ანტიკურ სამყაროში ოდითგანვე ნაყოფიერების სიმბოლოდ მოიაზრებოდა. სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს ტაძრის გარშემო ვაშლის ხეები შრიალებდა. ვენერას ხელში ვაშლი ეპურა, ღმერთებს შორის განხეთქილების მიზეზი იქროს ვაშლი იყო. ქრისტიანობა პირველად ანტიკური ცივილიზაციის ქვეყნებში გავრცელდა და ხალხის ცნობიერებაში იმდრონდელმა წარმოდგენებმა, ალბათ, გარკეცული ასახვა ჰპოვეს. ასევე არასწორია ცნობადის ხის ლელვთან გაიგივება. ლაფსუსის მიზეზი, შეიძლება პირველი ადამიანების პირველ სამოსში, ან სახარებაში მოთხოვნილი მაცხოვრის მიერ ლელვის ხის დაწყევლასთან იყოს დაკავშირებული („და იხილა ლელვი ერთი გზას ზედა და მოვიდა მისა და არარა პირვა მას შინა, გარნა ფურცელი ხოლო, და პრექა მას: წულარა იყოფან შენგან საუკუნოდ, და განხმა ლელვი იგი მეყსეულად“ (მთ. 21,19)) – ორივე შემთხვევაში სიუჟეტის არასწორი ინტერპრეტაცია ხდება.

ხე. რომლის ნაყოფის ჭამაც ღმერთმა ადამიანებს აუკრძალა, ბიძლიაში კეთილისა და ბოროტების შეცნობის ხედ ინოდება და კონკრეტულად ჯიში არ არის მითითებული, რადგან ამას არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ექვსი დღის განმავლობაში ქმნიდა ღმერთი სამყაროს, კოსმოსს, დედამიწას, ფლორას, ფაუნას. მხოლოდ მეექვსე დღის მნუხრზე შექმნა ღმერთმა კაცი. თავის ხატად შექმნა იგი. შეურაცხყოფის მიზნით კი არ მიაქცია ადამიანი უკან, არამედ რათა „დაბადებიდანვე მეფე ყოფილყო“, რადგან სწორი არ იქნებოდა, სამთავროზე უნინ მთავარი გამოჩერილიყო, არამედ ჭეშმარიტად სწორია, „რათა პირველად სამეფო გამზადეს და მაშინ-ლა გამოჩნდეს მეფე“ – განმარტავს IV საუკუნის წმიდა მამა გრიგოლ ნოსელი. ამიტომ იქნა შემოყვანილი კაცი ქმნილებათაგან ყველაზე ბოლოს, არა როგორც ვინგე შეურაცხი და ბოლოში მიგდებული, არამედ ვითარცა მეფე ქვეშვრდომთა.

დიახ, ადამიანისათვის შეიქმნა უკიდეგანო სამყარო, შემოქმედმა მხოლოდ ის აკურთხა ამგვარად: „ინაყოფიერეთ, იმრავლეთ, აავსეთ დედამიწა, დაეუფლეთ მას“. ადამიანი იყო ბოლო აკორდი უფლის შესაქმისა. რადგანაც შეიქმნა არა უბრალოდ მინისაგან და ბიოლოგიურად მსგავსი დედამიწაზე გავრცელებული ორგანიზმებისა, არამედ ნათქვამია ბიბლიაში: „ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდა“, ესე იგი – ღმრთისა. რა შეიძლება იყოს ხატებასა და მსგავსებაზე აღმატებული? – არაფერი. ამიტომაც ამ ღირსების ქქონე ადამიანის შექმნით სრულ იქმნა სამყარო და მევიდე დღეს „განისვენა ღმერთმა ყოველი საქმისაგან“.

ისმის კითხვა – რაში მდგომარეობს ხატება და მსგავსე-

ბა ღვთისა? მეტად პრიმიტიული და გაუგონარი გულუბრყვილობა იქნებოდა გვეიქრა, რომ ღმერთს ჩვენსავით აქვს ხელი, ფეხი. ადამიანური სხეული მხოლოდ წმიდა სამების მეორე ჰიპოსტასა დემ შეიძინა განკაცების შემდეგ. ხატება ინშავს იმას, რომ ადამიანს მიენიჭა უკვდავი სული, გონება და თავისუფალი ნება, „რადგანაც ვინც დამცირებასა და იძულების ქვეშ არის, არაა აზნაური, არამედ აზნაურება ისაა, რომ განაგებდე ნებას“ (გრიგოლ ნოსელი). მიუხედავად მეცნიერების რიგი მცდელობისა აღმოჩინონ ცხოველებში უნარი, ეს უკანასკნელი მანც ვერ ცდებიან ინსტინქტების სფეროს, თუნდაც ძალზე რთულს. ცხოველის ინსტინქტი კი სულ სხვა არა არის, თუ არა უფლის მიერ მიცემული კანონი ქმედებისა, ისევე როგორც საზოგადოდ მთელი სამყარო ემორჩილება გარკეცულ წესრიგსა და კანონებს. ღმერთმა ადამიანს „შემოსა უბინოება, სინმინდე, სინრფელე და განაშორება ყოვლისაგან ბოროტისა იმგვარი სახით, რომლითაც ემსგავსება კაცი თავის დაბადებულს“ (გრიგოლ ნოსელი). ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანს დიდი შრომა და რუდიუნება სჭირდება. „გული წმიდა დაპატადე ჩემთანა, ღმერთო, და სული ნრული განმიახლე გვამსა ჩემსა“ (50-ე ფსალმუნი). ამგვარად, ღვთის ხატება ადამიანს დაბადებიდანვე ეძლევა, ხოლო მსგავსება სიკეთისაკენ ჩვენი თავისუფალი ნების წარმართვით მიიღწევა.

პირველად მამაკაცი შეიქმნა „მინის მტვრისაგან“, ესე იგი ადამიანიც იგივე მატერიისგან შეიქმნა, რისგანაც დედამიწა. ამიტომ უწოდა ღმერთმა პირველ კაცს – ადამი – ეპრაულად „მინა“. როგორი საცხოვრისის მოუმზადა უფალმა მას. „უფალმა ღმერთმა ბალი გააშენა ედემში, აღმოსავლეთში, და დასვა იქ ადამი რომელიც გამოსახა“: ედემის ბალი მესოპოტამიის სამხრეთ ნანილში მდებარეობდა და მოსესთვის, რომელიც „დაბადებას“ წერდა პალესტინაში, აღმოსავლეთით მდებარე ქვეყანას წარმოადგენდა. ბალში ორი არაჩევულებრივი ხე იყო. ხე სიცოცხლისა და ხე კეთილის და ბოროტის შეცნობისა. სიცოცხლის ხის ნაყოფს ადამიანის ორგანიზმისათვის ფიზიკური უკვდავების მინიჭების განსაკუთრებული უნარი ჰქონდა. მის ჭამას კი არ უკრძალავს ღმერთი ადამს, არამედ ეუბნება: „მხოლოდ კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შექამო, რადგან როგორც კი შექამ, მოკვდებო“. უსაქმერობა აავადებს ადამიანს, როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, ამიტომ მისცა შემოქმედმა ადამს ედემის ბალი დასამუშავებლად. ხოლო გონებრივი განვითარებისათვის ცხოველები მოუყვანა სახელების დასარქმევად. „მაგრამ ადამს არ გამოუჩნდა შემწე მისი შესაფერი“ – ნათქვამია ბიბლიაში. მარტოობით გამოწვეული როგორი ჩუმი სევდა კაცისა ისმის ამ სიტყვაში: ძნელა მარტოობა. პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისთვის საჭიროა მის



სამთხოე

მსგავსთან ურთიერთობა.

მოწყვალე ღმერთმაც არ დააყოვნა და „ნეკნისაგან ადამს რომ გამოუღლო დედაკაცი შექმნა“. აი, პირველი ქალიც გამოჩნდა. მისი დანახვით გახარებულმა ადამმა აღმოოქვა: „ეს კი მართლაც ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ხორცათაგანი. დედაკაცი ერქვას მას, რაკი კაცისაგან არის გამოღებული“. ეს ამბავი მორნმუნეთათვის შორეულ წარსულში მომხდარი ფაქტია. სწორედ, ამ ფაქტში აისახება მთელი სიმძაფრით ცოლ-ქმრობის არსი. ცოლ-ქმარი ერთსულ და ერთხორც უნდა იყვნენ, ისინი ხომ პასუხისმგებელი არიან მომავალი თაობის წინაშე, ხოლო სადაც განყოფაა და უთანხმოება, იქ ბოროტებაც ადვილად იკვლევს გზას. სწორედ, ამის საჩვენებლად შეიქმნა ევა ადამის ნეკნისგან, თანაც მამაკაცის ფიზიკური და გონებრივი პოტენცია რამდენადმე აღემატება ქალის შესაძლებლობებს, ასეა რეალობაში. ამაზე მიგვანიშნებს ბიბლიაც, როცა ამბობს: რომ ქალი მამაკაცის შემდგომ შეიქმნა და თანაც მის შემწედ. „შემწე“ მამაკაცზე დაბლა დგომას გულისხმობს. თუმცა „ქრისტეს მიმართ არცა მამაკაცი, არცა დედაკაცი“ – ამბობს პავლე მოციქული, რომ ღვთის წინაშე ერთნი ვყოფილვართ, თანასწორი და ერთმანეთისაგან მხოლოდ თვისებრივად განვსხვავდებით.

და აი მოხდა დრამა კაცობრიობის არსებობის დასაწყისში, რაც ევას უკავშირდება.

ადამიანის მტერი – ეშმაკი – გველის სახით მოევლინა ევას და ცდილობს აცდუნოს აკრძალული ხილის ნაყოფით. იგი საოცარ მოხერხებულობას იჩნის პირდაპირ კი არ კითხულობს აკრძალვის მიზეზს. არამედ ინტრიგის ქსელს ხლართავს და სურს რა გამოიწვიოს მცნებისა და მისი ავტორის მიმართ ქალის კაცოფილება, თითქოს გულუბრყვილოდ ეუბნება: „მართლა გითხრათ ღმერთმა, ბალის არცერთი ხის ნაყოფი არ შექამოთ?“ აი, რა მოხერხებულად გამოიწვია გველმა ქალი საუბარში! რა თქმა უნდა, ისიც არ დააყოვნებს და აუხსნოს, რომ სინამდვილეში ყველა ხის ნაყოფი ეჭმევათ, „ოღონდ შეაგულ ბალში რომ ხე დგას მის ნაყოფს ნუ შექამთ, გვითხრა ღმერთმა, არ გაეკაროთ, თორეგ მოკვდებით“.

ღმერთის ნათქვამი გამაძფრებით და სიტყვებით „არ გაეკაროთ“ დამატებით ეშმაკა მოახერხა დედაკაცის ცნობიერებაში ჩამოყალიბებინა მკაცრი ღმერთის ხატება და მცნება რთულ შესასრულებლად წარმოეჩინა. აქედან შეიძლება მივხვდეთ „რომ აზრმა მცნების სიმკაცრის შესახებ და სიკვდილის შიშმა უკვე დაიწყო მასში კანონმდებელი ღვთისადმი წმიდა სიყვარულისა და ღვთისმოსაური გრძნობის დაბნელება“ – სამართლიანად შეინიშნავს მიტროპოლიტი ფილარეტი. „უთხრა გველმა დედაკაცს: არ მოკვდებით, შეიქმნებით ღმერთივით კეთილისა და ბოროტის შემცნობელინი“. როგორი მზაკვარია სატანა, როგორ სწამებს ცილს ღმერთს და ტირნის სახით წარმოიდგენს, თითქოს ადამიანების ნდობითა და უცოდინარობით სარგებლობდეს და ექსპლოატაციას უწევდეს მათ. პირველად სიკვდილის შიშმა უჯარწყლებს გველი ქალს, შემდეგ პატივ-მოყვარეობას უღვიძებს – ღმერთივით მეცნიერი შეიქმნებით. თანაც როგორი თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო“ – აკრძალული ხილი. გონებრივი დაცემა მოხდა, რა-დგანაც ქალი არ ენინალმდეგება ეშმაკის ხმას. საჭიროა მხოლოდ იდეის ქმედებაში მოყვანა. ისიც არ დააყოვნებს, აღარც ადამს ეკითხება რჩევას (სურს რა უკეთესი ნაწილი გამოირჩიოს და მამაკაცზე მალლა დადგეს). წყვეტის ნაყოფს და ჭამს. მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობს დედაკაცი, დანაშაულის თანაზიარი გახადოს კაციც: „მისცა (ნაყოფი) თავის კაცს და კაცმაც შეჭამა“.

მამაკაცზე სუსტი იყო დედაკაცი, თანაც ლევთის სიტყვა პირადად კი არა, ადამისაგან ჰქონდა გაგონილი. შესაბამისად ეშმაკისათვის მისი ცდუნება უფრო ადვილი იყო. საყვარელი ქალის გამო ცდუნდა კაცი, მაგრამ მაინც გაცილებით დიდი იყო მისი ცოდვა: ხომ იცოდა, რომ მისთვის შექმნა ღმერთმა მთელი სამყარო, „შემწე შესაფერი“ მოუვლინა. იგემა ღვთის მოწყალების სიტყბოება. მონასავით კი არ უბრძანეს და აუკრძალეს ცნობადის ხის ნაყოფის ჭამა, არამედ მეგობარივით მიზეზიც გაანდეს-მოკვდებიო. მაინც დაუჯერა ადამმა დედაკაცს. ვითომ მართლა, ღმერთივით შეიქმნენ?! ის, რაც სინამდვილეში ღმერთს მიამსგავსებდათ-სინმინდე და სინრფელე,-ადვილად გაცვალეს აკრძალულ ხილში და რადგანაც შემოეძარცვათ ჭეშმარიტი სამოსი, „აეხილათ თვალი ორივეს და მიხვდნენ, რომ შიშველი იყვნენ“. „მათ გარეგანი მხედველობა განელოთ მას შემდეგ, რაც დაუხურათ სულიერი ხედვა“ – ამბობს ორიგენი.

აძლევს რა საკუთარი საქციელის გაანალიზებისა და სინაწყლის დროს, უფალი ადამსა და ევას თავდაპირველად მხოლოდ შეახსენებს თავისი – ესე იგი მოწყალე ღმერთის არსებობას. „მოესმინათ ხმა უფალი ღმერთისა“ – წერია ბიბლიაში. ლელვის ფოთლებით შემოსილი ადამიანები კი ამ დროს ხეებში იმაღებიან. მაშინ, „დაუქახა უფალმა ღმერთმა „ადამ, სადა ხარ? ძახილი უკვე გულისხმობს: „მოვედიოთ ჩემთან ყოველი მაშვრალი და ტვირთმძიმენი“. ექებს რა დაკარგულ ცხვარს, „უფალი ყოველი ცოდვილი ადამიანის გულის კართან რეკს და მარად იძახის: სად ხარ“. ესე იგი რა მდგომარეობაში ხარ, შენს უფალთან ერთობაში თუ სატანის მფლობელობაში. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის მსაჯული ღმერთის ხმა, ეს მოყვარული მამის ხმაა. რომელიც ცდილობს ეკ შეცდომილი სიყვარულით არცხინოს და სინაწყლის გრძნობა აღუძრას, რათა შემდგომ შეუნდოს, პირველი სამოსი უბოძოს და „დეკეული ჭამებული“ დაუკლას. ადამიანები კი ხშირად იხშობენ გულისყურს და ამ ძახილზე მხოლოდ შიში აღდევრით. ასე დაემართა ადამსაც: „შენი ხმა მომესმა ბალში და შემეშინდა, შიშველი, რომ ვარ და დავიმალე“ – პასუხობს ის. ცდილობს რა, ამ უკანასკნელისაგან დანაშაულის აღიარებას მიაღწიოს, შემოქმედი კითხულობს: „ვინ გითხრა შიშველი, რომ ხარ? იმ ხის ნაყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?“ ნამდვილად დროა პატივია ითხოვოს ადამშა შეცდომისათვის. მაგრამ ამის ნაცვლად გაისმის შემზარავი პასუხი: „შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მოცა იმ ხის ნაყოფი და მეც შეკამთ“. არავითარი სინაწყლი, მხოლოდ შეშინებულის თავისმართლება. თანაც ადამი არა მარტო დედაკაცს, არამედ უზენაესასაც სდებს პრალს, შენმა მოცემულმა ქალმა მაცცედუნაო. მამაკაცის კვალდაკვალ ევაც თავს იმართლებს, თუმცა მხოლოდ გველს აბრალებს დანაშაულს.

ახლა კი დადგა სასჯელის დროც. გველმა, როგორც ეშმაკის იარალმა, ამგვარად დაინწყევლა „მუცლით იხოხე და მტვერი ჭამე“. „მტრობას ჩამოვაგდებ შენსა და დედაკაცს შორის. შენს თესლა და დედაკაცის თესლს შორის, ის თავს გიჭეჭყავდეს. შენ კი ქუსლს უგესლავდე“. თუმცა რეალურ ცხოვრებაშიც ასეა, მაგრამ ამ სიტყვებს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი აზრობრივი დატვირთვა აქვს. აქ დასახელებული მტრობა გულისხმობს სიკეთესა და ბოროტებას, „დევთისშვილებსა“ და „სიბნელის შვილებს“ შორის მუდმივ ოპოზიციას. მართალი ადამიანები, ამარტებენ რა ბოროტებას, „თავს უშეჭყავვენ“ მას, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ქუსლს უგესლავს, ესე იგი დიდ ზიანს ვერ აყენებს. ზემოაღნიშნული აგრეთვე შეიცავს ნინასრარმეტყ-


ველებას მომავალი მესის იქსო ქრისტეს შესახებ, რომელიც მამაკაცის გარეშე სულინმიდის მოქმედების შედეგად ქალწულ მარიამისაგან განკაცდა.

შემდეგ ისჯება დედაკაცი: „სატანჯველს გაგიმრავლებ და გაგიგრძელებ ორსულობას, ტანჯვით შობ შვილებს. „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ“, თუ ცოდვით დაცემამდე მხოლოდ კურთხევა იყო, ახლა ქალის ტანჯვის წყაროდაც გადაიქცა. ევას ადამზე მალლა უნდოდა დგომა, ამიტომაც ამგვარად დაინტევლა: „ქრისკენ გენება ლტოლვა, ის კი იპატონებს შენზე“. მამაკაცს მთელი ცხოვრება მძიმე შრომა მიუსაჯა. „პიროვლიანი ჭამდე ჟურს, ვიდრე მიწად მიიქცეოდე, რადგან მისგან ხარ აღებული, რადგან მტვერიხარ და მტვრადვე იქცევი“. ყოველივე ამის შემდეგ უწოდა ადამმა პირველ ქალს ევა, „რადგან იგი გახდა ყოველი ცოცხალის დედა“. ევა ებრაულად სიცოცხლის მიმცემს ნიშნავს. დიახ, ევა გახლდათ მთელი კაცობრიობის დედა. ხოლო აღთქმული დედაკაცი – ღვთისმშობელი – მთელი კაცობრიობის სულიერი დედა. თუ პირველი დედა ყველა ცოცხალისა, მეორე დედა ყველა ჭეშმარიტად ცოცხალისა, ესე იგი მართალი ადამიანებისა.

განდევნა ღმერთმა ადამი და ევა ედემის ბალიდან, სიცოცხლის ხის ნაყოფი რომ არ ეჭამათ და ფიზიკურად უკვდავნი არ გამხდარიყვნენ, რათა მისი ძის განკაცებისა და ვნების შემდეგ ქრისტეს მიმდევრებს ედემის ბალის წილ „სასუფეველი ცათა დაემკვიდრათ“ და სიცოცხლის ხისწილ – „ხორცი ქრისტესი მიეღოთ და უკვდავებისა წყაროსა გემო ეხმიათ“. სიცოცხლის ხეში ეკლესის მამები ევქარისტიის წინა სახეს ხედავენ, აგრეთვე ეს უკანასკნელი სიმბოლურად იმ ჯვარს განასახიერებს, რომელზე გაკვრითაც მაცხოვარმა კაცობრიობა ცოდვის მონობიდან გამოისყიდა.

მაშ, რას წარმოადგენდა სინამდვილეში კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე?

„სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია,



მამა კათარი გუბიარი

ქადაგი სოფელი

არ შურს, არ ყოყოჩიობს, არ ამპარტავნობს, არ სჩადის უწესობას, თავისას არ ექებს, არ რისხდება და არ განიზრხავს ბოროტს, არ ხარიბს სიცრუით, არამედ ჭეშმარიტება ახარებს, ყოველივეს იტანს, ყველაფერის სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყოველივეს იომენს“ – ასეთ შეფასებას აძლევს სიყვარულს პავლე მოციქული (|| კორინთელთა, 13:4-7). აღნიშნული ხე კი სწორედ იმ ბარომეტრს წარმოადგენდა, რომლითაც განიზომებოდა ადამიანის სიყვარული ღვთისადმი, უზენაესისადმი უნდობლობამ და პატივმოყვარეობამ ადამიანებში სიყვარული დაკანინა, ღვთის სიყვარულის დაკანინება მათ ურჩობაში გამოვლინდა, ურჩობამ ცოდვას მისცა გზა ფართი და სიკვდილი და ხრწნილება შემოაბრძანა. მართლაც შეიქმნა ადამიანებისათვის აკრძალული ხილი სიკეთისა და ბოროტების შეცნობის წყაროდ, ნახეს პრაქტიკულად, რომ ურჩობა და ღვთისაგან განშორება თურმებოროგება ყოფილა, ღვთის სიყვარული და მორჩილება - ჭეშმარიტი სიკეთე. ამიტომ იწოდება ხე, რომლის ნაყოფის ჭმევამაც კაცობრიობის ისტორიაში ასეთი ფურორი მოახდინა, კეთილისა და ბოროტების შეცნობის ხედ და მის კონკრეტულ ჯიშს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

შეუნანებელი ცოდვის პირმშო იყო კაენი. ცოდვაში გაჩენილმა ცოდვით იცხოვრა და საკუთარი ძმა – მართალი აპელი – მოკლა შურის ნიადაგზე. რაოდენ დიდი იქნებოდა ევას მწუხარება მოკლული შევილის გამო. ისიც საკუთარი ძის მიერ. როგორც ჩანს, მშობლები უნდა ერიდონ ცოდვას, თორემ შვილები უმეტეს შემთხვევაში, გაზვადებული მასშტაბებით იმეორებენ მათ საქციელს.

ბიბლიის თანახმად, 930 წლისა გარდაიცვალა ადამი, ალბათ, ევამაც დაახლოებით ამდენი ხანი იცოცხლა. ასეთა პირველი ქალისა და მამაკაცის ისტორია, რომელსაც მოსე წინასწარმეტყველი გვაუწყებს „დაბადებაში“.

**მოამზადა
ჭეთი მგელაძემ**

გამ, შენ, სოფელო, ქომაგო მიწის,
ქეშენ ვერ გწვდები, ოფლის ნაურით,
სისხლის ფერად, ლიბლიზა ქვევრო,
ჩენ გვიუვარს გზები, ნაწრისფერი და ჩირაღდები,
ამბობს ქალაქი: კრიმანჭული-ც არ გვინდა ჩენ-ო.

არ გვინდა მთებში ჩაზექილი წევის ჭალები,
შიშველი ქუსლით გასრესილი შროშანის ღერო,
ჩანჩერებიდან მოვარდნილი შეფის ჰანგები,
ნაკადულებში მოხასხასე ზირმწვანე მდელო.

არ გვინდა შრომით დაძარღვული მჭიდრო უანები.
გენახის ბოლოს დაზუნდლული კაკლების ჩერო,
მამლის უივილზე დამფრთხალი ძილი, იავნანები,
მუხლჩაუხრელთა შეძახილი, ნაღური, რერო.

ჩენ გვინდა შეება, უუფუნება, მოგვეშვი თერგო,
ხმაური, თრობა, ბოჭემა და კაფე-ბარები,
თუმც ჩენი ქეენის ბედზე ზრუნვის სიმძიმე გვერგო,
არაფრად გაგდებთ, თუ ვის რა აქვს დანაბარები.

ერკეთის მთავარანმელოზთა მიქაელის და მახრივის სახელობის ევლათა მონასტერი



ისტორიული ზემო გურიის სოფელ ერკეთში, მდინარეების გუბაზეულისა და სუფსის თითქმის შუაწელში, შესაძამისად, ორმდინარეთის შუაგულში დგას ბაზილიკის ტიპის ეკლესია, მიქაელ და გაბრიაელ მთავარანგელოზების სახლობაზე ნაკურთხები; გორაკიდან სადაც ბაზილიკა ნამომართულა შესანიშნავი ხედი იძლება – ერთ მხარეს გურია-აჭარის ქედის რბილად მოხაზული ლანდშაფტი, მეორე მხარეს, შორს კავკასიონის მკეთრი, დაძაბული კონტურები და მათ შორის ჩოხატაურის აუკრადებული დაბლობი.

ზემო გურია, სადაც ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს, ისტორიულად და ბუნებრივად-გეოგრაფიულად მოიცავდა ტერიტორიას მდინარეების ბახვისწყალ-სა და რიონს შორის. გურიის ეს ნაწილი მდიდარი კულტურულ-ისტორიული ტრადიციისა და სიძღველეების მქონეა, რომლებიც ჯერაც ელის შესწავლასა და გამომზევებას, რაც ვაფიქრობთ, ხელს შეუწყობს ქართული კულტურის ისტორიის გამდიდრებას. აღსაღნიშნავია, რომ საქართველოში არსებულ ძეველ ქართულ კულტურის კერებს შორის ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიას უმნიშვნელო ადგილი როდი ეჭირა.

სოფელი ერკეთი მდებარეობს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბის ცენტრიდან დაშორებულია 7-8 კმ-ით. სოფელს მოხერხებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები აქვს. სოფელსა და მის შემოგარენში გადიოდა სავაჭრო და პირუტყვის სამომთაბარო გზები. აქედან უკავშირდებოდნენ: აჭარას, სამცხეს, ოდიშს და სხვ.

ერკეთის ტერიტორია სრულიად შედიოდა იმ ისტორიული ნარმონაქმნის შემადგენლობაში, რომელსაც ადრე „ერგე“ ერქვა. ამ ქვეყნის ცენტრი თანამედროვე ერკეთი იყო. არა გამორიცხული, რომ სოფლის სახელწოდება, სწორედ, ტოპონიმ „ერგედან“ მომდინარეობს „ერგეთი-ერკეთი“. „ერგემ“ ათასწლეულებს გაუძლო და გვიანშუა-საუკუნეებამდე იარსება, ვიდრე იგი შერვაშიძეთა სათავადოს გულად იქცეოდა (ი. სიხარულიძე, 2008: 4).

ზემო გურიის (ჩოხატაური) ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან, ყველაზე უკეთ ეს ტაძარია შემონახული. ერკეთის ეკლესიის შესწავლა 1833 წლიდან იწყება, ძეგლი შვეიცარიელმა არქეოლოგმა ფრედერიკ დი უბუა დე მონპერემ მოიხილა. მეცნიერი ეკლესიის კედლებში ძველ და გვიან-დელ სააღმშენებლო ფენებს გამოჰყოფს, მაგრამ სამწუ-

ხაროდ მათ დათარიღებას არ შეხებია. 40 წლის შემდეგ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიას ეწვია გამოჩენილი ქართველი მეცნიერი დიმიტრი ბაქრაძე. ეკლესის მხატვრობაზე საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული პროფ. ოთარ ფირალიშვილს. 1963 წელს ერკეთმა და მისმა ხუროთმოძღვრულმა ანსამბლმა აკად. ნიკო ბერძენიშვილის ყურადღებაც მიიქცია.

1811 წლიდან გურია მოქაცა რუსეთის იმპერიაში. 1840 წელს გურია იმერეთთან გაერთიანდა იმერეთის გუბერნიაში, ხოლო 1846 წელს ახლად შექმნილ ქუთაისის გუბერნიაში.

რუსული მმართველობის მიხედვით გურია ადმინისტრაციულად სამ საპოლიციო უბნად გაიყო: ოზურგეთის, ლანჩჩუთისა და ჩოხატაურის.

ბატონიშვილის გაუქმების შემდეგ შეიქმნა სოფლის საზოგადოებები. XIX საუკუნის 80 წლებში საზოგადოებები გაამსხვილეს. ერკეთის საზოგადოებას აერთიანებდა სოფლების ბუკისციხის, საკუთრივ ერკეთის, ზოტის, იანეულის, ნაბელლავის, ონჭიქედის, საყვავისტყის, ქვაბლის, ჩხაკოურის, ხევის მოსახლეობა.

საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული მასალების მიხედვით არსებობდა (1915 წლის მონაცემებით) გურია-სამეგრელოს ეპარქიის ერკეთის საბლალოჩინოს ეკლესიების კრებული:

სოფელი გორა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

სოფელი ჯვარცხმა მაცხოვის სახელობის ეკლესია.

სოფელი ერკეთი მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია.

სოფელი ზენობანი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

სოფელი ქვენობანი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

სოფელი იანეული წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

სოფელი ინტაბულეთი ლვოთისმშობლის სახელობის ეკლესია.

სოფელი ნაბელლავი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

სოფელი ფარცხმა წმინდა დიმიტრის სახელობის ეკლესია.

სოფელი ხიდისთავი წმინდა გიორგის სხელობის ეკლესია.

სოფელი შუბანი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

სოფელი შუბანი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია.

ჩოხატაურის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის მხარეთ-მცოდნეობის მუხეუმის ფონდში დაცული „მეტრიჩესკი“ წიგნის მიხედვით მღვდელები: ბლობრინი ანდრია გრიგორის ქე მგალობლივილი (ცოლი მისი დესპინე კაციას ასული), ილარიონ ანთიმოზის ქე და სამსონ ნიკოლოზის ქე მგალობლივილები, „პრიჩედნიკი“ ექვთიმე მგალობლიშვილი (1850-1875) წნ. მოიხსენიებიან.





ერკეთის ეკლესია ჯუმათის საეპისკოპოსო კათედრის დაარსებიდან მისი შემავალია. ოსმალთა მოძალების პერიოდში (XV ს) ერკეთშიც პოულობდნენ თავშესაფარს სამცხე-საათაბაგოს და ჭანეთის მკვიდრნი. ლტოლვილმა მესხებმა უმთავრესად მიაშურეს გურიის იმ სოფლებს, სადაც ზარზმის მონასტრის მამულები (შემოქმედი, ერკეთი და სხვა) არსებობდა. გურიაში მათ მოიტანეს წმინდა რელიგიები (ხატები, ჯვრები, წმინდანთა ნაწილები, წიგნები), გადმოცემები, ჩვეულებანი და სააღმშენებლო კულტურული მოღვაწეობა გააგრძელეს (ფ. სიხარულიძე, 1988: 17).

მესხური მოსახლეობის მოსვლას გურიაში უნდა განებირობებინა გზაჯვარედინზე არსებული ერკეთის სალოცავის გაფართოება.

დიმიტრი ბაქრაძე ასე აღნერს ერკეთის ეკლესიას: აგების წესითა და ჩუქურთმებით ნანილობრივ ლიხაურის ეკლესიას ჩამოგავს. სამი კარიბჭე აქვს, შიგნით ნათელი საღებავებითაა მოხატული. აქ გამოსახულია მაცხოვარი თხემზე, ერთი ხელით კურთხევას არიგებს, მეორეში გადამლილი სახარება უცყრია. შემდეგ კამარაზე ამაღლება და სამება. დასავლეთის შესასვლელთან მარცხნივ დედა ლვთისა კალთაში ყმით (დ. ბაქრაძე, 1987: 181).

დიმიტრი ბაქრაძე ლიხაურის ეკლესის აშენების თარიღს გადმოგცემს: 1352 წელს აშენდა ლიხაურის ეკლესია, ხოლო გიორგი გურიელისა და მისი მეუღლის ელენეს დროს 1422 წელს აიგო ლიხაურის, ანუ რეხეულის სამრეკლო (დ. ბაქრაძე, 1987: 102).

ეკლესია-მონასტრებში აქტიურად მოღვაწეობდნენ კალიგრაფები. აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა ხელნაწერთა გადაწერა-გამრავლებისა თუ ახლის შექმნის პროცესი. იქმნებოდა ასევე პრაქტიკული დანიშნულების სასულიერო ლიტერატურა, რომელიც აუცილებელი იყო ლვთისმსახურების დროს. ამ მხრივ აღსანიშნავა არიგონალური ქართული კომპოზიცია – გულანი, რომელიც ლიტურგიკული პრაქტიკის ნაყოფია. გულანში თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები. ყველა გულანი ერთნაირი შემადგენლობის არ არის. არსებობს შემოკლებული რედაქციაც, რომელსაც „შამგულანი“ ეწოდება და შეიცავს „შამნა“ და მოკლე სვინაქსარულ ცნობებს. გულანი დიდი ზომის გახლავთ, ამიტომ მისი გადაწერა საკმაოდ ძვირი ჯდებოდა. ყველა ეკლესია-მონასტერს არ ჰქონდა საშუალება გულანი შეეძინა, იგი მხოლოდ მდიდარი ეკლესიების კუთვნილება გახლდათ. გურიიდან შემოგვრჩა ციხის, ერკეთისა და შემოქმედის გულანები. ასევე გიორგი II გურიელისა და გიორგი III და მამა III გურიელების დაკვეთით შესრულებული გულანები. გურიაში არსებულა ჯუმათის გულანიც,

რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია.

ერკეთის გულანი აფხაზთა კათალიკოსის ექვთიმე საყვარელიძის (1578-1616) ბრძანებით გადაუწერიათ. კათოლიკოს ექვთიმეს აღნიშნული გულანი ცაიშის საყდრისათვის შეუნირავს. ამ დროს ცაიშის ეპისკოპოსი მაქსიმე (1605-1612) ყოფილა. ექვთიმესა და მაქსიმეს ზეობის წლებით შეგვიძლია განვახაზღვროთ ერკეთის გულანის გადაწერის თარიღი და იგი XVII საუკუნისა დასაწყისს მივაკუთხოთ (თ. ქართველიშვილი, 2006: 42).

დიმიტრი ბაქრაძის ყურადღება მიიპყრო ერკეთის გულანმა და მკვლევარი ციხისა და შემოქმედის გულანთა დედნად მიიჩნევდა. ყველა დღისა და დღესასწაულისათვის დადგენილი საეკლესიო საკითხთავებისა და ლოცვების კრებულის შესახებ აღნიშნავს: მინაწერები შესრულებულია ნუსხასუცურით და განმეორებათა ჩაუთვლელად, შემდეგს შეიცავს: „დიდება ლმერთსა, სრულმყოფელსა ყოვლის კეთილისა! სრულ იქმნა წმინდა ესე გულანი ბრძანებითა დიდისა აფხაზეთისა კათოლიკოზისა პატრონისა ექვთიმე საყვარელიძისა, აკურთხნეს ლმერთმან ორთავე შინა ცხოვრებათა, ამინ.“

ერკეთის გულანის მინაწერში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გვერცენება მისი ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ელენესა და მის ვაჟ მანუჩარზე. სადაც არ არის, რომ ელენე ქართლის მეფის სვიმონ I ასულია, რომელიც ცოლად გაჰყვა ათაბაგ მანუჩარ II, დიდი ქართული ქორონიკონის ჩვენებით 1582 წელს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ერთი უთარილო სიგელი, ანუ ვალდებულება, რომელიც ელენემ და მისმა ძემ მანუჩარ ათაბაგმა მისცეს ელენეს დედასა და სვიმონის მეუღლეს ნესტან-დარეჯანს. ჩვენს მინაწერში ელენე შეშფოთების გრძნობასა და გულის ამაჩუცებელ სინაზეს იჩენს თავის მცირენლოვანი ვაჟის მანუჩარისადმი. იგი ეხვენება ცაიშის ლვთისმშობელს გაუზარდოს და დაიფაროს იგი; ყველაფერი ეს საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მანუჩარი ელენეს ერთადერთი ვაჟი უკვე ობილია და ამასთან ერთად, დედა-შვილს მტრებისგან საფრთხე ემუქრებოდათ. მატიანიდან ვიცით, რომ მანუჩარ II ჰყავდა ერთი ძე – მანუჩარ III და ერთი ქალი თინათინი, რომელიც 1597 წელს ცოლად გაჰყვა იმერეთის მეფე როსტომს. აღსანიშნავია, რომ მანუჩარ III გაათაბაგებული 1614 წ. 1625 წელს 42 თუ 43 წლის ასაკში მოანამლინა ლვიძლმა ბიძამ – ბექა III, რომელიც საათაბაგოს პირველი მუსლიმანი მმართველი გახდა საფარ-ფაშას სახელით. (დ. ბაქრაძე, 1987: 188).

ფ. სიხარულიძე გარდა გულანისა მნიშვნელოვან ძეგლად მიიჩნევს XI საუკუნის სვინაქსარს, რომლის მრავალ-





რიცხოვანი მინაწერებიც ჩვენი წარსულის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა.

სვინაქსარული პაგიოგრაფიული ძეგლები ქართულ საეკლესიო მწერლობაში XI საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩნდება. გიორგი მთაწმინდელის ნათარგმნ კრებულში მსოფლიო (პალესტინელთა, სომეხთა, ბერძენთა) წმინდანთა ცხოვრებანია აღწერილი.

გადამწერი მორიდებია ქართველ წმინდანთა ძირითად ტექსტში შეყვანას, რადგან ეს აკრძალული იყო მთარგმნელის ანდერძით. ამიტომ ჩვენი ეროვნული წმინდანების (ქართველთა განმანათლებელ ნინოს, თამარ დედოფლისა სხვ.) აღნიშნული ძეგლის აშევებული ტექსტის ხელით, მოგვიანებით, მასში სხვადასხვა დროსა და ადგილას ჩატარებით მოსახხენიებლები მრავალ ქართულ (მესხურ, გურულ და სხვ.) საგვარეულოს წარმომადგენლებზე.

სვინაქსარის ერთ მინაწერში (შესრულებულია ნუსხახუცურით) ერკეთის ტაძრის დეკანოზი და მისი ოჯახიც იხსენიება: „სულსა ერკეთის დეკანოზსა გიორგი გოგელიას შეუნდეს ღმერთმან! მეუღლესა მათსა ვადისვარსა შეუნდეს ღმერთმან. მათსა შეიღლა გიორგი გოგელიას შეუნდეს ღმერთმან! მეუღლეს მათსა გულქანს, შეუნდეს ღმერთმან“. სამწერაოდ, ჩანაწერს თარილი არ ახლავს. 190-ე ფურცელზე მინაწერი (ასევე ნუსხურით) ეძღვნება ბერიძებს. მასში მოხსენიებული არიან: რამინი და მისი მეუღლე მნათობი შვილებით, იმავე ჩანაწერებში ნათესაობის მიუთითებლად დასახელებულია „ბერის ექ ბეჟანი“ იქვე მოხსენიებული უნდა ყოფილიყო კიდევ სხვა პირიც, მაგრამ ნაწერი გადასულია. (ფ. სიხარულიძე, 1988: 18).

XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ერკეთის მონასტერს (მთავარანგელოზის ტაძარს) გურიილის ნებით დაეპატრონენ აფხაზეთიდან მოსული შერვაშიძეები. 1721 წელს ქაიხოსრო ბაგრატის ძე შერვაშიძემ ვერცხლით შეამკო მთავარანგელოზთა ხატი (ან უკვე თავის სამარს მონასტერში) (ფ. სიხარულიძე, 1988: 20)

1751 წელს ხრესილის ოში იმერეთის მეფესთან ერთად იბრძოდა გურიის ლაშქარიც. გურიის ერისთავმა ამ ოში თავი გამოიჩინა ბრძოლის შემდეგ სოლომონ პირველმა მეგობრობა გააძლიერა ზაალ გიორგის ძე ერისთავთან, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ სოლომონ პირველის შუამდგომლობით მამია IV-საგან სამფლობელოდ დაიმტკიცა: „...უცვალებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ ჩვენ პატრონმან, ბატონმა მამიამ და თანამეცხედრემ ჩვენმან, მეფის ასულმან დედოფლმან, ბატონმან როდამ. შენ ჩვენს ყმას ერისთავს ზაალს და შენთა შვილთა და მომავალთა, ასე რომ მეფე სოლომონმა მოინდომა და შუა შემოვდა ამ საქმეში თავდადებით, ძალიან ერთგულიც“.

იყავ ჩვენი, ქრთამიც სრული მოგვართვი, ჩვენ წყალობა გიყავით და გიბოძეთ ერკეთი და მისი შემავალი მთლიანად ოქროსქედი, ვანის ქედი და რაც საწინამძღვრო და ეკლესია რამ იყოს, არ მოგიშალოს“ (ე. თაყაიშვილი, 1909: 519).

ისტორიული წყაროებიდან ჩანს, საერო მოლვანეობასთან ერთად შერვაშიძეები საეკლესიო სარბიელზეც წარმატებით მოლვანეობენ. ერისთავი შერვაშიძეები ენერგიულად ესწრაფოდნენ გურიაში შეძენილი საგვარეულო მამულების გაზრდას.

დაკანონების შემდეგ ზაალ ერისთავმა და მისმა ძმებმა მოაწესრიგეს ბოძებული ტერიტორიების კონტროლი, მათ შორის მთავარანგელოზის ტყესთან მცხოვრებ ყმებთან (მგალობლიშვილები, თოდრიები, ანთიძეები, უჯმაჯურიძეები და სხვ...) განსაზღვრეს ურთიერთობა.

გიორგი ერისთავმა გამოაცხადა ერკეთის მთავარანგელოზთა ტაძარი აღმოსავლეთ გურიის ერისთავთა საძვალედ.

ერკეთის ეკლესიაში არის ორი საფლავის ქვა: ერთი, როგორც მისი ეპიტაფია იუწყება, სამეგრელოს მთავრის ასულისა და გურიის ერისთავს გიორგის მეუღლის ნეშტზე, რომელმაც პატივით და დიდებით იცოცხელა 65 წელიწადს და სამსახური გაუწია რუსთა ლაშქარს. არც მისი, არც მამამისის სახელი, გარდაცვალების წელიც კი არ არის აღნიშნული; მაგრამ მისი ერთი ვაჟის სიტყვით, ეს არის მარიკა, ანუ მარიამი, სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავითის პაპის გრიგოლ დადიანის ასული და მდივანბეგ გიორგი ერისთავის ცოლი; მეორე ქვა დევს საფლავზე სახელოვანი თავადის ქაიხოსრო მიქელაძის ასულისა და თავად ივლიანე ერისთავის მეუღლისა ელისაბედისა, რომელიც გარდაცვალა 1861 წ. 24 ოქტომბერს (დ. ბაქრაძე, 1987: 183).

სამეგრელოს მთავრის ასული მარიამი გახლდათ ქართლკახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილიშვილი, მარიამ გრიგოლის ასული დადიანი. სწორედ, ქალბატონ-



მა მართამშა უმასპინძლა ფრედრიკ დიუბუა დე-მონპერეის ერკეთში. სტუმარს ქალბატონი ფაკუნდა მარი მეგზურობდა (ფაკუნდა იყო იაკობ მარის მეულლე, რომლებიც ცხოვრობდნენ სოფელ დაბლაციხეში).

გურიის ერისთავთა (შერვაშიძეთა) მფარველობა და თუ შეიძლება ითქვას ზედამხედველობა ჩანს თ. ქართველიშვილის მიერ მოპოვებული მასალებიდანაც: ჯუმათის ეპისკოპოსობა XVII-XVIII საუკუნეებში, ფაქტობრივად, შერვაშიძეთა საგვარეულომ დაიმკიდრა. ასევე მათ სამკვიდრო სახელოს ნარმოადგენდა ერკეთის მონასტრის ნინამდლვრობა. ერკეთის ნინამდლვარი მაქსიმე შარვაშიძე XVIII საუკუნის 50-იან წლებში ჯუმათის მიტროპოლიტი გახდა (1, 186). მღვდელმთავრად კურთხევის შემდეგ იგი კვლავ დიდ მზრუნველობას იჩენდა ერკეთის მიმართ. მისი ბრძანებით აუგიათ მონასტრის კანკელი და მოუხატავთ საკურთხეველი. იგი გამოსახულია ეპისკოპოსის სამოსლითა და მიტრით ეკლესიის მარჯვენა კედელზე, სათანადო წარწერით (1, 182). როგორც ჩანს სარქესტავრაციო კანკელიც არ არსებობდა, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ შეწყვეტილი იყო ღვთისმსახურებაც. ფრიად საგულისხმოა გიორგი შერვაშიძისა და მისი მეუღლის რაჭის ერისთავის ხვარაშინის სიგელი ერკეთის მონასტრისადმი, სადაც აღნიშნულია, რომ „ეს მონასტრი, რომელსაც გურულები ძველთაგან ამკობდნენ, მძიმე უამთა ვითარებისა და ჩვენი ქვეყნის გაუკაცრიელების გამო უგლეხოდ დარჩა. იმ დროს ჩემი ძმა ჯუმათელი მაქსიმე ორ წელიწადს ქართლში იყო, რომ დაბრუნდა და ჩვენი დაქვეითება შეიტყო, მომელაპარაკა და ჩვენ, როგორც შევძლით მოვიკრიბეთ ჩვენი გლეხები და თქვენვე დაგიმტკიცეთ“ (1, 260). გურიის სამთავროში, ისევე როგორც მთელ დასავლეუ საქართველოში, მოცემულ პერიოდში, მონასტრების ნაწილი გაუქმდებული იყო. (თ. ქართველიშვილი, 2006: 110).

ერკეთის ეკლესიის შესწავლაში საყურადღებოა ეპიგრაფიული ძეგლები, სადაც საპატიო ადგილი უჭირავს კანკელის ასომთავრულ წარწერას, რომელსაც და ბაქრაძე გადმოგვცემს „ნებითა და შეწევნით ღმერთისაზ ჩვენ ბერიძემან ბეჟან ბრძანებითა ბატონის ჯუმათელის მაქსიმესთაი აღვაშენეთ კანკელი ესე და დავახატვინეთ წმინდა საკურთხეველი სალარო ცოდვისა სულისა ჩვენისათა და მშობელთა ჩვენთა იგავიმ და ქრისტინესათა (მთავარანგელოზნო) მფარველ გვყავ თოთავ ცხოვრებასა შინა“. წარწერას თარიღი არ ახლავს.

დ. ბაქრაძემ ერკეთის ეკლესიაში ნახა შემდეგი ხატები წარწერებით:

1) მაცხოვრის მომცრო ხატი.

2) მთავარანგელოზთა ხატი ვერცხლის მოჭედილობით და ზედნერილობით: „მოვაჭედინე ხატი ესე მთავარანგელოზთა ჩვენ შერვაშიძემან ქახოსრო; ძემან ერისთავის ბაგრატისა-მან და დავასვენეთ სამარხოსა ჩვენსა მონასტრის ერკეთისას“. (409-1721).

3) წმინდა გიორგის ხატი წარწერით: „წმინდა გიორგის ხატი შემოვგწირა თავპანტის ეკლესი(ა)სა გაბრიელ კალანდაძემან“. სოფელი თავპანტა გუბაზეულის ხეობაშია. სოფელ ხევის ზემოთ. იგი ხშირი თავდასხმების გამო მიატოვეს და ახლა ისევ შენდებაო – წერდა ბაქრაძე. (დ. ბაქრაძე, 1987: 183).

პროფესორი ი. სიხარულიძე გადმოგვცემს ინფორმაციას, რომელიც გაზეთ ცნობის ფურცელში ამოუკითხავს, რომ 1898 წლის 11 იანვარს ბლალოჩინმა ს. მგალობლიშვილმა მთავარანგელოზთა საყდარში გადაიხადა ერეულე ॥ პანაშვილი და იქადაგა მეფის ღვანლზე (1898 წ. 24. XII. №712).



სამკურთხევლი ზედამხედველობის შემდეგ გახდა

საბედნიეროდ გადამხედველობა შემდეგ გახდა. 1989 წელს ერკეთის საეკლესიო ცხოვრება განახლდა. 1989 წელიდან, რადგან ეკლესიის მოილოცა და პარაკლისი გადახადა უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II. 1989 წლიდან, რადგან ეკლესიის ოდიკი ნაკურთხი არ იყო, ნირვა-ლოცვის ჩატარება შეუძლებელი იყო და ეკლესიაში მღვდლად ხელდასმული მამა გიორგი ამბროლაძის (ქუთაისი) საქმიანობა მხოლოდ წესრიგებათა აღსრულებით შემოიფარგლა.

1993 წელს ერკეთის ბათუმ-შემოქმედელმა ეპისკოპოსმა იობამა (აქაიშვილი), ამჟამად რუს-ურბისის მიტროპოლიტი, მღვდლად დაადგინა ახლადნაკურთხი მამა გიორგი ჯიბუტი, რომელიც ამავე დროს გურიის უდაბნოს იოანე ნათლის მცემლის ეკლესიაშიც განაწესა.

კომუნისტური რეჟიმის მკაცრი პირობების შემდეგ 1993 წლის 17 სექტემბერს პირველი წირვა აღავლინა მამა ანდრიამ (კბილაშვილმა, ჯიხეთის დედათა მონასტრის წინამდღვარმა).

1993 წლის 21 ნოემბერს ტაძრის დღესასწაული პირველად იზეიმეს, ხოლო 1995 წლიდან საქართველოს ეკლესიის კალენდარში აღნიშნული რიცხვი ერკეთის მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის დღესასწაულად მიიჩნევა.

2006 წლის 19 სექტემბერს გურიის მიტროპოლიტ მეუფე იოსების (კიკაძე) ლოცვა-კურთხევით ერკეთში დაიწყო სამონასტრო ცხოვრება. დღეისათვის წინამდღვარია ილუმენია მარიამი, არის 10 მონაზონი და 2 სამონაზენე.

სიძველეთაგან შემორჩენილია და ჩვენამდე მოაღწია 1. წიგნმა, ერკეთის უძველესი ტრაპეზის სახარება. (სოფელ ერკეთის მკვიდრმა ალმოღებული წიგნი ჩუმად ცეცხლიდან გამოიღო, უცებ წყალში ჩადო და სახლში დამაღალი. შვილიშვილს სთხოვა, ტაძარში, როცა წირვა-ლოცვა აღსდგებოდა იქ აეტანა, დღეს წიგნი შესაფერის ყდაშია ჩასმული, მაგრამ მზაკვარი ხელის კვალი მაინც ატყვია).

2. ვაზის კარები, რომელიც ტაძრის მთავარი შესასვლელი კარები იყო.

3. მთავარანგელოზთა მიქაელის კანკელის ხატი, ძლიერ დაზიანებული იყო და მოხდა მისი აღდგენა.

ამჟამად, ერკეთის მთავარანგელოზების გაბრიელისა და მიქაელის სახელობის დედათა მონასტრში ჩვეულერები მიმდინარეობს სამონასტრო ცხოვრება, ტარდება წირვა-ლოცვები, ჰყავს უამრავი მომლოცველი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

6. ბერძენიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის დირექტორი ნათია კალანდაძემ

გეგმა ეთნიკური მიგრაციაზე თავის გამოხრიცვალებას

ადამიანების აბსოლიტური უმრავლესობა წარმატებამდე რამდენიმე ნაბიჯით ადრე ყრის ფარ-ხმალს. ისინი საკუთარ გზას იმ დროს ასრულებენ როცა წარმატებამდე მცირე დრო რჩება. მე ბოლომდე უნდა მივყვე ამ გზას, რაღაც შეჩერება და უკან დახევა არ მჩვევია.

სიახლეების არასტროს მეშინოდა, ჩოხატაურიდან არსად წავსულვარ და ჩემს აქ ყოფნას არავის ვაყველი. ჩემი ცხოვრების ისტორია ამ ქუჩებში, ამ სკოლაში, ამ ბენიბებში, ჩოხატაურთან ერთად დაიწერა, ისევე როგორც ყველა თქვენთაგანის.

ჩოხატაური გურული ოდა-სახლის რიყულებიანი აივანივითაა, საიდანაც სამყაროს ვხელავთ. მსურს, სამყარო მარტივად, მშვიდად და უშვილოთველად აღვიქვათ.

ყველაზე მეტი დრო მაქვს ჩოხატაურისათვის, რაღაც აქ ჩემი ოჯახია. თითოეული ჩოხატაურელის გვერდით ვიდექი და ასე გაგრძელდება მომავალშიც. ამაყი ვარ, რომ არასტროს მბეზრდება ჩემი რაიონის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

ჩემ კარიერაში ყველაზე დიდი მიღწევა - მიღწეულით დაუკავშირებლობაა, შემდეგ, ალბათ, პროფესიული ზრდა და აღიარება, როგორც კანგი სპეციალისტის. რისი კრიტერიუმებია - შესრულებული სამუშაო, განხორციელებული პროექტები, რაიონის კეთილდღეობისთვის დამკავილებული ბევრი სიახლე. მომწონს მიღწევების ესკალაცია, რაც განვითარების ნიშანია და ეს საზოგადოების თანმდევი „სენი“ გახდება.

გუთანის დამოუკიდებელი ქანიერატის ერა ჩიმოგიძის მიმართვა

**ძეირი სოფელი ხასეთან
ენთაღ! არჩევანი თავიდან!**

საქართველოში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ვითარება გვაფიქრებინებს, რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება.

ჩვენი ქვეყანა გადამწყვეტი არჩევანისათვის ემზადება. ცხადია, ამ არჩევანზე არსებითად იქნება დამოკიდებული ვინ იქნება სოფლის რჩეული დეპუტატი. ის უნდა გამოირჩეოდეს პროფესიონალიზმით, ცოდნით, პრინციპულობით, ერთგულებით, რეპუტაციით, სოფლის სიყვარულით, რომელსაც ყველას თანაბრად გაუნანილებს.

ლია ჩიმოგიძის საარჩევნო პროგრამა ასეთია:

1. სოფლის რწმუნებულის შერჩევა მოსახლეობის მიერ.
2. სოციალურად შეჭირვებული ოჯახების მაქსიმალურად დახმარება, ისინი სარეიტინგო ქულათა ბაზაში რომ მოხვდნენ.
3. სოფლის მხარდამჭერი პროექტების თანაბრად განაწილება და არა მხოლოდ ერთ პიროვნებაზე მისი გადაცემა.
4. სოფელში შიდა გზების რეაბილიტაცია.
5. შუამავლობა გაზგამანაწილებელ კომპანიასთან, რომ დროულად დასრულდეს ყველა ოჯახში ბუნებრივი აირის შეყვანა.
6. სოფელში აშენდება ახალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სკოლა.
7. სოფელს ექნება ბიბლიოთეკა.
8. სოფელს ექნება ბაგა-ბაღი.
9. სოფლის ცენტრში იქნება მაღაზია, სოფელს საჭიროა ჰესი მკერავი, მენაღე, სტილისტი, ვეტერინარი.
10. დაიდგმება ურნები, ნარჩენები სოფლიდან დროულად რომ გაიტანონ.
11. სოფელს ექნება სარიტუალო სახლი.

კარგად ვაცნობიერებ იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელსაც ვიღებ თქვენს წინაშე. მჯერა, ჩვენ ერთად გავიმარჯვებთ.

პატივისცემით ლია ჩიმოგიძე



„როგორ გამოყალიბდი ჯგუფის ჩამოყალიბების იდეა?“



– როგორ გამოყალიბდი ჯგუფის ჩამოყალიბების იდეა?

– მე და ჩემი ორი მეგობარი სოფ. ლიხაურის ჯგუფში ვმღეროდით, რომელსაც კარლო ურუშაძე ხელმძღვანელობდა. ბიჭებს გაგვიჩნდა იდეა ახალგაზრდული ჯგუფის ჩამოყალიბების, თავიდან დავიწყეთ სამამა. თანაც სიმღერები უკვე გვქონდა დაწერილი, ვითხოვთ გიტარა და ტამტამი. ძირითადად ჩემთან სახლში, მეგობრებთან, ან ქუჩაში ვიკრიბებოდით.

– ჯგუფის სახელწოდება როგორ შეარჩიეთ?

– სახელწოდებაზე ბევრს ყვიქრობდით, აღმოჩნდა, რომ ჯგუფის ყველა წევრს განსაკუთრებით გვიყვარდა გალაქტიონ ტაპიძის პოეზია და მისი ერთ-ერთი ლექსიდან ავიღეთ სახელი და ანსამბლს „ლურჯი იალქანი“ დავარქვით.

– ვინ აფინანსებს დღეს თქვენს ჯგუფს?

– ახალი ჩამოყალიბებულები ვიყავით, ინსტრუმენტებიდან მხოლოდ გიტარა, ტამტამი და ფანდური გვქონდა. შემთხვევით მოვხვდით სოფ. ლიხაურში რესტორანში, სადაც მეგობრის დაბადების დღეს ავღნიშნავდით და ჩემს სიმღერებს ვასრულებდით. იმ დროისთვის ჯგუფში უკვე ხუთი ვიყავით. მოგვისმინა მაშინდელმა გუბერნატორმა ვალერი ჩიტაიშვილმა, რომელსაც ძალიან მოვერნეთ. გვთხოვა მეორე დღეს მასთან მივსულიყავთ. მისი დახმარებით

ოზურგეთში ახალგაზრდული ჯგუფი „ლურჯი იალქანი“ 2010 წელს შეიქმნა, ჯგუფის წევრებმა მოღვაწეობა ნათხოვარი ინსტრუმენტებით დაიწყეს. თუმცა საკუთარი ინსტრუმენტების არ ქონის გამო მალე დაშლა გადაწყვიტეს. რა გზა განვლო და როგორ მოვიდა ჯგუფი დღემდე, „ლურჯი იალქანის“ ხელმძღვანელს და სოლისტს გოგა გორდელაძეს გავესაუბრეთ.

მიგვიღეს ოზურგეთის კულტურის ცენტრში, ხელფასები დაგვინიშნეს და სარეპეტიციო ოთახი გამოგვიყვეს. დღეს უკვე ჩვენი ანსამბლი კულტურის ცენტრთან არსებულია და გვაფინანსებს ადგილობრივი გამგეობა. ყველანაირი განეული სამსახურისთვის გვინდა მადლობას გადავუხადოთ ოზურგეთის კულტურის ცენტრს და მის დირექტორს კობა ბანძელაძეს.

– ვიცი, დაშლას აპირებდით, რა ფაქტორმა განაპირობა ჯგუფის შენარჩუნება?

– სანამ ჯგუფი დაფინანსებას მიიღებდა ძალიან გავიჰირდა. ნათხოვარი ინსტრუმენტებიც აღარ გვქონდა. ჩემი საქმიანობის პერსპექტივას ვერ ვხედავდით. თითქმის დაშლილები ვიყავით, აღარ გვქონდა რეპეტიციები. გამიჩნდა იდეა სარეკლამო სიმღერა დამეწერა და გამეგზავნა კომპანია

მოვენონება და გვირჩიეს კონკურსში მონაწილეობის მიღება. კონკურსში ისე მივიღეთ მონაწილეობა, მიკროფონთან ნამღერი არ გვქონდა და ცოტა შევშინდით.

– „ნიჭიერის“ შემდეგ თუ გაქვთ ახა-



ლი შემოთავაზებები?

– „ნიჭიერის“ შემდეგ სატელევიზიო გადაცემებში „იღბლიან ბორბალსა“ და „შუა დღეში“ მიგვიწვიეს. დაგვირეა ნუგზარ კვაშალმა, ძველი „ივერია“ ტურნეს ჩატარებას აპირებს მთელი საქართველოს მასშტაბით და შემოგვთავაზა კონცერტებში მონაწილეობა. მიმდინარეობს მოლაპარაკება და აღბათ ზაფხულში ჩავერთვებით ტურნეში. ტურნე საქველმოქმედო იქნება.

– ჯგუფმ სიმღერებს ვინ წერს?

– ძირითადად სიმღერის ტექსტებს მე ვწერ. ჯგუფში ამ დროისთვის 9 წევრი ვართ. სულ ახლახანს ჩავწერეთ პატრიოტული სიმღერა „ადილო“, რომელიც უკვე ტრიალებს რადიო „არ დაიდარდოში“ და საკმაოდ მოთხოვნადია. რაც ჩვენთვის ძალიან სასიამოვნოა.

– რ სიახლეს პირდებით მსმენელს უახლოეს პერიოდში?

– „ნიჭიერში“ გავხდით რადიო „არ დაიდარდოს“ რჩეული, რომელიც აფინანსებს ჩემი აღბომის ჩაწერას. აღბომის ჩაწერა ხდება სტუდია „ფორტუნა რეკორდში“. ექვსი სიმღერა უკვე ჩავწერეთ და მეშვიდე სიმღერის ჩაწერაზე ვმუშაობთ. აღბომში სულ 11 სიმღერა შევა.

გოგა, წარმატებებს გისურვებთ. ქეთი მგელაძე



„ბარამბოს“ პიარ-მენეჯერისთვის. მცდელობამ გაამართლა, ძალიან მოეწონათ და შემოგვთავაზეს გარკვეული თანხის სანაცვლოდ ეყიდათ ეს სიმღერა. სიმღერაში 2000 აშშ დოლარი

გადაგვიხადეს, ამ თანხით შევიძინეთ ინსტრუმენტები და გავაგრძელეთ რეპეტიციები. სწორედ, ამ ფაქტმა განაპირობა ჩემი ჯგუფის არსებობა.

– როგორ მოხვდით „ნიჭიერში“?

– „ნიჭიერის“ შესარჩევი ტურნირი ოზურგეთში გავაიარეთ,



ცოცხად გამოკიდებას თანამდებობის ტაცვიზი, პიროვნეულობის და ისტორიული ვაჟის მაცვისი

უურნალ „გურია REGION“-ის სტუმარია თბილისის ნო-დარ დუმბაძის სახელმძღვანელოს სახელმწიფო პროფესიული თე-ატრის სამსატერინ ხელმძღვანელი დიმიტრი ხეთისიაშვილი

- ბატონობ დიმიტრი, მოზარდ მაყურებელთა თეატრის სპექტაკლებს გურიაში, რომელიც ნოდარ დუმბაძის 85 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გაიმართა, მაყურებლის აღფრთვანება მოჰყვა. სასიხარულოა, რომ დიდი ისტორიის მქონე თეატრი, სწორედ ჩვენი სასიქადულო მწერლის ნოდარ დუმბაძის სახელს ატარებს. მოხარული ვიქენებით, თუ ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურად საინტერესო სპექტაკლებით გაახარებთ გურულებს.

- მოზარდ მაყურებელთა თეატრი არ არის მხოლოდ თბილისის მოზარდებისთვის. ჩვენ

მაქსიმალურად ვცდილობთ თეატრის რეპერტუარი ვაჩვენოთ საქართველოს ყველა რეგიონის მაყურებელს. გურიაში ჩვენი ჩამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, ჩვენ აღვნიშნეთ ნოდარ დუმბაძის 85 და მოზარდ მაყურებელთა თეატრის 85 წლისთავი და ნარმოვადგინეთ სპექტაკლი „კუკარაჩა.“ სამწუხაროდ, ჩოხატაურში არ არის ისეთი სცენური სივრცე, რომ ეს სპექტაკლი დეკორაციული თვალსაზრისით გამართულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მოვახერხეთ სრულად გვეჩვენებია სპექტაკლი. ადრე ვარ ჩოხატაურში ნამყოფი, სადაც გივი ბერიევაშვილის საიუბილეო საღამო გამართეს. არაჩვეულებრივი კულტურის სახლის შენობა ჰქონდა ჩოხატაურს, დასანანია რომ ხანძრის შემდეგ ამდენი ხნის მანძილზე ვერ მოხერხდა კულტურის

სახლის აშენება. სხვანაირად არ შეიძლება, როცა რაიონში არის პოტენციალი, რომ მაყურებელს აინტერესებს და უყვარს თეატრი, არიან ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდები, რომლებსაც შემოქმედებითი სივრცე სჭირდებათ, სადაც მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა სპექტაკლებსა და ღონისძიებებში, გამოავლინონ თავიანთ ნიჭის. იმდენა, ადგილობრივი ხელისუფლების ნარმომადგენლები მნიშვნელოვან ყურადღებას დაუთმობენ ამ საკითხს და ჩოხატაურელების ოცნება, ჰქონდეთ კულტურის სახლის შენობა ასრულდება... ჩვენი თეატრი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეს ეწვია, სადაც ჩავდიოდით ყველავან დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გვხვდებოდნენ. ზოგიერთ ქალაქში იმდენად ბევრი მაყურებელი გვყავდა, რომ დღეში ორჯერ გვქონდა სპექტაკლი. რაც ნიშნავს, რომ ბავშვებს სჭირდებათ ის სულიერი საზრდო, რასაც თეატრი ჰქვია. ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა, კვლავ გავაგრძელებთ მუშაობას. გასულ წელს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ჩვენი სპექტაკლები რეგიონებში გავიტანეთ და იმედი მაქვს კვლავ მათი თანადგომით გაგრძელდება ასეთი სახის პროექტების განხორციელება.

- დღეს მოზარდების უმეტესობა ინტერნეტთან ძალიან დიდი დროს ატარებს, მიუხედავად ამისა თეატრისადმი მათი

ინტერესი არ განელებულა.

- თეატრი საუკუნეების მანძილზე დარჩა უცვლელად. ცოცხალ შემოქმედებასთან ურთიერთობას, ვერც ტელევიზია, ვერც კინო და ინტერნეტი ვერ შეცვლის. თეატრს სხვა მაგიური ძალა აქვს და ამიტომ გაუძლო ძლიერ კონკურენციას და თავი გადაირჩინა. ჩვენ, გარდა იმისა, რომ მოზარდებს უნდა შევაყვაროთ ლიტერატურა, მხატვრობა, მუსიკა, ქორეოგრაფია, ყველა ის დარგები, რომელთა სინთეზი ხდება სპექტაკლში, ჩვენი ვალია დიდ თეატრებს გავუზარდოთ განათლებული მაყურებელი. რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

- როგორ ხდება მოზარდ მაყურებელთა თეატრში რეპერტუარის შერჩევა?

- ჩვენ რეპერტუარის შერჩევისას, რა თქმა უნდა, პირველ რიგში ვითვალისწინებთ მოზარდების სურვილებს, რა ხასიათის სპექტაკლების ნახვას ისურვებენ ისინი სცენაზე. თეატრი ხომ რეპერტუარიდან იწყება, ამიტომ ამ საკითხს დიდი სერიოზულობით ვეკიდებით. „ნაცარქექია,“ „ფიფქია და შვილი ჯუჯა,“ „იავნანამ რა ჰემბა“ და სხვები სწორედ მოზარდების მოთხოვნით შეიქმნა. ამჟამად ჩვენი თეატრის რეპერტუარშია: ვაჟა-ფშაველას, დავით კლდიაშვილის, გურამ დოჩანაშვილის, უილიამ შექსპირის, ლაშა ბულაძის, ალექსანდრე დიუმას ნანარმოები. ჩვენი თეატრის რეპერტუარშია: თემურ ჩხეიძე, მედეა კუჭუხიძე, ლევან წულაძე, გიზე ქართველი ქანთარია და სხვები.

- კუჭუხიძე, ლევან წულაძე, გიზე ქორდანია, დათო დოიაშვილი, გიორგი ქანთარია და სხვები.

- თევენ ერთი ნელია ხელძღვანელობთ მოზარდ მაყურებელთ თეატრს და ამ მცირე დროში 25 ახალი ნარმოდგენა უჩვენეთ მაყურებელს, როგორ მოახერხეთ ეს?

- ჩვენს თეატრში შეიძლება ითქვას 24 საათიანი სამუშაო გრაფიკია. ბედნიერი ვარ, რომ საქმისადმი ასეთი თავდადებული ადამიანების გვერდით ვმუშაობ და ძალიან დიდი მადლობა მინდა მოვახენო როგორც შემოქმედებით, ასევე ტექნიკურ ბერსონალს, მართლაც, ნარმატებული წელი გვეკონდა. ჩვენი თეატრის ნარმატება უპირველს ყოვლისა მათი დამსახურებაა. ასეთ გრაფიკს სცენისადმი დიდი სიყვარულით თუ გაუძლებ.

- თევენ 4 წელი მუშაობით ზუგდიდის სახელმწიფო თეატრში და საერთოდ კარგად იცით რეგიონული თეატრების პრობლემები, როგორ გესახებათ მათი განვითარების გზები?

- რეგიონალურ თეატრებს მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს. ზუგდიდის თეატრში დღეს ძალიან მძიმე ვითარებაა. შენობის ავარიული მდგომარეობის გამო შეფერხებულია შემოქმედებითი მუშაობა. იმედია ადგილობრივი ხელისუფლება სათანადო საშუალებებს გამონახავს და ზუგდიდში კვლავ გაჩაღდება კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვანია.



ღიმა ხეთისიაშვილი

პოლიტიკური ფეხბურთი და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო

ხელისუფლება და პრეზიდენტის ხელმძღვანელობა



აპრილის ბოლოს საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ფეხბურთელები და ადმინისტრაციის თანამშრომლები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობასთან პროგესტის გამოსახავად აპირებდნენ მისვლას. შეხვედრა შედგა, თუმცა, ფეხბურთელები და ადმინისტრაცია კლუბის ოფისში შეიკრიბნენ. როგორც ადგილზე შეკრებილმა ფეხბურთელებმა და კლუბის დირექტორმა განაცხადეს, ადგილობრივ ხელისუფლებას გუნდისთვის სახელფასო დავალიანება აქვს გასასტუმრებელი. ხელფასი და პრეზიდია არ მიუღიათ ძირითად გუნდს, დუბლინებმადგენლობას, ჭაბუკთა ლიგის მწვრთელს და ადმინისტრაციას:

გუნდმი გარკვეული ფინანსური კრიზისის გამო, ბიჭებმა ვარჯიშზე უარი განაცხადეს – ფეხბურთელები და ვალიანების გასტუმრებას ითხოვენ. მქონდა ამაზე საუბარი გამგებელთან. მითხრა, რომ ჩაირიცხება პრემიაც და ხელფასიც. რაც შეეხება დუბლინებმადგენლობას, მათ 3 თვის ხელფასი არ აულიათ. 3 თვის ხელფასი არ აულიათ, ასევე, ადმინისტრაციის თანამშრომლებს. გარდა ამისა, ვერ უზრუნველყოფთ სამედიცინო დახმარების განევას. რაც შემეძლო, ვაკეთებდი, მთელი სულით და გულით „გურიას“ გვერდში ვედექი, ერთადერთი შეილის სიკვდილის შემდეგ დანაწესუთის „გურიას“ დამრჩა, ამით უსურთქავ და ვარსებობა, – ამბობდა კლუბის დირექტორი, კობა მირზაშვილი.

სახელფასო დავალიანების გამო უკმაყოფილება ფეხბურთელებმაც გამოხატეს: – 4 თვე, დაინყო ახალი სეზონი. გვპირდებიან, თანხა დღეს იქნება, ხვალ იქნება, მაგრამ გვატყუებენ. ყველაზე მეტად რამაც გაგვალიზიანა ისაა რომ როგორც გავიგეთ, ფეხბურთის ფედერაციამ 200 ათასი ლარი გადმორიცხა, ამ დროს ჩვენ ბუცის ფული არ გვაქვს, დუბლების ტრავიმირებულ ფეხბურთელს ოპერაციის ფული არ გადაურიცხეს, რაც კლუბის ვალდებულებაა. ხელფასი მიუღებელი აქვს ადმინისტრაციასაც. როგორც ვიცით, ბიუჯეტს აქვს იმის საშუალება, რომ საქმე აქამდე არ მისულყო, მაგრამ მიდის გადაბრალება ერთმანეთზე, დამნაშავის ძიებაში კი ჩვენ ვზარალდებით, – ამბობდნ ფეხბურთელები.

გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი, ზაზა ურუშაძე კი ამბობდა, რომ მისი კლუბის ხელფასი და პრემია, აპრილის ჩათვლით, მთლიანად გასტუმრებულია, დარჩენილია დუბლებისა და ადმინისტრაციის დავალიანება და მისი გასტუმრება ახლო მომავალში იგეგმება:

ამ თემას სოციალური ქსელში ლანჩხუთის გამგებლის მოადგილე ვახტანგ ზენაიშვილი გამოეხმაურა: – საფეხბურთო კლუბ „გურიას“ ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმდინარე წლის გამოეყო 665 000 ლარი. აქედან 552 000 ლარი უკვე ჩაირიცხულია კლუბის ანგარიშზე. ერთი კვირის ნინ ვთხოვეთ გუნდის ხელმძღვანელობას (პირადად მირზაშვილს), ნარმონებინა სათანადო დოკუმენტაცია საფინანსო სამსახურში თანხის მოთხოვნით, თუმცა, მან პროცესი ხელოვნურად განხელა და მხოლოდ დღეს წარმოადგინა მოთხოვნა (თანხაც შესაბამისად დღეს ჩაირიცხა). მაინც რა ხდება, რა იმალება ყოველივე ამის უკან? კლუბის დირექტორის კობა მირზაშვილის და მისი დის „საფეხბურთო მეცნატის“ ინტერესები და ქმედებები განპირობებულია შემდეგით: ისინი არიან, გამგებლის სკამის მაძიებლის, ბორის ჭყანიას გუნდის წევრები, სხვა ეგრეთ წოდებული ფეხბურთელთა ჯგუფთან ერთად (უგრელიძე, თევზაძე და სხვ). მიზანი ამ იბსტრუქციისა იყო, გამგებლიბის რეალური კანდიდატის, ზაზა ურუშაძისთვის ჩრდილის მიერნება. სწორედ, ესაა საფუძველი ამ პროცესაციისა. ისე, სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ კლუბისა და გუნდის ხელმძღვანელთა ქმედებები გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს, რაც შესწავლის საგანი უნდა გახდეს. ადრეც მითქვამს და კიდევ გავიმეორებ, ჭირდება კი ლანჩხუთს, შეუძლია კი მის მწირ ბიუჯეტს ძვირადლირებული კლუბის შენახვა? – წერს სოციალურ ქსელში ლანჩხუთის გამგებლის მოადგილე ვახტანგ ზენაიშვილი.

კლუბ „გურიას“ დირექტორი, კობა მირზაშვილი ზენაიშვილის ამ მოსაზრებაზე ასეთ კომენტარს აკეთებს:

– ფეხბურთელები თუ საკუთარ ხელფასს ითხოვენ, ეს პოლიტიკა?! როგორ შეიძლება, ვალის გასტუმრების მოთხოვნას ეს მოტივი დაუდო საფუძვლად? ამას რატომ ამბობენ, არ ვიცი, მაგრამ არის ერთი რამ: ვეტერან ფეხბურთელებთან დავით უგრელიძესთან, მერაბ თევზაძესთან და გია გილიგაშვილთან მე კარგი ურთიერთობა მაქვს, ჩემი მეგობარი ფეხბურთელები გამგებლის სხვა კანდიდატურას უჭერებ მხარს, ამიტომ ჰგავნიათ, რომ მეც მათ აზრს ვიზიარებ.

სიმართლე ისაა, რომ ეს ფეხბურთია და არა პოლიტიკა, ბიჭები ითხოვენ ხელფასებს და მეც მათ დაუუდევი გვერდში – განაცხადა კობა მირზაშვილმა.

უკვე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ ხელისუფლებასა და კლუბის ხელმძღვანელობას შორის დაძაბულობამ პიკს მიაღწია, რასაც უკვე არცერთი მხარე არ მალავდა.

კლუბის ხელმძღვანელის საპროტესტო პრეს-კონფერენციის შემდეგ ს/კ „გურიას“ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათევამია, რომ საფეხბურთო კლუბის ოფისში მისულმა გამგებლის მოადგილემ, ვახტანგ ზენაიშვილმა ცხარე კამათისას კლუბის ნარმომადგენლებს განუცხადა, რომ ძვირადლირებული გუნდის ჩემინას ურჩევნია ბიუჯეტის ფული ნაგვის ბუნებრების ყიდვასა და დადგმაში დაისარჯოს. როგორც გაირკვა, ზენაიშვილი კლუბის ხელმძღვანელობასთან გამართული პრეს-კონფერენციის შემდეგ მისულა, რომელსაც არცერთი უურნალისტი არ ესწრებოდა. როგორც ს/კ „გურიას“ პრესსამსახური წერს, რომ „1 მაისს საფეხბურთო კლუბის დანართის გურიას“ ოფისში თავი მოიყარეს კლუბის ადმინისტრაციის ნარმომადგენ-

ლეპმა, მწვრთნელებმა, ძირითადი გუნდისა და დუბლშემა-დგენლობის ფეხბურთელებმა. კლუბის წარმომადგენლები შექმნილი არასახარიბიელო ფინანსური მდგომარეობის გა-მოსწორებას ითხოვდნენ.“

მოგვიანებით, კლუბის ოფისს რაიონის გამგებლის დრო-ებითი მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ზენაიშვილი ესტუმრა. შეხვედრა, თავდაპირველად, ცხარე კამათით დაიწყო. კლუბის დირექტორი, ფეხბურთელები, და მწვრთ-ნელები ხელისუფლების წარმომადგენლისაგან ითხოვდნენ გარანტიას, რომ აღნიშნულ დავალიანებას კლუბის ყველა წევრი უახლოეს მომავალში მიიღებდა.

ვახტანგ ზენაიშვილმა თავისი პოზიცია დაუფარავად გამოხატა და ბრძანა, რომ რაიონისთვის, რომელსაც მწი-რი ბიუჯეტი გააჩნია, ნაკლებად საინტერესოა ფეხბურთის თემა. „ლანჩხუთს მცირე ბიუჯეტიდან გამომდინარე არ გა-აჩნია ის ფუფუნება, რომ ძვირადლირებულ გუნდი არჩინოს, მირჩევნია, ის ფული, რაც ბიუჯეტშია ნაგვის ბუნე-რების ყიდვასა და დადგმაში დაიხარჯოს, ვიდრე გუნდი დაფინანსდეს (?)! – თქვა ზენაიშვილმა და დასძინა:“ პირა-დად გავალ სტადიონზე და ვეტყვი გულშემატკივარს, რომ ლანჩხუთს არ სჭირდება ფეხბურთის გუნდი და ზოგადად ფეხბურთი“.

ზენაიშვილი საფეხბურთო კლუბის ბრალდებებს უარყო-ფს და აცხადებს, რომ ამ განცხადების მიზანი გამგებლო-ბის რეალური კანდიდატის, ზაზა ურუშაძისთვის ჩრდილის მიყენება იყო.

„ჩემი სიტყვები კონტექსტიდანაა ამოღებული და განსხვავებული ელფერი მიეცა. მე ვთქვი შემდეგი, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს არა აქვს იმის ფუფუნება მილიონნაცევარი, ან თუნდაც 665000 ერთ საფეხბურთო კლუბზე დასარჯოს, რაც არ უნდა სახელოვანი იყოს იგი, რომ ამ თანხის, თუნდაც ნანილით გადაწყვდება ლანჩხუთში სხვადასხვა მიზეზით უსახლეაროდ დარჩენილთა პრობლე-



მამა როვა
დანა ურეკა

ლტოლვილება

თავი

დანა

სიზმრად არა მაქვს ნანახი,
ეს ხომ წნობილი ფაქტია,
უქმაუფილო, შმიერის,
უსასტიკესი აქტია.
სახლ-ეარ დამწერმა ლტოლვილმა
კუთხე ვერ ნახა გამთბარი,
ვერც სანოვაგე იპოვა,
ვერც ტანსაცმელი საფარი.
და ბოლოს „მეფეს“ მიმართა,
სათქმელზე არც უფიქრია,
„აფხაზეთიდან დევნილი,
ვარ ქალი, ნანა ფიფა“.
დიდო „მეფე“ შემინდე,
უმწეო, უმოქმედარი,
მომცი საზრდო, დაქნაურდე,
ხვალ რომ არ გაჭნდე წევდარი.
„მეფის“ დამცეკლმა, მრისხანებ,
ახლოსაც კი არ მიუშვა,
არც ბილწი სიტევა დააკლო,
არც წაბიძეგება აგმარა,
ღირსებაშელახული ლტოტევილი,

მა, მეწყრულ ზონაში მოყოლილთა პრობლემა. უპოვართა სასადილო მოებსახურება გაცილებით მეტ ბენეფიციარს. გავზრდით სოციალური დახმარების სპექტრს. მოვაწესრი-გებთ დასუფთავების, მათ შორის ნაგვის ურნების საკითხს და ასე შემდეგ.

არცერთი მხარე დაომობას არ აპირებდა, ცალკე გამგე-ბლის მოვალეობის შემსრულებელი და ცალკე კლუბის ხელ-მძღვანელობა პრეს-კონფერენციებს მართავდნენ და ერთ-მანეთის მიმართ ურთიერთბრალდებებს არ იშურებდნენ. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კლუბის ხელმძღვანელმა გამგებლის მოადგილეს ბოლოშის მოხდა მოსთხოვა, თუმცა ზენაიშვილის მხრიდან მირზაშვილის მოთხოვნა დაუკმაყო-ფილებელი დარჩა. დაძაბულობა კლუბის ხელმძღვანელო-ბასა და ხელისუფლებას შორის დღემდე გრძელდება. ამას ის ფაქტიც მონმობს, რომ კლუბის ხელმძღვანელი კობა მირზაშვილი გამგებლობის ერთ-ერთი კანდიდატის, ბორის ჭყონიას მხარდამჭერ აქციაზე ღიად გამოდის.

თამარ მდივნიშვილი



შოკის სინდრომმა მოიცვა,
სხეულზე ბენზინი შეისხა,
თავი სახალხოდ დაიწვა.
სელისუფლებაშ იუსტა,
სალხმაც განმელავი გაუბა,
გიღაცა ბილწმა დიაცემა,
მკვდარს მუსაიფი გაუბა.
„საკედების ფული არ გქონდა,
მაშ, რით იერდე საწვავი“
ქვეანას უნდა გელოვა,
უსახლებრო და ბედმავი,
და ხალხსაც შერი ემია,
იმ ქალის თავის დაწვაზე.
შენც არ მომიკედე მკითხველო,
გინმექ წარბები ახარა?
ან გინმე ნანას საფლავი,
ფერადი უგავილებით დაფარა?
სალხი დაურუება, დამუნჯდა,
გარემომ ფერი იცვალა,
შიში მეალ-რბილში გაუჯდათ,
სინდისი გარდა უცვალა.

მინი ერთ ერთ ერთ გენერაციის ქავითონის ნიკოლეტ ესენი

XIX საუკუნის მიწურულს გურიაში მცხოვრები ერთი ახალგაზრდა ოჯახის ისტორიას გიამბობთ, რომელიც თავისი ძმაფრი დრამატული სიუჟეტით ბალადას უფრო წააგავს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრებას. ოჯახის უფროსი – ნიკოლოზ ვასაძე გემის პირველი ქართველი კაპიტანი იყო. მის შესახებ ოფიციალურ ცნობებს საქართველოს ცენტრალური კომიტეტის არქივში ინახავდნენ. ვთიქრობ, ამ თემით დაინტერესების შემთხვევაში, საბუთების მოპოვება იოლი არ იქნება.

გადმოცემის თანახმად ნიკო ვასაძე ბავშვობიდანვე განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდა. ოჯახმა ის ცოდნის მისაღებად სევასტოპოლის საზღვაო სასწავლებელში გაგზავნა. სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა. 21 წლის ნიკო ვასაძე გემის კაპიტანად დაინშნა. ბოსფორის სრუტეში ნიკო ვასაძის გემის ღუზა ზღვის ფსკერზე რაღაცას გამოედო, მეზღვაურებს მისი ამოღება გაუჭირდათ, საქმეში ახალგაზრდა კაპიტანი ჩაერთო. მან ღუზა ფსკერიდან თითქმის ამოიღო, მაგრამ ასეთ დატვირთვას გულმა ვერ გაუძლო და იქვე სული განუტევა. გარდაცვლილი გემის კაპიტანი, წესისამებრ, ეკიპაჟმა ბოსფორის სრუტეში ზღვაში დატოვა. მისი სხეული ტალღებს გაატანეს. როცა ნიკო ვასაძე გარდაიცვალა, 19 წლის მეუღლეს, კესარია ღლონტს ორი მცირენლოვანი შვილი ჰყავდა. ქალიშვილი-ქენია და ვაჟი-ლავრეტი. ოჯახში სამძიმრის სათქმელად მისულმა ერთ-ერთმა გურულმა ქალბატონმა ნიკო ვასაძე ასეთი სიტყვებით დაიტირა – „შენ იკითხე ნიკო, კესარია კიდევ გათხოვდებაო“. ამ სიტყვების მოსმენამ კესარია ძალიან გააღიზიანა, სკამიდან წამოხტა და ქმრის ნათესავებს ხმამაღლა შეჰფიცა, რომ არასდროს გათხოვდება.

ეს ფიცი მან პირნათლად შეასრულა. სამი წელი კესარიამ შვილებთან ერთად მეუღლის ოჯახში ცხოვრობდა. ლამაზი და ნესიერი ქალის ცოლად შერთვა ბევრმა მოინდომა. კესარია ყველას ცივი უარით ისტუმრებდა.

სამამულო ომში მოხალისედ წავიდა და არ დაბრუნებულა. ამჟამად, არც ქალიშვილებია ცოცხალი.

კესარიას და ნიკო ვასაძის ერთადერთი ვაჟი-ლავრენტი ნიჭიერი კაცი იყო, მან განათლება რუსეთში მიიღო, იქვე შეირთო მეუღლე, ორი ქალიშვილი შეეძინათ. რუსეთიდან დაბრუნებული ლავრენტი ვასაძე ბათუმში დასახლდა, გასაბჭოებამდე საკუთარი უნივერსიტატის „ლუქსის“ მფლობელი გახლდათ. ამჟამად, მისი ქალიშვილებიც ოლდა და ნინო გარდაცვლილი არიან.

ახეთი სასიყვარულო ისტორია მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს, როგორი თავგანწირვის უნარი პქონდათ ქალბატონებს. პირველი ქართველი გემის კაპიტანი, რომლის ნეშთი მეზღვაურებმა ზღვის ტალღებს გაატანეს, კესარია, კი, სიცოცხლის ბოლომდე ქმრის ერთგული დარჩა.

ნელი ზამბახიძე



ნელი ზამბახიძე დაბადებით სახელი კესარია და მისი ქალიშვილი ქალბატონი ერთ-ერთ მან მომღებელი იყო (სახელი უცნობია). როცა ქალმა ის მორიგი უარით გაისტუმრა, მისი მოტაცება გადაწყვიტა, კესარია თონეში დაიმალა. გაბრაზებულმა ბატონმა მის ოჯახზე შური იძია, სახლს ცეცხლი წაუკიდა და გადაწვა. ხანძარს კესარიას მამა ემსხვერპლა. უსახლეკაროდ დარჩენილი ქალბატონი, მცირენლოვან შვილებთან და დაქვრივებულ დედასთან ერთად ქალაქ ფოთში უფროს დასთან ივლინესთან გადავიდა. ქალიშვილის გათხოვების შემდეგ კესარია შვილთან და სიძესთან ცხოვრობდა. ის ფოთში გარდაიცვალა და იქ დაკრძალეს.

კესარია ღლონტის და ნიკოლოზ ვასაძის ერთადერთი ქალიშვილი-ქენია ჩემი ბებია ოყოდედაჩემის დედა). მას კიდევ სამი ქალიშვილი და ერთი ვაჟი-ლაზარე ჰყავდა. ის

XX საუკუნის განახლების განვითარების დამაფინანსი (გურეთი ქალი)

1 იუნისი მაკეტითა გაცემის საერთაშორისო ღორება



ჯონი მარამიტე და ლილა მიმინმული
მულიმულებს ალექსი, ნინა და სანდრა მარამიტებს მაკეტთა გაცემის ღორების ულცოვებელი

აზარული სამზარეულო

ბადრიჯანი ქობულეთურად

ბადრიჯანი ისე გავჭრათ სიგრძეზე 2-3 ნანილად, რომ ერთმანეთს არ დავაშოროთ.

წვრილად დაკვეპოთ სტაფილო, თავიანი ხახვი და ორივე მოვთუშოთ იაღში (ცხიმში).

დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ქინძი, ოხრახუში, დანაყილი ნიორი, მარილი, წინაკა და

ავურიოთ. ამ ნარევით ამოვაგსოთ დასერილი ბადრიჯანი და შევწვათ ტაფაზე.

შემწვარი ბადრიჯანი ჩავაწყოთ ქვაბში, დავასხათ პომიდვრის პიურე (ან წვენი) და ნელ.

ცეცხლზე მოვხარშოთ. მივირთვათ შეგრილებული.

საჭიროა:

1 კგ. საშუალო ზომის ბადრიჯანი, 4-5 ცალი სტაფილო, 3-4 თავი ხახვი, პომიდვრის პიურე 0,8 კგ.

ნიორი 3-4 კბილი, ქინძი და ოხრახუში 4-5 ძირი, იალი(ცხიმი) 200 გ. მარილი და წინაკა გემოვნებით.



შემცვარი კვერცხი კომილორით

პომიდორი გავრეცხოთ, დავასხათ მდუღარე წყალი და გავაჩეროთ 5-6 წუთი. შემდეგ გავაცალოთ კანი, დავჭრათ პატარა ნაჭრებად,

დავუმატოთ ათქვეფილი კვერცხი, მარილი და ავურიოთ. ნარევი გადავიტანოთ გახურებულ ცხიმიან ტაფაზე. შევდგათ ჰაერდუმელში და შევპრანოთ. შეიძლება ათქვეფილ კვერცხს წვრილად დაჭრილი ხახვი (100-150გ.) დავაყაროთ.

საჭიროა:

10 კვერცხი, პომიდორი 500 გ. მარილი გემოვნებით.

ყაურამა გულ-ლვიძლით

საქონლის გულ-ლვიძლი გავრეცხოთ, ჩავყაროთ წყლიან ქვაბში და წამოვალულოთ, შემდეგ ამოვილოთ, დავჭრათ წვრილ ნაჭრებად.

მოვათავსოთ ცხიმიან ტაფაზე და შევწვათ. როგორც კი გულ-ლვიძლი შენითლებას დაიწყებს, დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ხახვი და წვა განვაგრძოთ. ტაფის გადმოდგმისას ჩავუმატოთ დანაყილი ნიორი, წინაკა, წვრილად დაჭრილი ახალი ქინძი, ოხრახუში და მარილი.

საჭიროა:

1 კგ. გულ-ლვიძლი, 150 გ. ხახვი, 30 გ. ნიორი, 35 გ. წვანილი, წინაკა და მარილი გემოვნებით.

შილაფლავი საერთოს ხორსით

საქონლის ხორცი დავჭრათ 30-40 გ. ნაჭრებად, ჩავყაროთ თავდახურულ ქვაბში და ცეცხლზე შემოვდგათ, ცალკე ცხელ წყალში დავალბოთ ბრინჯი, გავაჩეროთ 30 წუთი და კვლავ ცხელი წყლით გავრეცხოთ. ტაფაზე გავაცხელოთ მცენარეული ზეთი, შიგ ჩავაჭრათ ხახვი, ოხრახუში, ჩავუმატოთ დაბალი ბრინჯი, შავი წინაკა, მარილი და 4-5 წუთი ვხარშოთ. თავსახურიან ქვაბში ერთ ფენად ჩავაწყოთ მოთუშული ხორცი, ზემოდან ერთ თანაბარ ფენად ჩავუმატოთ ბრინჯის ნარევი, შემდეგ ხორცი, ბრინჯი და ასე ფენებად

ჩალაგებულ ნარევს დავასხათ ერთი ლიტრი მდუღარე წყალი და თავდახურულ ჭურჭელში ვადულოთ 30-35 წუთი.

საჭიროა:

1 კგ. საქონლის ხორცი, 250 გრამი ხახვი, 100 გ. ზეთი, 500-600 გ. ბრინჯი, 35 გ. ოხრახუში, შავი წინაკა და მარილი გემოვნებით.

სოკოს (ქრავას) სალათი

ბეშუმის, ან ბახმაროს საძოვრების(იალების) მიმდებარე ფიჭვნარში დაგვრიფოთ სოკო „კრავა“, რომელიც ფიჭვის და სოჭის ხეებზე ხარობს.

შემოდის აგვისტოს ბოლოს-სექტემბრის დასაწყისში. გადავარჩიოთ, გავრეცხოთ, დავასხათ წყალი და მოგარშოთ. როგორც კი სოკო მოისარშება, გადავწუროთ, დავჭრათ საშუალო ზომის ნაჭრებად, ჩავყაროთ წინასწარ მომწვარ იაღში, დავუმატოთ დანაყილი ნიორი, წინაკა, მარილი და მივირთვათ ცხლად.

საჭიროა:

სოკო 1 კგ. იაღი 200 გ. მარილი, წინაკა და ნიორი გემოვნებით.

შენიშვნა:

სოკოს შეიძლება წვრილად დაჭრილი ხახვი დაგვაყაროთ და ცხიმთან ერთად მოვთუშოთ.

შემცვარი ქათამი ნიგზის ზეთში

მსუქანი ქათამი, სასურველია დედალი, გავრეცხოთ, დავამარილოთ, წამოვაგოთ შამფურზე და შევწვათ ნაკვერჩხების სიახლოებეს, თან ზემოდან ვასხათ წინასწარ მოზადებული ქინძმარი(დანაყილი), შეზაბებული ქინძი, ნიორი, წინაკა, მარილი, და ძმარი), ქვემოდან კი ტაფა დავუდგათ, როგორც კი ქათამი შეიწვება, დავჭრათ ულუფებად და დავაწყოთ თეფზე. ტაფაზე მოგროვებული ცხიმისა და ქინძმრის ნარჩენი გავწუროთ, შიგ გახსნათ დანაყილი ნიგზი, ნიორი, ქინძი და ქათამის ზემოდან მოვასხათ. ასევე მოვასხათ წინასწარ გამოხდილი ზეთი.

საჭიროა:

1 ქათამი, 200 გ. ნიგზი, 40 გ. ნიორი, 100 გ. ქინძი, ძმარი, წინაკა და მარილი გემოვნებით.

შენიშვნა:

ქინძმარისთვის ქინძის ნივრის ნორმები შუაზე გავყოთ, ხოლო ძმარი, წინაკა და მარილი დავუმატოთ გემოვნებით.

კომილორის სანებელი

მწიფე პომიდორი გადავარჩიოთ, გავრეცხოთ, დავჭრათ პატარ-პატარა ნაჭრებად, ჩავყაროთ ქვაბში, წამოვალულოთ და შემდეგ გავწუროთ. ბულგარული და ჩვეულებრივი მწარე წინაკა ერთად გავატაროთ ხორცსაკებში, დავომატოთ დანაყილი ნიორი, ხმელი ქინძი, ავურიოთ განწურულ პომიდორში და ვადულოთ 12-15 წუთი, დავუმატოთ მარილი და ძმარი.


5 ლიტრი საწებლისთვის საჭიროა: 3 კგ. პომიდორი, 1,5 კგ. ბულგარული წინაკა, 1 კგ. მწარე წინაკა, 200 გ. ნიორი, 200 გ. ძმარი, 100 გ. ხმელი ქინძი და მარილი გემოვნებით.

ავტორი ჯონი პარამიძე

თამაზ მეფის ჯვარი



Առևագանցու ընկած
ընթացքութեան մասունքանը
Վաճուաթի



Ժառանչ
emotions



ISBN 977-2346-7600-0-9



9 772346 760009